პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!
[illegible]

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ.

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—80 კაპ., ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კაპ.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განცხადებელი, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი“-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

სამშაბათი, 9 ივლისი 1929 წ. | ყოველდღიური გაზეთი | ფასი 5 კაპ. № 155 (2501)

ყრილობის დღიური

7 ივლისი

— მოსმენილ იქნა ამხ. ფ. მახარაძის მოხსენების დასასრული და ამხ. გ. ურალაშვილის თანამოხსენება მრეწველობის განვითარების 5-წლიანი გეგმის შესახებ, რის შემდეგაც გაიხსნა კამათი.

8 ივლისი

— დილით დასრულდა კამათი 5-წლიანი გეგმის გარშემო და მოსმენილ იქნა მომხსენებელთა საბოლოო სიტყვები.

— ყრილობამ მიიღო შემდეგი რეზოლუცია: „ამხ. ფ. მახარაძის თეზისები მოწონებულ იქნას და გადაეცეს ხუთწლიანი გეგმის დამმუშავებელ კომისიას“.

— საღამოს სხდომაზე ყრილობას მისასალმებელი სიტყვებით მიმართეს და ჩააბარეს პატაკი სოციალისტური შეჯიბრების მსვლელობის შესახებ „26 კომუნარის“ ფაბრიკის მუშამ ამხ. [illegible], [illegible] ფაბრიკიდან—ამხ. [illegible] და [illegible], „ზაკავტოპრომტორგის“ სახელოსნოებიდან—ამხ. [illegible] და [illegible].

— შემდეგ მოხსენებით, საქართველოს სოფლის მეურნეობის გზებისა და სოფლად მუშაობის შესახებ, გამოვიდა ამხ. ლ. ლომბერიძე.

9 ივლისი

— დილის სხდომაზე მოსმენილი იქნება ამხ. ლ. ლომბერიძის მოხსენების დასასრული.

საქართველოს კომპარტიის (ბ) VI ყრილობა

ამხ. მიხ. კახიანის საბოლოო სიტყვა

მე, ამხანაგებო, შევეცდები რაც შეიძლება მოკლედ ვილაპარაკო და შევეხო ძირითად საკითხებს, რომლებიც აღძრულ იქნა კამათში. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად კამათში გამოსული ორატორების ძალიან დიდი რიცხვისა (60 ამხანაგზე მეტი), ყველა ისინი, საერთოდ და მთლიანად, ეთანხმებოდნენ იმ ხაზს, რომელსაც ცენტრალური კომიტეტი ატარებდა, და რამდენადმე არსებითად საწინააღმდეგო გამოსვლებს ადგილი არა ჰქონია. მხოლოდ ზოგიერთმა ამხანაგმა გამოსთქვა თავისი აზრი ამა თუ იმ საკითხზე, რასაც შევეხები ჩემს საბოლოო სიტყვაში.

გარკვეულად უნდა ითქვას, რომ ამხანაგების გამოსვლამ ამ ყრილობაზე გვიჩვენა ჩვენი ორგანიზაციის ზრდა და დაამტკიცა, რომ ჩვენ სავსებით ნათელი და გარკვეული წარმოდგენა გვაქვს იმაზე, თუ რა ხდება ამჟამად ჩვენს ქვეყანაში, როგორი დეფექტები და მიღწევები გვაქვს, და რომ ჩვენ შეგვიძლია ბოლშევიკური დაუნდობლობით გამოვააშკარაოთ ყველა ეს დეფექტი. ამიტომ, ჩემის აზრით, მართალი არ იყო ამხ. დოლიძე, როცა ის ჩიოდა იმაზე, რომ თითქოს აქ არ იყო გაშლილი თვითკრიტიკა და რომ ყრილობა ყურადღებას აქცევდა მხოლოდ ზოგიერთ საკითხს. რასაკვირველია, ყრილობაზე ხდება ისე, რომ ესა თუ ის საკითხი მეტ ყურადღებას იპყრობს და პრეზიდიუმის ბრალი არ არის, კამათში გამოსული ამა თუ იმ ამხანაგის ბრალი არ არის, რომ ზოგიერთი საკითხი უფრო მეტად იქნა გაშუქებული და ზოგიერთი კი ნაკლებ. საერთოდ და მთლიანად, მე ვფიქრობ, რომ ყველა გამოსვლას ყრილობაზე თვითკრიტიკა ახასიათებდა (ხმები: მართალია).

ის სიცხარე, რომელსაც აქ იჩენდნენ ზოგიერთი საკითხის განხილვის დროს, ზედმეტად ამტკიცებს იმას, რომ ჩვენ შევედით თვითკრიტიკის პერიოდში. სწორედ ამიტომ ჩივილი იმაზე, რომ ყოველივე ამას არა ჰქონია აქ ადგილი და კამათის მსვლელობის რეგლამენტაციის ცდა, ჩემის აზრით, წარმოადგენს საქმისადმი არასწორ მიდგომას.

სამეურნეო მშენებლობა

ახლა, ნება მომეცით გადავიდე იმ საკითხებზე, რომლებიც აქ გაშუქებულ იქნა, უპირველეს ყოვლისა, **სამეურნეო მშენებლობის საკითხებზე**. ზოგიერთი ამხანაგი ჩიოდა იმაზე, რომ ეს საკითხები საკმაოდ არ იყო გაშუქებული. მე არც შევცდილვარ დაწვრილებით მელაპარაკნა ყველა დეფექტებზე მშენებლობის დარგში, რადგან არიან სხვა მომხსენებლები, რომლებმაც ამ მხრივ უნდა შეავსონ ჩემი მოხსენება. მაგრამ ჩვენი მშენებლობის საერთო სურათი, ის პროცესები, რომლებიც გვაქვს ჩვენს დიად სოციალისტურ მშენებლობაში, მე ვფიქრობ, დავხატე. იმის მჭერმეტყველურ დამტკიცებას, რომ ჩვენ შევედით ახალ ეტაპში, წარმოადგენს თუნდაც ის, რომ აქ გამოვიდნენ მთავარ სახელოსნოების მუშათა წარმომადგენლები. ეს, თუ გნებავთ, ერთგვარად ახასიათებს ეხლანდელ დროს, როცა პარტიის ყრილობაზე მოდიან მუშათა მასების წარმომადგენლები და უდგენენ მას პატაკს იმის შესახებ, თუ სახელდობრ რა შეასრულეს მათ, როგორ იზრდება შრომის ნაყოფიერება, როგორ ამაღლებენ შრომის დისციპლინას იმისათვის, რომ უკეთესად იმუშაონ წარმოებაში. ეს ამტკიცებს იმას, რომ ჩვენ მართლაც შევუდექით წარმოების საკითხების გადაჭრას, რომ უკვე დადგა მომენტი, როცა მუშათა კლასი მშრომელი გლეხობის ძირითად მასასთან ერთად უკვე შეუდგა წარმოების საკითხების გადაჭრას ქალაქად და სოფლად და კაპიტალიზმის ფესვების ამოფხვრას. ეს ძალიან კარგი ხანაა, როცა მუშები მოდიან და გვიდგენენ პატაკს იმის შესახებ, თუ რას აკეთებენ და რა არ გაუკეთებიათ მათ ჯერ კიდევ. მაგრამ უფრო უკეთესი იქნება, როცა ჩვენთან მოვლენ ნამდვილი გლეხები, კოლმეურნეობათა მონაწილენი და წარმოადგენენ პატაკს იმის შესახებ, თუ რა გააკეთეს მათ, რა მიღწევები აქვთ მოსავლიანობის გადიდების დარგში, მიწის დამუშავების ახალი საშუალებების გავრცელების საქმეში. ეს იქნება საუკეთესო ხანა და ჩვენ მივდივართ ამ ხანისაკენ.

ეხლა—სოციალისტური შეჯიბრების შესახებ. ამ საკითხს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის. ლენინი სწერდა: „სოციალიზმი არა მარტო არ ახშობს შეჯიბრებას, არამედ პირიქით,—პირველად ქმნის შესაძლებლობას, რომ შეჯიბრება გამოყენებულ იქნას ნამდვილად **ფართოდ**, ნამდვილად **მასიურად**, მშრომელთა ნამდვილად უმრავლესობა იქნას გამოყენებული იმ მუშაობის ასპარეზზე, სადაც მათ შეუძლიათ თავის გამოჩენა, თავიანთი უნარის გაშლა, ნიჭის გამოაშკარავება, რომელიც ხალხში დაუშრეტელია და რომელსაც კაპიტალიზმი ათასობით და მილიონობით ავიწროებდა, სრესავდა და ახშობდა“...

...„ფართო, ჭეშმარიტად მასიური შესაძლებლობის შექმნა ინიციატივის, შეჯიბრების, გაბედული თაოსნობის გამოსაჩენად არსებობს მხოლოდ ეხლა“... „რადგან საუკუნეთა განმავლობაში სხვებისათვის შრომის, ექსპლოატატორების სასარგებლოდ მონური შრომის შემდეგ პირველად არის შესაძლო მუშაობა საკუთარი **თავისათვის**“...

...„ჩვენს ამოცანას ეხლა, როცა ხელისუფლების სათავეშია სოციალისტური მთავრობა, შეადგენს შეჯიბრების მოწყობა“.

დადგა დრო, როცა ჩვენ ნამდვილად უნდა მოვაწყოთ ეს შეჯიბრება ქალაქადაც და სოფლადაც. თუ ქალაქად შევუდექით ამ საქმეს და შეჯიბრება უკვე იღებს მასიურ ხასიათს, ეს კიდევ არ შეიძლება ითქვას სოფლის მიმართ.

სოფელი მხოლოდ ახლა იწყებს ცოტად ამოძრავებას, განსაკუთრებით საქართველოში. იმის ნიშნები, რომ რაიონი რაიონს, თემი თემს, სოფელი სოფელს შეეჯიბროს, გაჩაღდეს ნამდვილი სოციალისტური შეჯიბრება და ამ შეჯიბრებამ მოგვცეს განსაზღვრული შედეგები, ჩვენ ჯერ კიდევ არა გვაქვს. მაგრამ ამას უნდა მივაღწიოთ, რათაც არ უნდა დაგვიჯდეს. ყოველ შემთხვევაში ამ ყრილობის შემდეგ სოციალისტური შეჯიბრება უნდა გავავრცელოთ სოფლადაც.

ამხანაგებო, როცა ვლაპარაკობთ სოციალისტურ შეჯიბრებაზე, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ დეფექტებიც ამ დარგში. აიღეთ თუნდაც ის მაგალითები, რომლებიც მოჰყავს საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმს. ეს მაგალითები მოწმობენ, რომ ადგილი აქვს ერთგვარ ინერტობას, გულგრილობას ამ მასიური მოძრაობისადმი, ცალკე ვსთქვათ, სამეურნეო მუშაკების მხრივ. მაგალითად: თბილისის აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებას გემ-კვების მუშაკთა კავშირმა სთხოვა დაეთმოთ ხუთწლიანი გეგმის ეგზემპლიარი, რათა მუშები გასცნობოდნენ ამ გეგმას. ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებამ ამაზე უპასუხა, რომ მას არ აქვს ზედმეტი ეგზემპლიარი.

სახალხო მამულების ტრესტმა, რომელსაც ახლა ეწოდება საბჭოთა მეურნეობების ტრესტი (რადგან მამული—ძველი სახელწოდებაა და კარგია, რომ იგი უარჰყვეს) ამავე კავშირს გასცა ასეთი პასუხი: „თუ კავშირი იკისრებს ხარჯებს ხუთწლიანი გეგმის გადასაბეჭდათ, იმ შემთხვევაში შეიძლება დაუთმოს ეს გეგმა გასაცნობად“. აი, როგორი საქმიანობა გამოიჩინეს.

სამეურნეო მუშაკების ასეთი საქციელი მთლიანად შემცდარია; მას ერთგვარი ბიუროკრატიზმის სუნი უდის; ყველანი, სამეურნეო მუშაკებიც, მუშათა ორგანიზაციებიც უნდა სცდილობდნენ, რომ ამ საქმეში აღმოფხვრან კანცელიარშჩინა და საქმის გაჭიანურება, რომ ეს საქმე გადააქციონ ნამდვილად მასიურ მოძრაობად, როგორც იგი უნდა იყოს ლენინის აზრით.

აი, ამხანაგებო, რაც შეეხება წარმოების საკითხებს.

სოფლის საკითხები

ეხლა გადავდივარ სოფლის **საკითხებზე**. ის გამოსვლები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ამ ყრილობაზე, მოწმობენ, რომ ამხანაგებმა შეიგნეს ის დეფექტები, რომლებიც გვაქვს კოლმეურნეობათა მოძრაობაში, რომ კოლმეურნეობათა მოძრაობა ჯერ კიდევ არ არის გაშლილი როგორც საჭიროა, რომ კომუნისტები თავისი მასით ჯერ კიდევ არ შედიან კოლმეურნეობებში და სხვ. მაგრამ აქ ადგილი ჰქონდა ისეთ გამოსვლებსაც, რომლებიც გვიჩვენებენ, რომ ზოგიერთ ამხანაგს არ ესმის იმ ამოცანების დიდი მნიშვნელობა, რომლებიც პარტიამ დასვა სოფლის სოციალისტურად გარდაქმნის დარგში.

ავიღოთ, მაგალითად, ამხ. ბარამიძის გამოსვლა კონტრაქტაციის შესახებ. მე ვფიქრობ, ეს გამოსვლა წარმოადგენს იმის შეუგნებლობის ნიმუშს, თუ როგორ უნდა იქნას გატარებული პარტიის ხაზი სოფლად. სწორედ ამიტომ საჭიროდ მიმაჩნია შევჩერდე ამ გამოსვლაზე. როცა ოზურგეთის მაზრაში ვატარებდით კონტრაქტაციას, იქ შეიქნა ერთგვარი სიძნელე იმის გამო, რომ არ ესმოდათ კონტრაქტაციის დანიშნულება და არ ჩატარებულა მოსამზადებელი მუშაობა ამ ღონისძიების გასატარებლად. იმის მაგივრად, რომ გლეხთა მასებს განუმარტონ ამ საკითხის რაობა, მოამზადონ ნიადაგი, ეს ამხანაგები ზოგჯერ გაურბიან სიძნელეებს და ამბობენ, რომ კონტრაქტაცია თავის თავად უსარგებლო საქმეაო. იგივე გამოდის ამხ. ბარამიძის სიტყვიდან. მან სთქვა დაახლოებით ის, რომ რამდენადაც აბრეშუმის პარკი ისეთი საქონელია, რომელსაც სულ ერთია ჩააბარებენ სახელმწიფოს, კონტრაქტაცია რაღა საჭიროაო. თუ ამ აზრს განვავითარებთ, გამოვა, რომ კონტრაქტაცია საერთოდ არ არის საჭირო.

ეს შეუგნებლობა ზოგჯერ თავს იჩენს ჩვენი კოოპერატიული ორგანიზაციების ზოგიერთ ხელმძღვანელთა შორისაც, რომლებმაც ვერ შეითვისეს ის, რომ კონტრაქტაცია არის არა მარტო ერთ-ერთი საშუალება სოფლის მეურნეობაზე ზეგავლენისათვის, არამედ ერთ-ერთი მეტად მნიშვნელოვანი გზა სოფლის საწარმოო კოოპერატიულ შეკავშირებისათვის და გლეხობის გამოსაყვანად კოლექტივიზაციის გაშლილ გზაზე.

ამხ. ანდრეევმა ცეკას აპრილის პლენუმზე განაცხადა: „ამას წინად ჩავედი ერთ ოლქში და წავაწყდი ასეთ ფაქტს: მე შევეკითხე—როგორ მიდის კონტრაქტაციის საქმე; მიპასუხეს — არა უშავს-რა, მხოლოდ წინააღმდეგობას აქვს ადგილიო. როცა ვკითხე — როგორ იცილებთ ამ წინააღმდეგობას, მიპასუხეს—დავაპატიმრეთ ერთი კაცი იმისათვის, რომ მან არ მიიღო ფული კონტრაქტაციისათვის“-ო (სიცილი).

ეს, ამხანაგებო, წარმოადგენს გადახრას ერთის მხრით, — კაცი დააპატიმრეს იმისათვის, რომ მან არ მიიღო ფული კონტრაქტაციისათვის, მაგრამ არის მეორე გადახრა, რომელსაც ადგილი აქვს ოზურგეთის მაზრაში. ეს გადახრა მდგომარეობს იმაში, რომ გლეხობის ზოგიერთი ფენის წინააღმდეგობის დროს იჩენენ ერთგვარ მაჩანჩალობას. „თქვენ არ გყოფნით ეს ფული, მაშინ ჩვენ დავსვამთ ფასების გადიდების საკითხს“-ო.

ეს მოხდა სოფელ ლიხაურში, სადაც კრებას დაესწრო ბევრი ქალი; თავმჯდომარეობდა კომუნისტი ქალი. კრებაზე გამოტანილ იქნა რეზოლუცია. იმის ილუსტრაციისათვის, თუ როგორ არ უნდა ჩავატაროთ კონტრაქტაცია, მე წაგიკითხავთ ამ რეზოლუციას:

„ოქმი №. 1929 წლის 25 აპრილს გაიმართა ლიხაურის თემის მეაბრეშუმე ქალთა კრება. თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ივლიტა ურუშაძე, მდივნად კესო ვაშაყმაძე, დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხი:

ალექსანდრე დიდიძის მოხსენება აბრეშუმის ჭიის მოვლის შესახებ.

მოხსენების შემდეგ მომხსენებელს მისცეს ბევრი შეკითხვა. კამათში გამოსული ამხანაგები ამბობდნენ: ჩვენ დაზღვეული არა ვართ, ამიტომ ჩვენი შრომის პროდუქცია მეტად უნდა შეფასდესო. აღნიშნავდნენ აგრეთვე, რომ თუ ფუთი თოკი ღირს 22 მანეთი, აბრეშუმის პარკი რატომ არ უნდა ღირდეს მეტიო. აბრეშუმის პარკის ფასი ერთი ორად უნდა იქნას გადიდებული შარშანდელ ფასთან შედარებითო.

დაადგინეს:

მოხსენება მიღებულ იქნას სახელმძღვანელოდ; აღმოფხვრილ იქნას ყველა დეფექტი, რომლებსაც დღემდე ჰქონდა ადგილი, იმ პირობით, თუ აბრეშუმის პარკის ფასები აუცილებლად იქნება გადიდებული ერთი ორად შარშანდელთან შედარებით.

წინააღმდეგ შემთხვევაში ქალთა კრება უარს აცხადებს აბრეშუმის თესლის მიღებაზე.

თავმჯდომარე ივლიტა ურუშაძე.
მდივანი კესო ვაშაყმაძე.
დედანთან სწორია: ლიხაურის თემსაბჭოს თავმჯდომარე (ხელის მოწერა)“.

რას ნიშნავს ეს? კრებაზე ამბობენ, რომ ფუთი თოკი ღირს 22 მანეთი, ხოლო ფუთი აბრეშუმის პარკი 24 მანეთი და ეს ფასი ხელსაყრელი არ არისო. ამიტომ აბრეშუმის პარკის ფასი გადიდებულ უნდა იქნას, ყოველ შემთხვევაში, ერთი ორად, 100 პროცენტითო. წინააღმდეგ შემთხვევაში ქალები უარს აცხადებენ აბრეშუმის თესლის მიღებაზე და აბრეშუმის ჭიის მოშენებაზე.

რას ნიშნავს ეს? როცა კომუნისტი ქალი არა, თუ არ ილაშქრებს ასეთი დადგენილების წინააღმდეგ, არამედ თვითონ ხელს აწერს ოქმს და ეს გამოაქვთ ისე, როგორც საერთო კრების დადგენილება? განა ეს არის იმის გამომხატველი, რომ ჩვენ ორგანიზაციულად ვაერთიანებთ გლეხობას და ვასწავლით მას, როგორ უნდა გადავიდეს მეურნეობის ძველ ფორმებიდან ახალ ფორმებზე? სრულიადაც არა. ამხ. ბარამიძე ამბობდა, რომ უმჯობესი იქნებოდა კონტრაქტაციის გაუქმება. მაგრამ პარტია ასე როდი უყურებს საკითხს.

აი რას ამბობს ამხ. სტალინი კონტრაქტაციის შესახებ: „უნდა გავდოთ ხიდი ინდივიდუალურ ღარიბ - საშუალო მეურნეობებსა და კოლექტიურ ფორმებს შორის; ასეთი ხიდია **მასიური კონტრაქტაცია**, სამანქანო-სატრაქტორო სადგური, კოოპერატიული საზოგადოებრივობის ყოველგვარად განვითარება, რაც გაუადვილებს გლეხობას თავისი მეურნეობის გადაყვანას კოლექტიური შრომის გზებზე“.

ამგვარად, თქვენ ხედავთ, რომ მასიური კონტრაქტაცია არის ხიდი ღარიბ - საშუალო მეურნეობებსა და მეურნეობის ახალ, კოლექტიურ ფორმებს შორის. ამიტომ კონტრაქტაციაზე კი არ უნდა ავიღოთ ხელი, არამედ უნდა შევაგნებინოთ გლეხობას, თუ რამდენად ხელსაყრელია მეურნეობის ეს ფორმა, რათა გლეხები ხალისით ხვდებოდნენ კონტრაქტაციას, რადგან ის მათ სარგებლობას მოუტანს და არა ზიანს.

გლეხობის ძირითადი მასების ხელმძღვანელობის საქმეში ჩვენ სწორი ბოლშევიკური გეზი უნდა გვქონდეს სოფლად.

ჩვენ ხშირად ვლაპარაკობთ გლეხობასთან კავშირის განმტკიცების შესახებ, მაგრამ რანაირი კავშირია საჭირო ჩვენთვის? საჭიროა ისეთი კავშირი, სადაც ხელმძღვანელი როლი ეკუთვნის პროლეტარიატს, კავშირი, რომელიც განამტკიცებს პროლეტარიატის დიქტატურას. აი რატომ უნდა შეიგნონ ჩვენმა ამხანაგებმა საკითხი ახალი საწარმოო კავშირის შესახებ. უნდა ვიცოდეთ, რომ მოხმარების საგნებთან ერთად ჩვენ სოფელს უნდა მივსცეთ მანქანებიც, რადგან ეხლანდელ პერიოდში ჩითისა და მანუფაქტურის გარდა გლეხს სჭირდება სასოფლო - სამეურნეო მანქანები, სასუქი და ყველაფერი ის, რაც აუცილებელია მის მეურნეობის გარდაქმნისათვის. აქ მე საჭიროდ მიმაჩნია მოვიყვანო ის, რასაც ამხ. ლენინი ამბობდა მუშათა კლასის და გლეხობის კავშირის შესახებ. საქართველოს პირობებში ეს არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქნას დავიწყებული, მაშინ, როცა ზოგიერთ ამხანაგს ავიწყდება და ჰგონია, რომ ჩვენი ქვეყანა სრულებით სხვანაირია, წესები სხვაგვარია, პროლეტარიატი არ არის ისე წმინდა სისხლის, გლეხობა კი განსაკუთრებით რევოლიუციონურია. ეს არის შეცდომა და საჭიროა არ გაუშვათ მხედველობიდან ძირითადი გეზი. ამხ. ლენინი ამბობდა: „საბჭოთა ხელისუფლების მტრები ხშირად ჩერდებიან მუშათა კლასის და გლეხობის შეთანხმების ფორმულაზე და ხშირად იყენებენ მას ჩვენს წინააღმდეგ იმიტომ, რომ ეს ფორმულა თავის-თავად სრულიად გაურკვეველია.

მუშათა კლასის და გლეხობის შეთანხმებას შეგვიძლია მისცე ისეთი შინაარსი, როგორსაც მოისურვებ. თუ არ ვიქონიებთ მხედველობაში, რომ შეთანხმება მუშათა კლასის თვალსაზრისით მხოლოდ მაშინ არის დასაშვები, სწორი და პრინციპიალურად შესაძლებელი, როცა იგი მხარს უჭერს მუშათა კლასის დიქტატურას და წარმოადგენს ერთ-ერთ ზომას, მიმართულს კლასების მოსპობისაკენ, — თუ ამას არ ვიქონიებთ მხედველობაში, მუშათა კლასის და გლეხობის შეთანხმების ფორმულა, რასაკვირველია, რჩება ისეთ ფორმულად, რომელსაც თავიანთ შეხედულებებში ატარებენ საბჭოთა ხელისუფლების და პროლეტარიატის დიქტატურის მტრები“.

სწორედ ამიტომ არ უნდა დავივიწყოთ ეს ჭეშმარიტება მუშაობის ისეთ პირობებში, რომლებიც არსებობენ საქართველოს სოფელში და ისეთ ადგილებში, როგორიცაა ოზურგეთის მაზრა. ჩვენ არ უნდა გავექცეთ სიძნელეებს, თუ მაგალითად, კონტრაქტაციის გატარება შეფერხდა, და არ უნდა ვსთქვათ, რომ კონტრაქტაცია არ ვარგა. უნდა პირდაპირ განვაცხადოთ, რომ ვერ შევსძელით მისი გატარება, რომ საჭიროა მივიღოთ სწორი მითითება და ამის შემდეგ უკვე შეუდგეთ კონტრაქტაციის სწორი ფორმების გავრცელებას გლეხობის ფართო მასებს შორის.

შემდეგი საკითხი, ამხანაგებო, რომელსაც მე არ შევეხებივარ მოხსენებაში და რომლის შესახებ აქ ზოგიერთებმა ილაპარაკეს--ეს არის საკითხი **დარაიონების** შესახებ. ჩვენ გადავსწყვიტეთ მოვახდინოთ საქართველოს დარაიონება და გადავიდეთ ოლქების, რაიონების და სასოფლო საბჭოების სისტემაზე. მაგრამ ჩვენ გადავსწყვიტეთ ერთბაშად არ გავატაროთ ეს და მიმდინარე წელს შევქმნათ მხოლოდ ზოგიერთი ოლქი. რით აიხსნება ეს? აიხსნება მით, რომ ჯერ—ერთი, ჩვენ სავსებით მომზადებულნი არა ვართ საქართველოს სრული დარაიონებისათვის და, გარდა ამისა, ზოგიერთ ადგილებში და მაზრებში ჩვენ წავაწყდით წინააღმდეგობას. აი რატომ გადავსწყვიტეთ, რომ არ არის საჭირო ამ საკითხის განსაკუთრებით დაჩქარება. მიმდინარე წელს შეგვიძლია გავატაროთ ნაწილობრივი დარაიონება, ხოლო მომავალ წელს სრული. თუ ჩვენ საკითხს მიუდგებით ასეთი სიფხიზლით, ალბად, თავიდან ავიცილებთ შეცდომებსაც.

დარაიონება არის დროული და მიზანშეწონილი ღონისძიება, ეკონომიურად ხელსაყრელი ქვეყნის განვითარებისათვის. ეს უნდა შეიგნონ ადგილებზე მომუშავე ამხანაგებმა და არ გაწიონ ის სრულიად ზედმეტი წინააღმდეგობა, რომელსაც ხშირად საფუძვლად უდევს სამაზრო პატრიოტიზმი და ერთგვარი კონსერვატიზმი.

ჩვენი ნაციონალური პოლიტიკა

ამხანაგებო, შემდეგი საკითხია — **ეროვნული პოლიტიკა და მისი გატარება საქართველოში.**

აქ ბევრმა ილაპარაკა ამ საკითხზე. ზოგიერთმა ამხანაგმა სწორად არ გააშუქა ის. როცა ვემზადებოდი მოხსენებისათვის, მე შევჩერდი ერთ მომენტზე: ჩემთვის წარმოდგენილ მასალებში თითქოს არ ყოფილა კომუნისტებს შორის ქართული ნაციონალისტური განწყობილების გამოხატულების ნიმუში. ასეთი მასალები არ ყოფილა და მხოლოდ უკანასკნელ მომენტში მოგვცა მასალა გ. კვირკველიამ, რომელიც ცხადჰყოფს, რომ პარტიის ზოგიერთ წევრს ახასიათებს ნაციონალისტური გადახრა. არ კმარა ლაპარაკი სეით დევდარიანზე, მენშევიკებზე და მათი გინება; სავსებით გასაგებია, ამ ხალხის ნაციონალიზმი, მაგრამ საჭიროა გავაშუქოთ ნაციონალისტური განწყობილება, რომელიც თავის გამოხატულებას პოულობს აგრეთვე ჩვენს პარტიაში, ჩვენი პარტიის წევრებს შორის. საჭიროა მათი მონახვა. მაგრამ ეს აქამდის არ ხერხდებოდა. რატომ? იმიტომ, რომ ყველას არ შესწევს გაბედულობა გამოსთქვას თავისი აზრი. არის ბევრი გაუმხელელი აზრი, გაუმხელელი პლათფორმა. ამხ. თენგიზ ჟღენტმა თავისი გამოსვლით შეგვიმსუბუქა ჩვენი ამოცანა. მიუხედავად იმისა, რომ ამხ. ჟღენტს მე პატივს ვსცემ, უნდა განვაცხადო, რომ მისი გამოსვლა იყო ნიმუში იმის, თუ როგორ არ უნდა იქნას გაგებული სწორი ნაციონალური პოლიტიკის გატარება საქართველოში.

ამხ. ჟღენტი პირველ ყოვლისა გადაჭრით გაიმიჯნა ქართველ უკლონისტებისაგან ეროვნულ საკითხში, მაგრამ როცა მან განავითარა თავისი პლატფორმა, გაიმეორა შეცდომები უკლონისტებისა და სხვა ჯგუფების, რომელნიც არასწორად ატარებდნენ ეროვნულ პოლიტიკას.

ამხ. ჟღენტი ფიქრობს, რომ უკლონიზმთან ბრძოლამ შექმნა მეორე გადახრა და გამოიწვია ის, რომ ჩვენ არ ვატარებთ სათანადოთ ეროვნულ პოლიტიკას, რაც სჩანს მთელს ყოველდღიურ მუშაობაში.

„ეს გარემოება—ამბობს ჟღენტი — სრულიად ეწინააღმდეგება იმას, რაც მიღებული აქვს ჩვენს პარტიას, და ამგვარად მას შეუძლია მოსპოს როგორც საქართველოს, ისე აზერბეიჯანის და სომხეთის დამოუკიდებლობა“.

საიდან აიღო ამხ. ჟღენტმა, რომ რაღაც ემუქრება დამოუკიდებლობას? განა ღირს ამაზე ლაპარაკი ახლა და ღია კარების შემტვრევა? ის დაეყრდნო ამხ. სტალინის სიტყვებს, მაგრამ ამხ. სტალინმა ეს სთქვა 1922 წელს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, როცა ზოგიერთებს არ ესმოდათ საბჭოთა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების აუცილებლობა. მაშინ ამხ. სტალინი სავსებით სწორ პოლიტიკურ გეზს იძლეოდა იმის შესახებ, რომ არ შეიძლება ლაპარაკი გუბერნიებზე და რომ ამიერ-კავკასიაში არსებობენ და დიდ ხანს იარსებებს დამოუკიდებელი რესპუბლიკები. მაგრამ არ არის მარქსიზმი, არ არის ლენინიზმი ის, როცა კაცი იმეორებს გაზეპირებულ ფრაზებს პირობების, ადგილის და დროის განურჩევლად. აი რა შეცდომა მოუვიდა ამხ. თენგიზ ჟღენტს, როცა ახლა მან დაიწყო ლაპარაკი, რომ რესპუბლიკების დამოუკიდებლობას საფრთხე მოელისო.

ამჟამად ბოლშევიკების ყრილობაზე გამოსვლა და ასეთი რამეების ლაპარაკი ყრილობის სიცილს თუ გამოიწვევს მხოლოდ, მაგრამ სამაგიეროთ ჩვენი ყრილობის გარედ, ასეთ განცხადებებს ქებით მოიხსენიებენ. ეჭვს გარეშეა, რომ ამხ. თენგიზ ჟღენტის ეს სიტყვა დიდ სიხარულს გამოიწვევს ქართული ინტელიგენციის ნაციონალისტურად განწყობილ წრეებში და მათ შეუძლიათ სთქვან, რომ დაბოლოს გამოჩნდა კომუნისტი, ძველი ბოლშევიკი, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობას იცავს რაღაც საფრთხისაგან. აი, ამხანაგებო, რატომ არ ღირდა ამის თქმა.

მეორე, რაზედაც ჩიოდა ამხ. თენგიზ ჟღენტი თავის გამოსვლაში, ეს არის საკითხი ამიერ-კავკასიის დაწესებულებების შესახებ. მან განაცხადა, რომ ზედმეტი აპარატების და ორგანოების შექმნას, რომელნიც, ვითომდა, სოკოსავით მრავლდებიან, შეუძლია ძირი გამოუთხაროს ფედერაციას, ჩვენი მიზანია კი მისი რაც შეიძლება უფრო განმტკიცებაო. როცა თენგიზ ჟღენტს ეკითხებიან, რომელია ეს ორგანიზაციები—ის უპასუხებს — ყველა ამიერ-კავკასიის ორგანიზაციები, რომელნიც პირველად, თითქოს, სადირექტივო ხასიათს ატარებენ, ხოლო შემდეგ ოპერატიულ ორგანოებად იქცევიან.

მე ვფიქრობ, რომ არც ეს არის ჩვენი ენა, ვინაიდან თუ ვილაპარაკებთ კონკრეტულად რამიმე დეფექტზე და ხაზის გამრუდებაზე, საჭიროა, აღვნიშნოთ—რომელ დაწესებულებაში არის ეს დეფექტები, რომელი დაწესებულების შექმნა იყო მიზანშეუწონელი და შემცდარი.

მაგალითად, არსებობს ამიერ-კავკასიის მასშტაბით ასეთი დაწესებულება,—ამიერ-კავკ. სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო. თუ ამხ. ჟღენტს ამ დაწესებულების არსებობა შეცდომათ მიაჩნია უნდა სთქვას, რომ ა.-კავკ. სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს შექმნა არ არის თანადროული, რომ მეურნეობის გაერთიანების დრო კიდევ არ დამდგარა და რომ, როგორც თავის დროზე ბუდუ მდივანი ლაპარაკობდა, საჭიროა გავაერთიანოთ ჩვენი სამეურნეო ძალღონე, და არა თვით მეურნეობა და მრეწველობა. ასე გარკვევით უნდა ყოფილიყო თქმული.

როცა ამხ. ჟღენტი ასეთ რამეებს ლაპარაკობდა მე მომაგონდა ფრაზა (ბოდიშს ვიხდი შედარებისათვის, მაგრამ ასეთი შედარება ძალა-უნებურად იბადება) გრიგოლ ლორთქიფანიძის წერილიდან. აი რას სწერდა ის ერთი წლის წინ: „დღიდან თავისი არსებობისა ამიერ-კავკასიის ფედერაციას განუწყვეტლივ და ძლევამოსილად იერიში მოაქვს ნაციონალურ რესპუბლიკებზე და განსაკუთრებით საქართველოზე, ვინაიდან რუსეთის ამ სახელმწიფოს დედა-ქალაქი მოთავსებულია საქართველოს ცენტრში და ამიტომ ადვილი გასაგებია, რომ საბჭოთა საქართველოს მწვანე ჯეჯილს სთელავს ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი, ამიერ-კავკ. სახალხო კომისართა საბჭო და საერთოდ ყველა „ზაკები“.

აი, ამხანაგებო, თქვენ ხედავთ, რომ ეს „ზაკები“ „სოკოებივით მრავლდებიან“ და ზოგიერთებს მოსვენებას არ აძლევენ. მე მხოლოდ ის არ მესმის, თუ რატომ არ აძლევენ ეს „ზაკები“ მოსვენებას თენგიზ ჟღენტს. იმისათვის, რომ გაგაცნოთ გრიგოლ ლორთქიფანიძის აზრი ამ საკითხზე, ნება მომეცით მოვიყვანო პატარა ციტატა. გრიგოლ ლორთქიფანიძე შემდეგს სწერს: „ქართული ენა არა სიტყვიერად, არა დეკრეტისა და დეკლარაციის სახით, არამედ საქმით, რეალურად უნდა გახდეს ნამდვილ სახელმწიფოებრივ ენად, მთელი საბჭოთა საქართველოს ფარგლებში, ყოველგან და ყველა დაწესებულებაშიო“.

ამას ლაპარაკობს გ. ლორთქიფანიძე—მენშევიკური პარტიის წარმომადგენელი. ახლა ვნახოთ, რა სთქვა ჩვენს ყრილობაზე ამხ. თენგიზ ჟღენტმა.

მან განაცხადა, რომ საკითხი ენის შესახებ ვერ არის კარგად დაყენებული: „ავიღოთ, მაგალითისათვის თბილისის პარტუჯრედები. იქ მოხსენებები არ კეთდება ადგილობრივ ენაზე. არ ლაპარაკობენ არც ქართულად, არც სომხურად. ლაპარაკობენ მხოლოდ რუსულად. ვინც რუსულად ლაპარაკობს, ის აქტიურ მუშაკად ითვლება, ხოლო ვინც ეს ენა არ იცის, მას პასიურ ელემენტად სთვლიან“.

თენგიზ ჟღენტის აზრით თბილისის უჯრედებში ადგილობრივ ენებზე არ ლაპარაკობენ. ლაპარაკობენ მხოლოდ რუსულად. ამასვე ადასტურებს აშკარა მემარჯვენე ელემენტი—კვირკველიაც, რომელიც ლაპარაკობს, რომ ქართული ენა თბილისში ისპობა და, თურმე, შორს არ არის ის დრო, როცა ის სავსებით აკრძალულ იქნება. ადარებთ ერთმანეთს ყოველივე ამას და ვერ გაგიგიათ—რაშია აქ საქმე? სად და როდის იყო თქმული, რომ ქართულ ენას გასავალი არ უნდა ექნესო? ჩვენ, პირიქით, ცენტრალურ კომიტეტის პლენუმებზე ყოველთვის ვლაპარაკობდით, რომ საჭიროა დავიცვათ ქართული ენის სიწმინდე, ვიზრუნოთ იმაზე, რომ მუშებისა და გლეხებისათვის ყველაფერი მათთვის გასაგებ მშობლიურ ენაზე იწერებოდეს. ზუგდიდის მაზრის მიმართ ჩვენ უფრო შორს წავედით. როცა დავრწმუნდით, რომ სამაგრელოს მოსახლეობის ნაწილს ქართული ენა არ ესმის, ჩვენ ვსთქვით—დეე ქართული ასოებით მათ დაუწერონ მეგრულად, ოღონდ გლეხთა მასა შევუერთოთ ჩვენს კულტურას, ჩვენს საბჭოთა მშენებლობას. როგორ შეიძლება ამის შემდეგ გამოსვლა და იმის ლაპარაკი, რომ თითქოს ვინმე ავიწროებდეს ქართულ ენას. ეს სხვა რომ არ იყოს—სასაცილოა. განა ეს საკითხი რეალურად სდგას? თქვენ ამტვრევთ ღია კარებს და არ გესმის, ვისთვის არის ეს საჭირო.

თენგიზ ჟღენტი ლაპარაკობს, რომ ის ემხრობა ამიერ-კავკასიის ფედერაციას, მის განმტკიცებას, მაგრამ მას შემოაქვს ისეთი ელემენტები, რომელიც ვერავითარ შემთხვევაში ვერ განამტკიცებენ ამიერ-კავკასიის ფედერაციას. მან აქ ჩამოთვალა დაწესებულებები მებამბეობის, ამიერ-კავკასიის კომიტეტი, „ზაკსოიუზი„ და სხვ., მოიყვანა ციფრები—ქართველი ამდენია, სომხები და რუსები ამდენიაო და სხვ...

ამაზე თავის დროზე ლაპარაკობდა სეით დევდარიანიც. მასაც, სხვათა შორის მაგალითად მოჰყავს მებამბეობის ამიერ-კავკასიის კომიტეტი, ასე, რომ ამხ. თენგიზ ჟღენტი აქ ვერ იჩენს ორიგინალობას. როცა მე სეით დევდარიანს დავუსვი კითხვა—თქვენ გინდათ, რომ საქართველოს და ამიერ-კავკასიის დაწესებულებებში სრულ ას პროცენტს შეადგენდნენ ქართველები მეთქი,—მან სთქვა, რომ ეს მას არ უნდა. მაშ რაღა უნდათ მათ? შეფარდება, პროპორცია ჩვენ დაცული გვაქვს. ის მასალები, რომლებიც ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტს აქვს, მოწმობენ, რომ ქართველების პროცენტი იზრდება.

აი მე აქ ხელთა მაქვს ციფრები, რომლებიც ამას მოწმობენ, რომ სავსებით ფარდა ავხადოთ აქ ამხ. თენგიზ ჟღენტის გამოსვლას, მე მოვიყვან ამ ციფრებს. აი რას ლაპარაკობენ ეს ციფრები: „ამიერ-კავკასიის დაწესებულებათა თანამშრომლების მთელს შემადგენლობაში 1928 წელს ქართველი პასუხისმგებელი მუშაკები შეადგენდნენ —27,8 პროცენტს, ხოლო 1929 წლის იანვრის შემდეგ მათი რიცხვი გაიზარდა 31,4 პროცენტამდე.

შემდეგ, ტექნიკურ მუშაკებს შორის ქართველები შეადგენდნენ 27,2 პროც., ეხლა შეადგენენ—28,8 პროც.

თუ ავიღებთ თანამშრომელთა მთელს შემადგენლობას, დავინახავთ, რომ ქართველები შეადგენენ 29,7 პროც., დანარჩენ პროცენტს—დანარჩენი ეროვნებანი (სომხები, თურქები და რუსები).

როცა ციფრები ლაპარაკობენ, რომ 29,7 პროც. ქართველები არიან, რაღა უნდა ამხ. თენგიზ ჟღენტს. შეიძლება მას იმისი თქმა უნდა, რომ რუსები და სომხები სულ არ არიან საჭირო? მაშინ ეს გარკვევით უნდა ეთქვა. უბრალო წამოხტომა და რაღაცას განცხადება—არ კმარა, საჭიროა სთქვა, რას მოითხოვ.

ლაპარაკი ამიერ-კავკასიის ფედერაციაზე და ამავე დროს თითებზე ჩამოთვლა—ვინ სად რამდენი არის—ეს არ არის კომუნისტის შესაფერი საქმე. საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მე-9-ე წლის თავზე დროა შეწყდეს ლაპარაკი იმაზე, თუ ვის რანაირი სისხლი აქვს და ვინ საიდან წარმოიშვა, განსაკუთრებით ეს არ არის საჭირო პარტიულ ყრილობაზე (ტაში).

თუ ჩვენ აქ ვილაპარაკებთ ამხ. კადიროვზე და მის პიროვნებაზე, შეიძლება მეტი ყურადღება მივაქციოთ მას, ვინემ ეს ეკუთვნოდა, აქ უნდა ვსთქვა, რომ აზერბეიჯანელმა ამხანაგებმა სასტიკად გაჰკიცხეს კადიროვი, მაგრამ ამხ. თენგიზ ჟღენტის გამოსვლა მოწმობს, რომ საქართველოს კომპარტიაში არიან კადიროვის მსგავსი ელემენტები და ამის უყურადღებოდ მიტოვების უფლება ჩვენ არ გვაქვს. დაუზოგავად უნდა ვამხილოთ ასეთი მოვლენები და მობილიზაცია ვუყოთ ჩვენი პარტიული ორგანიზაციების აზრს იმისათვის, რომ ვებრძოლოთ ყველა ხაზის ნაციონალიზმს, რა რიგადაც არ უნდა იყოს იგი შელამაზებული. თუ ჩვენ ძირშივე არ ამოვფხვრით ყოველივე ეს, შესაძლებელია ის გაიზარდოს და შემდეგში იქცეს რომელიმე ახალ გადახრად.

ამიტომ ჩვენ უნდა განვაცხადოთ, რომ სასტიკად შევებრძოლებით ყოველგვარ კადიროვშჩინას და ამავე დროს ისეთ ნაციონალისტურ განწყობილებებს, რომელიც დავინახეთ ამხ. თენგიზ ჟღენტის გამოსვლაში.

მე კიდევ ვიტყვი ორიოდე სიტყვას და ამით გავათავებ ამხ. ჟღენტის შესახებ. სულ ტყუილად აძლევს ის ასეთ „ტრაღიკულ“ ხასიათს ამ საკითხს. მან სიტყვა სიტყვით ასე სთქვა, რომ ის ძალიან იტანჯება; ის დიდ ტკივილებს განიცდის. ისმება კითხვა—ვისი გულისათვის და რატომ ელმება ის ჯვარზე? ეხლა ჩვენ ვლაპარაკობთ სოციალისტურ მშენებლობაზე, ჩვენს ძლევამოსილ წინსვლაზე, ქვეყნის ინდუსტრიალიზაციაზე, სოციალიზმის დიდ პერსპექტივებზე,—აქ კი ტრიბუნაზე გამოდის ძველი ბოლშევიკი და ლაპარაკობს, რომ მას ძალიან სტანჯავს ის, რომ თურმე ქართველები ამიერ-კავკასიის დაწესებულებებში შეადგენენ არა 31 პროცენტს (რამდენსაც საერთოდ შეადგენს ამიერ-კავკასიის მოსახლეობაში), არამედ დაახლოვებით 30 პროცენტს.

განა ეს სასაცილო არ არის? რით აიხსნება ეს, როცა ამხ. თენგიზ ჟღენტი ლაპარაკობს თითქოს ქართველების პასივობაზე. მას ისე გამოუდის, რომ თუ მარტო ქართული ენა იცი, ეს საკმარისია. მაგრამ ეს ხომ პროგრესისაკენ ჩვენ არ წაგვიყვანს. რაც მეტი ენა იცი, მით უკეთესია. ჩვენ უნდა ვებრძოლოთ უმეცრებას. ჩვენ რაც შეიძლება მეტი ენა უნდა ვიცოდეთ და არაფერი დამსახურება არ არის, თუ, მაგალითად, მეგრულ ამხანაგებს სურთ, რომ მეგრელმა გლეხმა მხოლოდ მეგრული ენა იცოდეს. ეს ჩამორჩენილობაა. თუ მეგრელ გლეხს ეცოდინება ქართულიც და რუსულიც, ეს მით უკეთესია. მე ვფიქრობ, რომ ამ საკითხში ჩვენ აბსოლიუტური გარკვეულობა უნდა გვქონდეს. უნდა ვიცოდეთ ქართულიც და რუსულიც; თუ ქართველმა კარგად იცის რუსული ენა, ის მით უფრო უკეთესად იმუშავებს საბჭოთა ხელისუფლების განსამტკიცებლად საქართველოში.

ეხლა, ამხანაგებო, შევეხები ჩვენს ღონისძიებებს ზუგდიდის მაზრაში და ეგრედწოდებულ სამეგრელოს საკითხს. აქაც არის გადამლაშება, როცა ამხანაგები ლაპარაკობენ ვოსტორგოვზე, ველიჩკოზე და მათი აჩრდილები ყრილობაზე გამოჰყავთ—ეს სრულებით არ ვარგა. არაფერი საერთო არ აქვს იმას, რაც ცეკამ დაადგინა და ტარდება ზუგდიდის მაზრაში, იმასთან, რასაც ლაპარაკობდნენ ველიჩკო, ვოსტორგოვი, ყოველი ჯურის ხუცები და შავრაზმელები. უნდა მიუდგეთ მოვლენებს ისე, როგორც ეს არის სინამდვილეში. ამხ. ლენინი ცარიზმის დროს ლაპარაკობდა ნაციონალურ კულტურაზე, რომ ნაციონალური კულტურა ეს არის მღვდლების, მემამულეების და ბურჟუაზიის კულტურა, და მაშინ ასეთი იყო ლოზუნგი: „ძირს ნაციონალისტური კულტურა“, რას ვლაპარაკობთ ჩვენ ახლა, ხოლო პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში? ჩვენ ვლაპარაკობთ, რომ ჩვენ გვესაჭიროება ნაციონალური კულტურა, ნაციონალური თავისი ფორმით და პროლეტარული თავისი შინაარსით.. ჩვენ არავის არ მივსცემთ ნებას დაამახინჯოს ეს ლოზუნგი. ჩვენ ჩვენი განვითარების პირობებში უნდა გამოვიყენოთ ყველაფერი, რაც მუშათა კლასს ჩვენს საბჭოთა კულტურასთან დაკავშირებას უადვილებს. აი ამიტომ არის მიუღებელი ისეთი მიდგომა სამეგრელოს საკითხისადმი, რომელსაც აქვს ადგილი ზოგიერთ ამხანაგის მხრივ. მეორეს მხრივ, ჩვენ უნდა ვებრძოლოთ ნაციონალური შეზღუდულობის ყალბ შეხედულებებს, რომლებმაც იჩინეს თავი ზუგდიდის მაზრაში. აქ კი ჩვენ საქმე გვაქვს მართლაც ნამდვილ გონებრივ შეზღუდულობასთან. რომ ზუგდიდის მაზრაში ნამდვილად აქვს ადგილი ამ შეზღუდულობას, ამას ადასტურებს თუ გინდ ის გარემოებაც, რომ ზუგდიდელი ამხანაგები წარა-მარა ეპოტინებიან თავის მუზეუმს, სადაც მოეპოვებათ ერთი რაღაც დიდი ხანჯალი, რომელიც, ვითომც მეფე თუ თავადი ჰკვეთავდა თავს მეგრელ გლეხებს. თურმე ეს ხანჯალი იმისათვის არის საჭირო, რომ სამეგრელოს გლეხები აღიზარდონ კლასობრივ ნიადაგზე, რომ მათ იცოდნენ, რომ ვიღაც თავადი გლეხებს თავს აგდებინებდა. არის კიდევ ამ მუზეუმში რომელიღაც მეფის საინები, ნაპოლეონის ჭადრაკი. ზუგდიდელი ამხანაგები ფიქრობენ, რომ ეს ისეთი მუზეუმია, რომელმაც, როგორც სჩანს, უნდა იქონიოს მიწერ-მოწერა ბრიტანეთის, პარიზის და სხვ. მუზეუმებთან.

მე თქვენ მოგიყვანთ ერთ დამახასიათებელ მაგალითს, თუ როგორ ზრდიან ზუგდიდელი ამხანაგები გლეხობას, როდესაც მე ამ მაზრაში ვიყავი, ვკითხე ერთ თემში შეგროვილ გლეხობას, თუ რა ესაჭიროება მათ. გამოდის ერთი გლეხი და ამბობს: ჩვენში ყოველივე სავსეა, მანუფაქტურა გვაქვს, მჭადის ფქვილი გვაქვს, თუმც, რა თქმა უნდა, უკეთესი იქნებოდა პურის ფქვილი რომ გვქონდეს, ჩვენ არაფერი არ გვინდა, ხოლო ნუ გადაიტანთ ჩვენს მუზეუმს ტფილისშიო. ასე ზრდიან გლეხობას. ეს კი დაუშვებელია. რისთვის და ვისთვის არის საჭირო ამის მტკიცება, რომ ამა თუ იმ მონასტერს დიდი მნიშვნელობა აქვს. (წალენჯიხაში მოიპოვება რომელიღაც მონასტერი, რომელიც მოწმობს „მეგრულ ეროვნულ კულტურას“, როგორც სთქვა ერთმა ინტელიგენტმა კრებაზე).

აი, რატომ ვაფრთხილებდით და ახლაც ვაფრთხილებთ ზუგდიდელ ამხანაგებს, რომ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება სწორია, ხოლო თუ ისინი თვითონ გაყვებიან წვრილ-ბურჟუაზიულ ყალბ შეხედულებებს, ისინი მეტად უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდებიან. აი, რატომ სჯობია დროზე შეჩერება, რომ არ გადავიჭრეთ წვრილ ბურჟუაზიულ ჭაობში. (ტაში).

რამდენიმე სიტყვა სამხრეთ-ოსეთის შესახებ. მე, სამწუხაროდ, გამომრჩა ეს საკითხი ჩემს ძირითად მოხსენებაში და მსურს ახლა შევეხო მას.

უწინარეს ყოვლისა, სამხრეთ-ოსეთისადმი ყურადღების შესახებ, ცენტრალური კომიტეტის სახელით მე უნდა მოგახსენოთ, რომ ამ ავტონომიურ ოლქს არა აქვს მიპყრობილი საკმაო ყურადღება. ხუთ-წლიანი გეგმაც, რომ ავიღოთ, იგიც კი სამწუხაროდ, ძლიერ სუსტად გამოხატავს სამხრეთ-ოსეთის სამეურნეო-კულტურულ განვითარებას.

მრეწველობის დარგში, გარდა ტყის საქმის გაფართოვებისა, განზრახულია კვლევა - ძიების წარმოება სამთო დარგში, მაგრამ ეს არ კმარა. უნდა ვსთქვათ, რომ ის ლოზუნგი, რომელიც ჩვენ წინად წამოვაყენეთ — მეტი ყურადღება სამხრეთ - ოსეთს, დღემდე არ განხორციელებულა და ჩვენ უნდა შევეცადოთ, რათაც არ უნდა დაგვიჯდეს, მეტი ყურადღება მივაქციოთ ამ ოლქს, მით უმეტეს, რომ ეს ოლქი განადგურებული იყო მენშევიკების მიერ. ამას მეტი ყურადღება უნდა მიექცეს, მეტი თანხები უნდა გადაიდოს სამხრეთ-ოსეთის სამეურნეო და კულტურული განვითარებისათვის. ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ სამხრეთ - ოსეთში არსებობენ სერიოზული ნაკლოვანებანი. აქ გამოვიდა ამხ. ჯატიევი და სამართლიანად ილაპარაკა ჩვენი პარტიის ეროვნული ხაზის შესახებ. ჩვენ არ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ამხ. ჯატიევი უხვევს ამ ხაზს. პირიქით, ის ნამდვილი ინტერნაციონალიზმის პოლიტიკის საუკეთესო წარმომადგენელი იყო, მაგრამ მაინც უნდა ითქვას, რომ მან არ აღნიშნა ის ძირითადი ნაკლოვანებანი, რომლებიც არსებობენ სამხრეთ - ოსეთის ოლქში. მაგალითად, ამას წინად გაზეთებში დაიბეჭდა ცნობა, რომ სამხრეთ-ოსეთში არიან „წითელი თავადები“ ფავლენიშვილები, ერისთავები და სხვ. და რომ სამხრეთ - ოსეთის მიწსახკომი ნაცვლად იმისა, რომ კლასობრივი ხაზი გაატაროს, უკავშირდება ამ ელემენტებს და ამბობს, არ შეიძლება სამხრეთ-ოსეთში კოლექტიური მეურნეობების მოწყობაო. ეს არის პარტიული ხაზის გამრუდება. არსად არ არის ნათქვამი, რომ რაკი ეს ავტონომიური ოლქია, ჩვენი ხაზის გამრუდების საქმეშიც მას უნდა ჰქონდეს ავტონომია (სიცილი). მე მგონია, ჩვენ არავითარი ავტონომია არ უნდა მივსცეთ ავტონომიურ ოლქებს პარტიული ხაზის გამრუდების საქმეში. ამიტომ სამხრეთ-ოსეთი უნდა განთავისუფლდეს სხვადასხვა ქართველ თავადებისაგან, აფხაზეთი — ზოგიერთი რუსი თეთრგვარდიელი მოხელეებისაგან, რომლებიც იქ ჯერ კიდევ მოიპოვებიან. ავტონომიური ოლქის ინტერესები არ იზარალებენ, არამედ მოიგებენ, როდესაც ამ ელემენტების ნაცვლად, რომლებიც აფერხებენ ჩვენს საქმეს, ჩვენ დავსვამთ მშრომელებს სამხრეთ - ოსეთის ან აფხაზეთის ძირითად მოსახლეობიდან.

ვიმეორებ, ამხ. ჯატიევს უნდა ეთქვა, რომ ასეთი ნაკლოვანებანი მათ აქამდე კიდევ აქვთ, ეს ნაკლოვანებანი ახლო მომავალში უნდა იქნან გამოსწორებული.

იდეოლოგიური ფრონტი

ახლა **იდეოლოგიური ფრონტის** საკითხებზე. ზოგი ამხანაგი, რომელმაც აქ ილაპარაკა, მისაყვედურებდა, რომ არ შევეხე ამა თუ იმ საკითხს. ეს მართალია, მე არ შემეძლო ყველა მომენტს შევხებოდი, მაგრამ ვფიქრობდი, რომ ისინი თვითონ მომაგონებდნენ თავს. აქ გამოვიდა ამხ. გეგენავა, განათლების დარგის მუშაკი. მე მეგონა, რომ ის გვიამბობდა განათლების დარგში არსებულ ნაკლოვანებათა და იქ მომუშავეთა მოთხოვნილებების შესახებ, მაგრამ მან მეტი იდავა ზუგდიდის საკითხზე. უწინარეს ყოვლისა მას ყურადღება უნდა მიექცია ჩვენი მასწავლებლობისათვის (ხმები. მართალია). თუ ჩვენ გვსურს წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია, თუ გვსურს გადავაქციოთ ჩვენი ქვეყანა წერა-კითხვის მცოდნეთ, ყურადღება უნდა მივაქციოთ ჩვენი მასწავლებლობის ათასეულ რაზმებს. რა სთქვა ამხ. ლენინმა ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინად სახალხო მასწავლებლობაზე: „სახალხო მასწავლებელი ჩვენში ისეთ სიმაღლეზე უნდა დადგეს, რომელზედაც იგი არასოდეს მდგარა და არ სდგას და არც შეუძლია იდგეს ბურჟუაზიულ საზოგადოებაში. ეს არის ჭეშმარიტება, რომელიც არ მოითხოვს დამტკიცებას.

ამ მდგომარეობისაკენ ჩვენ უნდა წავიდეთ იმით, რომ სისტემატიურად, დაუღალავად, შეუდრეკელად უნდა ვიმუშაოთ მისი სულიერი ამაღლების საქმეზედაც, მისი ჭეშმარიტად მაღალი წოდებისათვის ყოველმხრივ მომზადებაზედაც და, რაც მთავარი, მთავარი და მთავარია, მისი ნივთიერი პირობების ამაღლებაზედაც.

სისტემატიურად უნდა გაძლიერდეს მუშაობა მასწავლებლობის შესაკავშირებლად, რომ ბურჟუაზიული წყობილების დასაყრდენიდან, რომელსაც დღემდე წარმოადგენს უკლებლივ ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში, გადავაქციოთ საბჭოთა წყობილების დასაყრდენად, რომ მისი მეშვეობით გლეხობა გამოვიყენოთ ბურჟუაზიასთან კავშირიდან და მივიზიდოთ პროლეტარიატთან კავშირში“ (ლენინი, ტ. 18, გვ. 115).

ხომ ხედავთ, რა დიდ როლს აკუთვნებდა ლენინი სახალხო მასწავლებელს. ის ამბობდა, რომ, ჯერ ერთი, სახალხო მასწავლებელი უნდა ავიყვანოთ მიუწდომელ სიმაღლეზედ და, მეორეც, სახალხო მასწავლებლის საშუალებით გლეხობა უნდა ჩამოვაშოროთ ბურჟუაზიასთან კავშირს და გადმოვიყვანოთ პროლეტარიატის მხარეზე. რასაკვირველია, ეს ჩვენში კეთდება, მაგრამ ჯერ ცოტაა გაკეთებული. ჩვენ ყურადღება უნდა მივაქციოთ მასწავლებლობის ნივთიერ მდგომარეობას. განა ეს ნორმალურია, როდესაც ჩვენი მასწავლებელი სოფლად იხდის ბინის ქირას და ყველა კომუნალურ გადასახადს და ღებულობს კი პატარა ჯამაგირს. ეს არანორმალურია და ადგილობრივ მუშაკთა მოვალეობაა მიაქციონ ყურადღება იმას, რომ გამოიძებნოს საშუალებანი ადგილობრივ ბიუჯეტში და, ყოველ შემთხვევაში, ბინის ქირიდან და კომუნალური გადასახადებიდან მაინც გაანთავისუფლონ მასწავლებლობა. მხოლოდ მაშინ უზრუნველვყოფთ სახალხო მასწავლებელს, მხოლოდ მაშინ გახდება ის (რა თქმა უნდა, მასწავლებლობის სათანადო გაწმენდის შემდეგ უვარგის ელემენტებისაგან) ნამდვილი სახალხო მასწავლებელი (ტაში).

ახლა პროფესურის შესახებ. ამ პერიოდის განმავლობაში ჩვენ ჩავატარეთ უმაღლეს სასწავლებელთა რაციონალიზაცია, გავაერთიანეთ სახელმწიფო უნივერსიტეტის და სახელმწიფო პოლიტეხნიკური ინსტიტუტის საინჟინერო და აგრონომიული ფაკულტეტები. წინად ამ საკითხში დიდი წინააღმდეგობა გაგვიწია პროფესურამ, მაგრამ დღეს, როდესაც ჩვენ უკვე ჩავატარეთ ეს რაციონალიზაცია, ზოგი პროფესორი, განსაკუთრებით სახელმწიფო პოლიტეხნიკური ინსტიტუტიდან, აცხადებს, რომ ისინი მეტად კმაყოფილნი არიან ამ რაციონალიზაციით, რომ დღეს ჩვენ უკვე მოგვეპოვება ნამდვილი ინტერნაციონალური სკოლა, სადაც რუსებს, ქართველებს და სომხებს ასწავლიან რუსულ და სომხურ ენებზე, და რომ ამავე დროს არა თუ არ შელახულა მეცნიერების ინტერესები, არამედ, პირიქით—მათ მოიგეს კიდეც.

სამწუხაროდ, არ შეიძლება იგივე ითქვას აგრონომიული ფაკულტეტის შესახებ არა სწორი ხელმძღვანელობის წყალობით. მე ვფიქრობ, რომ ჩვენ შემდეგშიაც უნდა ვიაროთ ჩვენი უმაღლეს სასწავლებლების გაჯანსაღების გზით.

სრულიად სწორი იყო ამხ. სალუქვაძის წინადადება პროფესურის გადარჩევის შესახებ. ჩვენ უნდა გადავარჩიოთ პროფესორები და ჩავაბათ მუშაობაში ახალგაზრდა ძალები, რომ ნამდვილად გავატაროთ ჩვენი უმაღლეს სასწავლებლების გასაბჭოება.

ეხლა გადავდივარ ლიტერატურის საკითხებზე. ჩემს ძირითად მოხსენებაში მე არ დამისახელებია პროლეტარულ მწერლების ზოგიერთი ნაწარმოები. ახლა მე გადმომცეს პროლეტარულ მწერლების ახლად გამოშვებული რამდენიმე წიგნი. მე მსურს შევჩერდე ამ საკითხზე იმის გამო, რომ ყველა პროლეტარული მწერალი როდი სდგას სათანადო სიმაღლეზე. ავიღოთ მაგალითისათვის ახალგაზრდა პროლეტარული მწერალი—ლორთქიფანიძე. მან წიგნაკი გამოუშვა. ამ წიგნაკის დასაწყისში, სადაც იგი, როგორც სჩანს, გვაძლევს შესავალ პლატფორმას, ნათქვამია შემდეგი:

რა გალრიალებთ!
განა არ მესმის
ბრძოლებმა რატომ გადაიარა;
ვიცი რომ ძველი გრძნობების ფესვი
მოსასპობია ჩემში მთლიანად.
მაგრამ არა მწამს, რომ გულზე ყალბად
— თუ სადმე განცდის შავი ტილოა.
ჩემს თავს თვითონვე გაუკრა დაფა!
— ნუ შეეხები, სასიკვდილოა!
და როგორც სხვებმა
ბიბლიის ენით
გავლექსო ცაკის დადგენილება,
ან კომპარტიის დირექტივების
დავიწყო უშნოდ გადამღერება.

აი, ამხანაგებო, იმ მწერლის მრავალმხედველობისათვის, რომელიც თავის თავს პროლეტარულ მწერალს უწოდებს, იმ გრანდიოზულ კლასობრივ ბრძოლების ეპოქაში, რომლებიც სწარმოებს ჩვენს ქვეყანაშიც და ჩვენი ქვეყნის გარეთაც, ფრიად დამახასიათებელია ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ბრძოლებმა უკვე გადაიარა, რომ შენელდა ბრძოლის წყურვილი, და, დახეთ, მას არ სურს უმღეროს თავის ლექსებში პარტიის დირექტივებს. რას გავს ეს სტილი? განა შეიძლება ასე ლაპარაკი ჩვენს ეპოქაში, როდესაც ჩვენს ქვეყანაში სწარმოებს კაპიტალიზმის ფესვების ამოფხვრა, ხოლო დასავლეთში მუშათა კლასი სასტიკად ებრძვის ბურჟუაზიას?

აი კიდევ მეორე პოეტი—იონა ვაკელი, რომელიც სწერს „საქართველოზე“. საერთოდ ჩვენს პოეტებს, პროლეტარულს და არაპროლეტარულს, ავადმყოფობად გადაექცათ სწერონ უეჭველად საქართველოზე, საერთოდ ქართულ რასაზე, ქართულ სისხლზე და სხვ.

აი, რას სწერს იონა ვაკელი:

და ამ დუღილში შორს გაექანე,
სამშობლო მხარევ, სისხლიან დალით,
შენ ხარ უკვდავი ბრძოლის ქვეყანა,
სამყაროს გულზე—გაშლილი ბაღი.
და მე ვოცნებობ ამ გაშლილ ბაღში
უნდა ვკონავდეთ ქარხნების კონებს,
გვქონდეს სიცოცხლის გაქანებაში
სხვა ხალხთა სწორი ძალა და ღონე.
ვიყავით ძველი ტომის და ჯიშის,
მაგრამ მომავალ ახალ ეპოქებს—
ჩვენ არაოდეს არ უცქერთ შიშით,
ჩვენ ამ ბრძოლაში არ გვყავს მეტოქე
და ყველა აქ ვართ დღეს მოგროვილი...
ქართული სისხლი თვით მზის ფერია
და ამ სისხლითვე დაგვიწერია
დროშაზე: ქება მოოქროვილი!

ამას წინად ნაციონალისტური მწერალი გერონტი ქიქოძე სწერდა, რომ საქართველო რაღაც განსაკუთრებული ქვეყანააო, და იგი თავის მხრივ იმსჭვალება პატრიოტიზმით, რომ მის ნაციას ჰყავს დიდებული ადამიანები, თუმცა ისინი მისთვის მტრული პარტიის წარმომადგენელნი არიან, აქ კი ვაკელი სწერს, რომ ქართული სისხლი რაღაც განსაკუთრებული სისხლიაო. მე არ ვიცი ჯანსახკომის რომელ ლაბორატორიაში მოახდინეს ქართული სისხლის ანალიზი, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ის კი ცხადია, რომ ამას არაფერი აქვს საერთო პროლეტარულ პოეზიასთან. შემდეგ ვაკელი სწერს მიმართვას. როგორ გგონიათ, ვის—მუშათა კლასს, ფაბრიკას და კოლმეურნეობას, თუ კომკავშირისა და პიონერების სულ უფრო და უფრო გაზრდილ კადრებს? სრულიადაც არა—ეს გახლავთ „წერილი ეროზისადმი“. (სიცილი).

აი რას სწერს იგი ამ შრომის შესახებ:

მრავალ ბრძოლებით მოქანცული და შებერტყილი
მოვალ და ისევ მეგობრულად მოგეფერები.
ნეტავ შენსავით მაინც ვიყო მე უდარდელი.
მაგრამ რა ვუყოთ ცხოვრებამ ხომ ასე ინება:
შენ სძოვდი ბალახს, მე კი სევდის მკლავდეს ჩქერები.
ხომ სულ ერთია, დავბრუნდები მაინც ოდესმე
და ძველებური სიგულწრფელით მოგეფერები.

ეს გახლავთ იდილია, რომელიც თავის დროზე ასწერა ილია ჭავჭავაძემ, როდესაც მიმართავდა ნიკორას ხარს. მხოლოდ იქ იყო ხარი, აქ კი ძროხა. ვაკელი ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ მას სურს მივიდეს ძროხასთან და და მასთან იყოს, მასავით გულკეთილ და უწყინარ არსებად, რადგანაც იგი დაიღალა დიდი ბრძოლების შემდეგ და სურს დაისვენოს.

უწინარეს ყოვლისა უნდა ითქვას, რომ ვაკელი ვერ დაიღლებოდა ბრძოლისაგან იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ იგი არ იღებდა ამ ბრძოლებში მონაწილეობას. რატომ იღებს იგი თავის თავზე იმ ბრძოლებს, რომლებსაც აწარმოებენ მუშათა კლასი და პარტია? რა თქმა უნდა, იგი ვერ მოერევა ამ მძიმე ტვირთს და იგი ჰპოულობს ნუგეშს ძროხის ალერსში.

ისეთ მომენტში, როდესაც სწარმოებს გადამწყვეტი შეტაკებები კაპიტალისტურ სამყაროსთან, მან ვერაფერი ვერ გამონახა იმაზე უკეთესი, რომ ისეთივე გულკეთილი და უწყინარი იყოს, როგორც „ძროხა“.

ამას არაფერი აქვს საერთო ჩვენი პარტიის ხაზთან, ძლევამოსილ პროლეტარიატის ხაზთან ჩვენ ეს არ გვჭირდება: ჩვენ გვჭირია გამამხნევებელი, ჯანსაღი ოპტიმიზმი, ჩვენ გვჭირია მღერა ფაბრიკა-ქარხნებისათვის, ყველა იმ მშვენიერების, რაც დიად სოციალისტურ ქვეყანაში მოიპოვება, ხოლო ასეთი ნაციონალიზმი და ძროხის პოეზია ჩვენ არ გვჭირდება. (ტაში).

ამის შემდეგ უნდა დავასკვნათ, რომ პროლეტარულმა მწერლებმა სერიოზულად უნდა მოჰკიდონ ხელი სწავლა-მეცადინეობას, რომ საკმარისი არ არის მხოლოდ ლექსების ფორმა იცოდნენ, არამედ უნდა იცოდნენ მარქსიზმიც, ლენინიზმიც, იცოდნენ, თუ რა ხდება ჩვენს გარშემო რა ბუმბერაზული მუშაობა სწარმოებს ჩვენში.

სანამ პროლეტარული პოეტები ამას არ ისწავლიან, სანამ არ გაეცნობიან მარქსისა და ლენინის მოძღვრებას მანამდე გაუძნელდებათ ჰეგემონად გადაქცევა. ახლა ყველა ამ ლორთქიფანიძეებმა, ვაკელებმა და სხვებმა უნდა ისწავლონ, რათა არ დასწერონ ისეთი რამ, რისთვისაც ჩვენ სირცხვილი გვეუფლება ხოლმე. ამიტომ, თუმცა არ ვარგა ყრილობაზე ასეთი დიდი დეფექტების შესახებ ლაპარაკი, მაგრამ მაინც უნდა ვილაპარაკოთ, რათა ეს ამხანაგები წელში გამაგრდნენ და შეეძლოთ ბრძოლა ნაციონალისტურ და ბურჟუაზიულ მწერლებთან, ვინაიდან თუ ცოდნას არ შეიძენენ, თუ ძველი კულტურის ელემენტებს არ შეითვისებენ, ლაპარაკი არ შეიძლება ახალი პროლეტარული კულტურის შექმნის შესახებ. აუცილებლად ყურადღება უნდა მიექცეს სწავლა-მეცადინეობის საქმე. მეტი სწავლა, სწავლა და სწავლა და შემდეგ წერა და დაბეჭდვა თავისი წერილებისა, ლექსებისა, პროზისა. ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე იმასაც, რომ მწერლები განკერძოებულნი არ იყვნენ და მეტი ბოლშევიკური, იდეური გამობრძმედა მიიღონ პარტიასა და კომკავშირში.

პარტიული მშენებლობის შესახებ

ახლა, ამხანაგებო, **პარტიული მშენებლობის შესახებ**. აქ თითქოს სერიოზული წინააღმდეგობა არ გამოუთქვამთ პარტიული მშენებლობის ხაზით. ამხ. ანდრო დოლიძემ თავისი გამოსვლით, მე მგონია, ერთგვარი არასწორი ჰანგები შემოიტანა. შეიძლება მას თვითონ არ სურდა ეს, მაგრამ ასე კი გამოვიდა. ის ამბობდა, თვითკრიტიკა საჭიროა და თვითვე რეგლამენტს უქმნიდა ამ თვითკრიტიკას. აღნიშნავდა, რომ ჩვენი გაზეთები აჭარბებენ და ტყუილ-უბრალოდ აგინებენ ზოგიერთ ამხანაგებს.

ამხ. ანდრო დოლიძე ამბობს, თვითკრიტიკა უნდა განვავითაროთ და, ამავე დროს, ისე უნდა განვავითაროთ, რომ არავის არაფერი ვაწყენინოთო. თუ ასე განვსაზღვრავთ თვითკრიტიკას, არაფერი არ გამოვა. როგორ უნდა მოახერხო, რომ არავის არაფერი აწყენინო. თვითკრიტიკა რომ არ უნდა დააწვრილმანო, ეს აბსოლიუტურად სწორია. მაგრამ არ შეიძლება თვითკრიტიკას რეგლამენტი შევუქმნათ და ის ჩარჩოებში მოვამწყვდიოთ, თორემ არასასურველ შედეგებს მივიღებთ. ჩვენ ვამბობთ, რომ საჭიროა ხელმძღვანელობის კრიტიკაც. ზოგიერთ ამხანაგს საქმე ასე წარმოუდგენია: „შენ მე მაკრიტიკებ, ეს არ შეიძლება, რადგან შენ ამით ხელმძღვანელობას აკრიტიკებ. ხოლო თუ შენ ხელმძღვანელობას აკრიტიკებ, ამით გენერალურ ხაზს აკრიტიკებ, ამიტომ არ გაბედო ჩემი გაკრიტიკება, ვინაიდან მე პარტიის გენერალურ ხაზს გამოვხატავ“.

ეს რა თვითკრიტიკაა? ეს ხომ თვითკრიტიკის შეზღუდვაა, პირში ბურთის ჩაჩრა. ვინც უნდა იყოს, რაც უნდა ახლოს იდგეს ხელმძღვანელობასთან და გენერალურ ხაზს ატარებდეს, თუ მას შეცდომები მოსდის, რატომ არ შეიძლება ამ შეცდომებზე ლაპარაკი. მე ჩემს მოხსენებაში ვამბობდი და ვიმეორებ: თვითკრიტიკა არ უნდა ჩავახშოთ და არ უნდა ჩავკლათ, არამედ მთელის ძალ-ღონით უნდა გავაღვივოთ. ეს ყველას ეხება გამოუკლებლივ, „პიროვნებათა განურჩევლად“. თუ ცეკას, რომელიმე მდივანი შეცდომას სჩადის, თუ თვით ხელმძღვანელობას შეცდომები აქვს, დაე სთქვან ამხანაგებმა; ეს სასარგებლო იქნება, ეს უკეთესია არსებული დეფექტების გამოსასწორებლად. (ტაში).

ამხანაგი დოლიძე ლოზუნგად აყენებს, საჭიროა გვყავდნენ „საქმის კაცები“ და არა „კაცის კაცებიო“. უეჭველია, ამხ. დოლიძეს მხედველობაში ჰყავს მლიქვნელები, მხედველობაში აქვს მლიქვნელობა. ეს სხვა საქმეა. მლიქვნელობას ჩვენ, რასაკვირველია, სასტიკად ვგმობთ. ჩვენ ვკიცხავთ მოლჩალინებს. არიან ისეთი ელემენტები, რომლებიც ფიქრობენ, რომ ყველას უნდა ასიამოვნონ, განურჩევლად, და უფროსებს თვალში იძვრენენ; როგორც უფროსები ფიქრობენ, ისინიც ისე ფიქრობენ. ასეთი მანეკენები ჩვენ არ გვესაჭიროება (ტაში). ჩვენ გვჭირდება ნამდვილი პარტიულები. მაგრამ, ამხანაგო დოლიძე, როდესაც, ამ საკითხს აყენებთ, თქვენ იმის თქმა ხომ არ გინდათ, რომ ცეკა ასეთ პირებს ეტანება? ეს ხომ აბსოლუტურად შემცდარია. ამას ადგილი არა აქვს და ამას ვერ დააბრალებთ ცეკას. ყველგან და ყოველთვის ჩვენ საქმიან მუშაკებს ვირჩევთ, ამავე დროს ნამდვილ კომუნისტებს — ჩვენი პარტიის ხაზის გამტარებლებს, ხოლო თუ ვინმე რითიმეა ნაწყენი, ჩვენ გარანტიას ვერ მივცემთ, რომ ყველა კომუნისტი ყოველთვის 100 პროცენტით იქნება კმაყოფილი ცეკასი, ვინაიდან ჩვენ ზოგჯერ იძულებულნი ვართ ძალიან მწვავედ და მკაცრად გავამათრახოთ ამხანაგები, როდესაც ისინი ცოტა პარტიული ხაზიდან გადახრას იწყებენ, როდესაც მერყეობას იჩენენ, კუთხეში ჩურჩულებენ და ჭორაობენ. ასეთ ამხანაგებს ჩვენ უკან დავახევინებთ ხოლმე და, ვფიქრობ, კვლავაც ასე მოვიქცევით. ც. კ. იმიტომ არის ამორჩეული, რომ ყრილობიდან ყრილობამდე პარტიას უხელმძღვანელოს და ამ ხნის განმავლობაში თუ დავინახავთ, რომ ადგილი აქვს იდეურს თუ არა იდეურს მერყეობას, თუ ზოგიერთ ამხანაგებს გადახრა ეტყობათ სწორი ხაზიდან, ჩვენ მათ წესიერებისაკენ უნდა მოვუწოდოთ და თავი დაუჭიროთ. ამას ჩვენ ვჩადიოდით, ვჩადით და ჩავიდენთ (ტაში).

ამხ. ანდრო დოლიძემ სთქვა აგრეთვე, რომ ოპოზიციასთან ბრძოლის შედეგად ჩვენ დავკარგეთ ბევრი ძველი კადრები. რას ნიშნავს ეს? თუ არსებობს იდეური უთანხმოებანი, თუ არსებობს სერიოზული ბრძოლა პარტიაში, ჩვენ მკაცრნი უნდა ვიყოთ იმ ამხანაგების მიმართ, რომლებიც სცილდებიან ჩვენს ხაზს, ახალგაზრდები იქნებიან ისინი თუ მოხუცნი. პარტია თავის წინსვლაში ზოგჯერ თავიდან იწყვეტს ამა თუ იმ ამხანაგებს, რომლებიც გამოდიან პარტიის გენერალური ხაზის წინააღმდეგ, ბრძოლასაც კი ეწევიან პარტიასთან, როგორც ამას ტროცკისტები სჩადიან. ამაზე სინანული საჭირო არ არის.

დოლიძემ სთქვა, ისინი უნდა შევცვალოთო. ამის წინააღმდეგ არავინ არაფერს ამბობს. მაგრამ როგორ შევცვალოთ? „ისე, რომ თავიდან არავინ არ მოვიწყვიტოთო“ — ამბობს ამხ. ა. დოლიძე. მაგრამ განა საქართველოს კომპარტიის ცეკას როდისმე ვინმე მოუწყვეტია თავიდან, თუ კი მისი გამოყენება შეიძლებოდა სამუშაოდ? არა, ეს არ მომხდარა.

შემდეგ კომკავშირის შესახებ ილაპარაკა ამხ. დოლიძემ და სთქვა, მოხსენებისა და კამათის შემდეგ მას ისეთი შთაბეჭდილება შეექმნა, ვითომც ლოზუნგად იყოს წამოყენებული „გეზი კომკავშირზეო“. ასეთი ლოზუნგი, ამხანაგებო, არავის არ წამოუყენებია. (ა. დოლიძე—ძალიან სასიამოვნოა). არ ვიცი, გესიამოვნებათ თუ არ გესიამოვნებათ, ყოველ შემთხვევაში, კომკავშირი ისეთი ორგანიზაცია არ არის, რომ სირცხვილი იყოს თქმა—ეს თუ ის მაგალითი უნდა ავიღოთ კომკავშირისაგანაო. მაგრამ ასეთი ლოზუნგი არავის წამოუყენებია, ჩვენ ვამბობდით, რომ ახლა, როდესაც მილიონებისა და მილიონების ჩაბმაა საჭირო სოციალისტური მშენებლობის საქმეში, როდესაც საჭიროა მეტი თაოსნობისა და თვით მოქმედების გამოჩენა, კომკავშირი, როგორც ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდა და მებრძოლი რაზმი, ყველა საქმის თაოსანი, დამწყები უნდა იყავს.

თქვენ გგონიათ—ეს ჩემი სიტყვებია? არა, ამხ. დოლიძე, გადაათვალიერეთ ამხ. ლენინის სიტყვა კომკავშირის სრულიად რუსეთის ყრილობაზე; იქ ლენინმა სთქვა: საქმე შეეხება ქალაქის გარე უბნის ბოსტნეულობას თუ წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციას, კომკავშირი დამკვრელ ჯგუფს უნდა წარმოადგენდეს ამ საქმეებში. ლენინი შემდეგ ამბობდა: „იმ თაობას, რომლის წარმომადგენლები ახლა დაახლოებით 50 წლისა არიან, იმედი არ უნდა ჰქონდეს, რომ ის კომუნისტურ საზოგადოებას იხილავს. მანამდე ეს თაობა გადაშენდება. ხოლო ის თაობა, რომლის წარმომადგენელნი ახლა 15 წლისა არიან, კომუნისტურ საზოგადოებასაც იხილავს და თვითონაც ააგებს ამ საზოგადოებას. მან უნდა იცოდეს, რომ მისი ცხოვრების მთელი ამოცანაა ამ საზოგადოების მშენებლობა“. (ტომი მე-XVII, გვ. 328).

ჩვენ გვესმის, რომ სწორედ ახალგაზრდა თაობას, რომელიც ახლა 15—20 წლისაა, დასჭირდება კომუნისტური საზოგადოების შენება და შენების დამთავრება. (ტაში).

და აი, როცა ვიხილავთ ამ საკითხს, სავსებით მართებულად წამოვაყენეთ ლოზუნგი—მეტი ყურადღება კომკავშირს, მეტი ყურადღება თვითმოქმედებას, ინიციატივას, მაგრამ მტკიცე ბოლშევიკური ხელმძღვანელობით. განა ამას რამე აქვს საერთო იმასთან, რასაც ა. დო-

(გაგრძელება იხ. მე-2 გვერდზე)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყრილობის მიმართვა საკავშირო ცაკს
(საბჭოთა კავშირის ექვსი წლის თავის გამო)

„საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირის შექმნის მეექვსე წლის თავზე საქართველოს ბოლშევიკების მე-6-ე ყრილობა საქართველოს მუშათა კლასის და ყველა მშრომელთა სახელით ძმურ კომუნისტურ სალამს უძღვნის პროლეტარიატის დიქტატურის ნებისყოფის გამომხატველს — საბჭოთა კავშირის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს.

ყოფილ მეფის რუსეთის ყველა ეროვნების მშრომელთა მილიონებს, რომლებიც ოქტომბრის რევოლიუციამ გაანთავისუფლა ცარიზმის უღლისაგან, საშუალება აქვთ მოაწყონ ახალი ცხოვრება, განამტკიცონ და განავითარონ სახალხო მეურნეობა, შექმნან ახალი კულტურა ნაციონალური თავისი ფორმით, პროლეტარული თავისი შინაარსით.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა კავშირის ყველა ეროვნების მშრომელნი შედიან ახალ ეპოქაში, როცა ჩვენი ქვეყანა ამოცანად ისახავს „დაეწიოს და გაუსწროს" კაპიტალისტურ ქვეყნებს მძიმე ინდუსტრიის, ელექტროფიკაციის, მსხვილი განსაზოგადოებულ სოფლის მეურნეობის განვითარების ტემპის გაძლიერებით, მთელი სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციის ნიადაგზე. ჩვენ აღმოვფხვრით კაპიტალიზმის ფესვებს, გადაჭრით შევებრძოლებით ექსპლოატატორულ კულაკურ - თავად - აზნაურულ ელემენტებს, საბოლოოდ დავსძლევთ ყველა დაბრკოლებას, რომელიც წინ გვეღობება ჩვენი ქვეყნის სოციალისტური მშენებლობის გზაზე და გავსწევთ ახალი გამარჯვებებისაკენ.

გაუმარჯოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირს — ყველა ქვეყნის პროლეტარიატის და ჩაგრულთა სამშობლოს!"

ლიძე ლაპარაკობს თითქმის ტროცკიზმზე? არა აქვს ამას საერთო ტროცკიზმთან? თქვენ იცით, რომ ტროცკი ცდილობდა კომკავშირის გულის მოგებას. ჩვენ კი ვამბობთ, რომ არ უნდა შევზღუდოთ კომკავშირის თვითმოქმედება და ვსცნობთ, რომ ეს სავსებით სწორია. ლენინი ამბობდა, რომ საჭირო არ არის ახალგაზრდობას ხოტბა შევასხათ, საჭირო არ არის უთხრათ მათ, რომ თქვენ ძალიან კარგი ბიჭები ხართ, რადგან შეიძლება გავაფუჭოთ ისინი. მაგრამ ჯერ კიდევ რევოლიუციამდე ლენინი ამბობდა, რომ აუცილებელია კომკავშირის ორგანიზაციული თვითმოქმედება და საჭირო არ არის წვრილმანი მეურვეობა.

როცა ოზურგეთის ან კახეთის მაზრაში ვააშკარავებთ არასწორ მიდგომას კომკავშირისადმი, ვამხილებთ ამას ყრილობის წინაშე, ვფიქრობთ, რომ სხვა ორგანიზაციებიც არ უნდა წავიდნენ ამ გზით.

მთავარი საფრთხეა მემარჯვენე გადახრა

ახლა, ამხანაგებო, მემარჯვენე გადახრის შესახებ და ამით გავათავებ. როცა ვლაპარაკობთ მემარჯვენე გადახრასთან ბრძოლის საჭიროების შესახებ, ჩვენ მოგვყავდა მემარჯვენე გადახრის გამოხატულების მაგალითები, რათა არ მიგვეჩქმალა იგი. ეს არ მოეწონა ზოგიერთებს. ეს მე წინდაწინ ვიცოდი, რადგან ძალიან კარგია ილაპარაკო ანონიმურად, რომ სადღაც, რომელიღაც სამეფოში, რომელიღაც სახელმწიფოში არსებობს მემარჯვენე გადახრა, მე კი არავითარი ამის მსგავსი არ შემიმჩნევია, და თუ რამე აღმოჩნდა, — ეს სარედაქციო შეცდომაა. (სიცილი). ასეთი მსჯელობის მაგალითი ვნახეთ ამხ. ჭოჟუას (კახეთიდან) გამოსვლაში. ის ამბობდა: „თქვენ წაიკითხეთ ჩვენი რეზოლიუცია, მაგრამ არასწორად გაიგეთ, საორგანიზაციო განყოფილების გამგე ამის შესახებ სხვანაირად ლაპარაკობდა. ის ამბობდა, რომ საქმე ისე კარგად გვაქვს დაყენებული, ღარიბი გლეხობა ისე კარგად არის შეკავშირებული, რომ იგი მზად არის თითქმის კბილებით დაგლიჯოს კულაკი". მე ვფიქრობ, რომ ეს არ არის იმდენად მნიშვნელოვანი შესწორება. ამხ. ჭოჟუას არ შეუძლია დაიკვეხოს, რომ მათ მაზრაში ღარიბი გლეხობა ისე კარგად არის შეკავშირებული, რომ მას ნამდვილად შეუძლია კულაკების დაგლეჯა. მაშინ რით უნდა ავხსნათ ათობით და ასობით მაგალითები იმისა, რომ ჩვენი უჯრედები არ ატარებენ სწორ კლასობრივ ხაზს. იმავე კახეთის მაზრაში ამას წინედ ჩავატარეთ გამოკვლევა და გამოვააშკარავეთ აუარებელი მაგალითები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ჩვენი უჯრედები ზოგჯერ მაჩანჩალობას იჩენენ და არ შეუძლიათ ებრძოლონ კულაკებს როგორც რიგია, ზოგჯერ კი ისინი კულაკების გავლენას ემორჩილებიან. ასეთი ფაქტები არსებობენ და ეს უდავოა, ხოლო აქ გამოსვლა და ლაპარაკი, რომ ეს არის სარედაქციო შეცდომა, სასაცილოა. ჩვენ არ ვიბნევით ამ საკითხებში, აი, თქვენ კი იბნევით, როცა სწერთ პარტკონფერენციის რეზოლიუციას და აცხადებთ ამ რეზოლიუციაში, რომ თქვენს შორის არ არსებობს რაიმე გადახრის გამოხატულების შესაძლებლობაც კი. ამით სწორ ინფორმაციას არ აწვდით პარტიულ ორგანიზაციას. თუ თქვენ სწორად ატარებთ პარტიულ ხაზს, მაშ რით აიხსნება ის ფაქტი, რომელიც ამხ. ჯავახიძემ მოიყვანა. როცა კომკავშირელებმა განავითარეს თვითკრიტიკა, თურმე აბრეშუმის სართავი ფაბრიკა თელავში დახურეს 2 საათით იმისათვის, რომ დამნაშავენი მოენახათ. როცა ამგვარი მაგალითები არსებობს, ეს მოწმობს იმას, რომ არ არსებობს გაშლილი თვითკრიტიკა.

მე შევჩერდები კიდევ ამხ. ზარამიძის გამოსვლაზე. მისი სიტყვებიდან გამოდის, რომ მთავარი საფრთხეა ტროცკიზმი, ხოლო მემარჯვენე გადახრა ისე საშიში არ არის, რადგან მემარჯვენე გადახრას საქართველოში არ აქვს ჩამოყალიბებული პროგრამა.

ამ ამხანაგს არ ესმის ის, რომ მემარჯვენე ან „მემარცხენე" გადახრა არ არის დამოკიდებული იმაზე, რომ აღმოჩნდება თუ არა მის მაზრაში რაიმე პროკლამაცია. ასე მსჯელობა შეუძლებელია. ეს ბავშვური ახსნაა.

მე უნდა ვსთქვა, რომ მემარჯვენე და „მემარცხენე" გადახრასაც აქვს თავისი პლატფორმა, თავისი ჩამოყალიბება. მაგრამ არ მომხდარა ის, რომ პლატფორმა დაეწეროთ თქვენს მაზრაში—ოზურგეთის მაზრაში. ჯერ-ჯერობით კოტე ცინცაძემ ან პარმენ ცინცაძემ დასწერეს პასკვილი, მხოლოდ გინების წერილი. მათ კონტრ-რევოლიუციონურ პლატფორმის დაწერაც კი არ შეუძლიათ, რადგან მათ ამის უნარი არა აქვთ.

მე უნდა ვსთქვა, ამხანაგებო, რომ ტროცკიზმი განადგურებულია, დაძლეულია. ეხლა კი მთავარ საფრთხეს წარმოადგენს მემარჯვენე გადახრა, ოპორტუნიზმი. სწორედ ამიტომ საჭიროა პარტიული ორგანიზაციის მთელი ყურადღება მიექცეს მემარჯვენე გადახრას და არ იქნას დაშვებული არავითარი შემარიგებლობა ამ გადახრასთან საქართველოს კომპარტიის რიგებში. აქ საჭიროა გარკვეულობა და როგორც კამათიდან სჩანს, ეს გარკვეულობა არსებობს. ჩვენ შევსძელით სწორი ხაზის დასახვა ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალური განვითარების დარგში, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის დარგში, ბიუროკრატიზმთან და დამახინჯებასთან ბრძოლის დარგში. საჭიროა უფრო მეტად შეიარაღება, რათა შევასრულოთ პარტიის მორიგი ამოცანები და იმ ბრძოლებს, რომლებიც მოგველის, სრული შეიარაღებული შევხვდებით. საქართველოს ბოლშევიკები არ მიეცემიან პანიკას, ისინი გადალახავენ სიძნელეებს და შეებრძოლებიან ყოველგვარ გადახრას პარტიის გენერალური ხაზიდან. არც ნაციონალისტურმა გადახრამ, არც მთელმა რიგმა სხვა გადახრამ არ შეიძლება რაიმე თანაგრძნობა ჰპოვოს საქართველოს კომპარტიის რიგებში. იგი შეიარაღდება მემარჯვენე გადახრის და მასთან შემარიგებელი დამოკიდებულების წინააღმდეგ საბრძოლველად და ღირსეულად გამარჯვებული გამოვა ამ ბრძოლიდან. ჩვენში არ შეიძლება არსებობდეს პანიკა, ჩვენ არ შეგვიძლია კვირკვლიას მსგავსად ვიფიქროთ, რომ ჩვენი საქმე გაკოტრდა. **ჩვენი მე-6 ყრილობა კიდევ უფრო განმტკიცდება იმ რწმენით, რომ კომუნიზმის გამარჯვება აუცილებელია. ლენინი მე-11 ყრილობაზე ამბობდა,—და ეს მართალია ეხლაც,— რომ პირდაპირი შეტევა ჩვენს წინააღმდეგ არ არსებობს, მართალია, ჩვენ ყელში არ გვიჭერენ ხელს, ჯერ კიდევ არ გვიტევენ იარაღით ხელში, მაგრამ სწარმოებს გააფთრებული, გამძაფრებული ბრძოლა, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა კაპიტალიზმსა და კომუნიზმს შორის. და საკითხი მართლაც მთელი სიმწვავით სდგას—ვინ გაიმარჯვებს? ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ჩვენ გავიმარჯვებთ, რომ დღესასწაული იქნება ჩვენს კომუნისტურ ქუჩაზე. კომუნიზმის საქმის გამარჯვებისადმი ამ რწმენით არის სავსებით გამსჭვალული ჩვენი ყრილობა, ნამდვილი პროლეტარული რევოლიუციონერების, საქართველოს მტკიცე ბოლშევიკების ყრილობა.** (ტაში).

კამათი ხუთწლიანი გეგმის გარშემო
7 ივლისი

ამხ. დ. კანდელაკი

5-წლიან გეგმაში სათანადოთ არ არის გათვალისწინებული საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად შევსძლებთ ჩვენ 5 წლის განმავლობაში მრეწველობისა და სას. მეურნეობის უზრუნველყოფას მუშაკთა კადრებით, ე. ი. არ არის გათვალისწინებული ის, თუ რამდენად შესაფერი იქნებიან ჩვენს მიერ აღზრდილი მუშაკები პარტიის წინაშე მდგომ ამოცანების გადაჭრისათვის.

რაც შეეხება კვალიფიციური მუშა-ძალის მომზადების საკითხს, მე მგონია, რომ 5 წლედი ამ მხრივ უზრუნველყოფს პარტიას და საბჭოთა ხელისუფლებას.

საკითხი საშუალო სპეციალისტების მომზადების შესახებ აუცილებლად დამაკმაყოფილებლად გადაჭრება. ამაში ჩვენ დაგვარწმუნებს შემდეგი ციფრები. ამჟამად სპეციალურ ტეხნიკუმებში პარტიისა და კომკავშირის წევრთა პროცენტი 39-ს უდრის. ხუთწლედის ბოლოს კი ეს პროცენტი 60-დე გაიზრდება.

მუშებისა და ღარიბი გლეხების ბავშვების რიცხვი სკოლის მაღალ ჯგუფებში თანდათან კლებულობს. ეს გარემოება ქმნის იმის საფრთხეს, რომ ჩვენ ვერ შევსძლებთ სოციალურად მისაღებ საშუალო და მაღალი კვალიფიკაციის მუშა-ძალის მომზადებას. ამიტომაც კულტურული მშენებლობის გეგმაში გათვალისწინებული საკითხი ღარიბთა სპეციალური ფონდების შექმნის შესახებ აუცილებლად უნდა განხორციელდეს. ამჟამად კი ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები ამ საკითხისადმი სრულ უყურადღებობას იჩენენ.

ეხლა იმის შესახებ, თუ როგორ მოვამზადოთ სპეციალისტები. სამწუხაროდ, ეს საკითხი ძალიან ცუდად ესმის თვით ამ საქმის ხელმძღვანელებს. გუშინ მე წავიკითხე ამხ. ვ. კანდელაკის წერილი, რომელშიაც ყოვლად მიუღებელი აზრია გამოთქმული. ამხ. ვ. კანდელაკის შეხედულებით სპეციალურმა ტეხნიკუმებმა და საერთოდ საშუალო სკოლებმა უნდა ამზადონ ახალგაზრდობა მხოლოდ უმაღლესი სასწავლებლისათვის. ეს 5-წლიანი გეგმის სრული ჩაშლაა. პარტია დიდი ხანია იძახის, რომ ჩვენმა სპეციალურმა ტეხნიკუმებმა უნდა მოამზადონ დასრულებული მოქალაქეები, რომელთაც ექნებათ საშუალო სპეციალობა და, რომლებიც შესძლებენ თავისი ცოდნა უმალვე მოახმარონ ჩვენს სამეურნეო მშენებლობას. ამგვარად ამხ. ვ. კანდელაკის შეხედულება აუცილებლად მიუღებელი და დასაგმობია.

უკანასკნელ ხანებამდე საინჟინერო და აგრონომიული ძალების მომზადება ცუდათ იყო დაყენებული. ს. მ. უ. საბჭო და მიწ. სახკომი არ იყვნენ დაინტერესებული ამ საქმით და მთელ მუშაობას მარტო განათლების კომისარიატი აწარმოებდა. ეხლა მდგომარეობა გაუმჯობესდა. მრეწველობა და სას. მეურნეობა დაინტერესდა უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტთა მომზადების საქმით, მაგრამ დაბალი და საშ. სპეციალისტთა კადრებს ისინი ჯერ კიდევ უყურადღებოდ ეპყრობიან. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ მიწსახკომი მეტად გულგრილად უცქერის გლეხ-ახალგაზრდობის სკოლებს, თითქოს ამ სკოლების ბედ-იღბალი მას არ ეკითხებოდეს.

სპეციალისტებს ჩვენ ვამზადებთ სამეურნეო ორგანოების მოთხოვნილებების მიხედვით, მაგრამ ეს მოთხოვნილებები ძლიერ დაგვიანებით მოგვდის. ამასთანავე ნაკლია ის, რომ მოთხოვნილება ხშირად არ შეეფერება სინამდვილეს.

სასოფ. მეურნეობის ხელმძღვანელ კადრთა მომზადების საკითხის გადაჭრის მიზნით ზოგიერთი ამხანაგები წინადადებას იძლევიან ცალკე ინსტიტუტათ გამოიყოს აგრონომიული ფაკულტეტი და გადაეცეს ის მიწსახკომს. უნდა ითქვას, რომ ბევრი პასუხისმგებელი კომუნისტი ილაშქრებს იმ ძველი მდგომარეობის აღდგენის წინააღმდეგ, როდესაც სამრეწველო განათლება სამრეწველო უწყების გამგებლობაში იყო, სასოფ.-სამ. განათლება კი მიწადმოქმედების სამინისტროს გამგებლობაში. ასეთი ნაბიჯი დაარღვევს სახალხო განათლების მთლიანობას და საგრძნობ დადებით შედეგს კი არ მოგვცემს.

ჩვენ ამჟამად გვყავს 380.000 წ. კ. უცოდინარი. ცენტრალური კომიტეტის დირექტივით წ.-კ. უცოდინარობის ლიკვიდაცია 3 წლის განმავლობაში უნდა მოხდეს. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს სავსებით შესაძლებელია თუ სათანადოთ გამოვიყენებთ კომკავშირს, მასწავლებლობას და სხვა ძალებს. ამასთანავე ჩვენ აუცილებლად უნდა მოვაწყოთ სოც. შეჯიბრება წ.-კ. უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმეში.

ამხ. გაბუნია

წარმოდგენილი გეგმის მთავარი დეფექტებია, ჩემის აზრით, ის, რომ მასში სათანადო ყურადღება არა აქვს მიქცეული ქიმიურ მრეწველობას, აგრეთვე არ არის დასმული საკითხი სასოფლო მეურნეობაში, კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობებში, ელექტრო-ენერგიის გამოყენების შესახებ.

ხუთწლედში მეტი ადგილი უნდა დაეთმოს ჭაობების ამოშრობას, რადგან ეს აუცილებელი პირობაა სოციალური სენის— მალარიის წინააღმდეგ ბრძოლისათვის.

აგრეთვე საგეგმო კომისიას არ გაუთვალისწინებია მოსახლეობის ნივთიერ საშუალებათა მიზიდვა და გამოყენება სახალხო მეურნეობის განვითარების საქმეში.

დასასრულ, სრულიად მიუღებლად მიმაჩნია ის გარემოება, რომ კაპიტალური დაბანდებები ხუთწლედის ბოლო წლებში თანდათანობით ეცემა. საკავშირო ხუთწლედში არ არის ასეთი მდგომარეობა. მე მგონია ეს საკითხი ჩვენს გეგმაშიაც უნდა იქნეს გადათვალიერებული.

ამხ. ანდღულაძე

5 წლიანი გეგმის შესრულება დამოკიდებულია ტეხნიკურ ძალებზე. ამიტომ საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს მათი შერჩევის საკითხს. სახელმწიფო აპარატის მომავალ წმენდასთან დაკავშირებით აუცილებლად უნდა გადაისინჯოს და გაიწმინდოს ტეხნიკური ძალების შემადგენლობაც.

ძვირფასი ტეხნიკური კულტურების გაშენებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი მრეწველობისათვის. მაგრამ რომ გლეხმა ტეხნიკურ კულტურების მოყვანას მოჰკიდოს ხელი, ამისათვის საჭიროა მისი უზრუნველყოფა მარცვლეულით, წინააღმდეგ შემთხვევაში ის სრულიად მწირ ადგილებზედაც სიმინდს დათესავს და ბამბას და სხვა ასეთ მცენარეებს თავს მიანებებს.

(კამათის გაგრძელება მოთავსებული იქნება შემდეგ ნომერში)

საკონტროლო კომისიისა და მუშგლეხინის ანგარიში
ამხ. გ. სტურუას მოხსენება

ამხანაგებო! საქართველოს ცენტრალური საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობა იმ ხნის განმავლობაში, რომელმაც საქართველოს კომპარტიის მე-5 და მე-6 ყრილობებს შორის განვლო, მიმდინარეობდა საკავშირო კომპარტიის (ბ) მე-15 ყრილობის, ამიერ-კავკასიის ორგანიზაციათა მე-5 ყრილობის, საქართველოს კომპარტიის მე-5 ყრილობის და აგრეთვე ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის სათანადო პლენუმების დადგენილებათა ნიადაგზე.

ჩემი მოხსენება სამი ნაწილისაგან იქნება შემდგარი: 1) ცენტრალური საკონტროლო კომისიის და 2) მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობა და 3) ცენტრალური საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის მომავალი ამოცანები.

რაში მდგომარეობს პარტიის ძირითადი დირექტივები ცენტრალური საკონტროლო კომისიის მიმართ? ამ საკითხზე საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისიის შესახებ არსებულ დებულებში პირდაპირ არის ნათქვამი:

„საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისიის ძირითად ამოცანას, როგორც ყრილობების დადგენილებებით, ისე ვლადიმერ ილიას ძე ლენინის ანდერძის მიხედვით, წარმოადგენს პარტიული მთლიანობის დაცვა და პარტიის რიგების განმტკიცება".

ამ დებულების თანახმად, როგორც ვიცით, საკავშირო კომპარტიის (ბ) მე-15 ყრილობამ სცნო:

„ტროცკისტულ ოპოზიციაში ყოფნა და მისი შეხედულებების პროპაგანდა შეუთავსებელია ბოლშევიკურ პარტიაში ყოფნასთან"-ო.

საქართველოს კომპარტიის მე-5 ყრილობამ კი ცეკას მიანდო:

„უფრო მტკიცე კურსი აიღოს ფრაქციონერთა მიმართ და ადგილობრივ უკლონისტურ-ტროცკისტულ ოპოზიციის დამრღვევ ფრაქციულ მუშაობას ბოლშევიკური დისციპლინა დაუპირისპიროს".

ბრძოლა ტროცკისტული კონტრ-რევოლიუციის წინააღმდეგ

ამ დირექტივების განსახორციელებლად საანგარიშო ხნის განმავლობაში ჩატარდა უდიდესი მუშაობა, რომელიც გამოიხატა მტკიცე და წარმატებითი ბრძოლის წარმოებაში ტროცკისტული ოპოზიციის, პირველ ხანებში როგორც შინა ანტიპარტიული მოვლენის, ხოლო შემდეგ როგორც აშკარა ანტისაბჭოთა კონტრ-რევოლიუციონური ორგანიზაციის წინააღმდეგ. ეს ბრძოლა გამოიხატა გამოუსწორებელი ტროცკისტების ჩვენი პარტიის რიგებიდან შეუბრალებლად განდევნაში და აგრეთვე იმ პირობების შესწავლაში, რომლებმაც ხელი შეუწყვეს ტროცკისტული ოპოზიციის გაჩენას საქართველოს თავისებურ პირობებში, სადაც ტროცკელები, შედარებით, მეტი აღმოჩნდა, ვიდრე მთელ საბჭოთა კავშირში. ასე, მაგალითად, საკავშირო კომპარტიის მე-15 ყრილობის დროს მთელს კავშირში ტროცკისტები სამოქალაქო უჯრედებში შეადგენდენ 0,5 პროცენტს, ხოლო სამხედრო უჯრედებში ორ ნახევარ ჯერ ნაკლებს. საქართველოში კი მე-15 ყრილობის პერიოდში ტროცკისტების რიცხვი აღწევდა 2,5 პროცენტს. ამ გარემოებამ ჩვენ იძულებული გაგვხადა კიდევ უფრო მეტი ყურადღება მიგვექცია უკლონისტ-ტროცკისტებთან ბრძოლისათვის. ამ ბრძოლის შედეგი საანგარიშო პერიოდში გამოიხატა შემდეგნაირად: საქართველოს კომპარტიის მე-5 ყრილობიდან 1929 წლის 1 მაისამდე სულ პასუხისგებაში იქნა მიცემული 431 ოპოზიციონერი, რომელთაგან გამოირიცხა პარტიიდან 339 კაცი, აღდგენილ იქნა—18, მიესაჯა სხვადასხვა პარტსასჯელი —74 ამხანაგს (ეს ის ამხანაგებია, რომლებიც იდეურად და ორგანიზაციულად გაემიჯნენ ოპოზიციას მათი საქმის ძიების პროცესში); პასუხისგებაში მიცემულთაგან მუშები არის—34 პროცენტი, გლეხი—10 პროც., მოსამსახურე—54 პროც., დანარჩენი—2 პროც.

გამორიცხულ იქნა პარტიიდან: მუშები—32 პროცენტი, გლეხები—10 პროც., მოსამსახურეები—58 პროც.; აღდგენილ იქნა: მუშები—50 პროც., გლეხები—28 პროც., მოსამსახურეები—22 პროც.; მიესაჯა სხვა სახის პარტსასჯელი: მუშებს—41 პროც., გლეხებს—8 პროც., მოსამსახურეებს—49 პროც., სხვებს—2 პროც.

პასუხისგებაში მიცემულ და პარტიიდან გარიცხულ ოპოზიციონერების შესახებ უნდა ითქვას, რომ რევოლიუციის წინადროინდელი სტაჟით მათ შორის იყო 10,5 პროცენტი.

რას მოწმობს ყოველივე ეს? ეს უეჭველს ხდის ერთ რამეს, სახელდობრ, იმას, რომ უკლონისტურ-ტროცკისტულ ოპოზიციას მუშათა კლასში—ჩვენი პარტიის ამ საფუძველში—არა აქვს არავითარი სოციალური ფესვები და ის წარმოადგენს ჩვენი პარტიის გარეთ მყოფ წვრილ-ბურჟუაზიულ ანტი-პროლეტარული ელემენტების იდეოლოგიის გამოხატულებას, რომელიც ჩვენს პარტიაში ეყრდნობა, უმთავრესად, მერყევ არაპროლეტარულ ელემენტებს. პასუხისგებაში მიცემულ და პარტიიდან გამორიცხულ ოპოზიციონერების გარდა, ცენტრალური საკონტროლო კომისიის ხაზით გადის აგრეთვე 580 ყოფილი ოპოზიციონერი, უმთავრესად მუშები, რომლებმაც შემოიტანეს განცხადება ოპოზიციიდან ჩამოშორების შესახებ. არ შეიძლება აქ არ აღინიშნოს ის მეტად საინტერესო შედეგები, რომლებიც საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკას ცენტრალური საკონტროლო კომისიის მიერ ჩატარებულმა ტროცკისტული ოპოზიციის ლიკვიდაციის გამოკვლევამ გვიჩვენა.

როგორც ვიცით, საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისიის დირექტივების თანახმად, ჩატარდა საბჭოთა კავშირის 20 უდიდესი ორგანიზაციის, მათ შორის საქართველოს კომპარტიის, გამოკვლევა. გამოკვლევის მიზანი იყო იმის შესწავლა, თუ რამდენად არის შესრულებული საკავშირო კომპარტიის (ბ) მე-15 ყრილობის დირექტივები ოპოზიციის წევრებზე იდეური ზეგავლენის მოხდენისა და პარტიიდან ტროცკისტული ოპოზიციის აშკარად გაუსწორებელი ელემენტების განდევნის შესახებ. და ჩვენ ამ მხრივ საინტერესო მასალა მივიღეთ.

ჩვენ მოვახდინეთ 20 ისეთი უჯრედის გამოკვლევა, რომლებიც ყველაზე უფრო იყვნენ დაავადებულნი ტროცკისტული ოპოზიციის სენით. ამათგან 13 უჯრედი გადაისინჯა თბილისში, ხოლო 7 მაზრებში.

ზევით მე მოვიყვანე ცნობები პასუხისგებაში მიცემულთა, გარიცხულთა და ჩამოშორებულთა შესახებ. ახლა მე აღვნიშნავ, რა პირობების ზეგავლენით წარმოიშვა საქართველოს კომპარტიაში ტროცკისტული განწყობილებანი. ეს პირობებია შემდეგი: 1) არსებობა საქართველოში გაუსწორებელი უკლონისტებისა, რომლებიც გადაიქცნენ ტროცკისტული ოპოზიციის ძირითად რეზერვებად და რომლებიც ყოველნაირად იყენებდნენ ჩვენს ნაკლოვანებებს ჩვენთან ფრაქციული ბრძოლის მიზნით, 2) ორგანიზაციების ხელმძღვანელები თავიანთ პრაქტიკულ მუშაობაში ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ დაბალ საფეხურებზე მომუშავე ამხანაგების პრაქტიკულ მითითებებს, რაც ხშირად ზოგიერთ ამხანაგებს ერეკებოდა უკლონისტურ-ტროცკისტულ ოპოზიციისაკენ, 3) პარტიულების მცირე განვითარება, რომელსაც იყენებდა ტროცკისტული ოპოზიცია იმ მხრივ, რომ ხელს აწერინებდა მათ ტროცკისტული ოპოზიციის დოკუმენტებზე, 4) ტროცკისტული ოპოზიციონერები ერთ ნაწილ პარტიულთა ნივთიერ ხელმოკლეობას (უმუშევრობა და სხვ.) იყენებდნენ ისეთნაირად, რომ ნივთიერად ხელმოკლე ამხანაგებს, პარტხელმძღვანელობის შეცვლისა და ამ ხელმძღვანელობის ოპოზიციის ხელში გადასვლის შემთხვევაში, პირდებოდნენ ნივთიერ უზრუნველყოფას, 5) თვალსაჩინო ოპოზიციონერები ხალისით იყენებდნენ თავიანთ მდგომარეობას სახელმწიფო აპარატებში მეტი დაბრკოლებების შესაქმნელად იმ მიზნით, რომ გამოეწვიათ მასების უკმაყოფილება არსებული ხელმძღვანელობის წინააღმდეგ, 6) არა სათუთი და უყურადღებო მოპყრობა ზოგიერთი ამხანაგებისა და პარტიული ორგანოების მხრითაც კი ცალკე ამხანაგების მოთხოვნილებათადმი და სხვა მრავალი გარემოებები, რომლებმაც, უეჭველად, ხელი შეუწყვეს ოპოზიციას ჩვენს წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლაში.

ყველა ეს გარემოება ჩვენს მომავალ მუშაობაში მთელი სერიოზულობით უნდა იქნეს მიღებული მხედველობაში იმ მიზნით, რომ მთელი პარტიული და უპარტიო მუშურ-გლეხური მასები შემოიკრიბონ პარტიის გენერალური ხაზის ირგვლივ.

მემარჯვენე გადახრა და მასთან ბრძოლა

მემარჯვენე გადახრისა და შემარიგებლობის საფრთხეს უფრო ღრმა სოციალური ფესვები აქვს ჩვენს სინამდვილეში, ვიდრე ტროცკისტულ ოპოზიციას და ამ საფრთხის აღმოფხვრა უფრო ძნელი და რთულია. მემარჯვენე გადახრის მომხრეებს პრაქტიკულ მუშაობაში შეუძლიათ (და ეს ახლაც ხდება) ისე მიჩქმალონ თავიანთი მუშაობა, რომ ზოგჯერ ვერც გაიგებ, როგორ ახორციელებენ ისინი თავიანთ იდეას.

მოვიყვან ერთს, ჩემის აზრით, დამახასიათებელ მაგალითს, რომელიც გამოიხატა სამხრეთ-ოსეთის ამას წინანდელ კონფერენციის მიერ ღარიბი გლეხობის შესახებ მიღებულ რეზოლიუციაში:

„ღარიბი გლეხობისათვის შეღავათების მიცემა ბევრად შეუწყობს ხელს მათში სოც. უზრუნველყოფის ტენდენციების გაღვიძებას. ღარიბთა ასეთი მისწრაფებების წინააღმდეგ საჭიროა გადამწყვეტი ბრძოლის წარმოება".

როგორც კი მივიდა ცეკამდე ეს რეზოლიუცია, მან იგი დაუყოვნებლივ გააუქმა, მაგრამ ამით ფაქტი არ იცვლება. უნდა ვაღიაროთ, რომ ეს რეზოლიუცია წარმოადგენს ტიპიური კულაკური იდეოლოგიის გამოხატულებას, რასაც არაფერი აქვს საერთო პარტიულ ხაზთან. დამახასიათებელია, რომ ეს რეზოლიუცია სრული სისწორით გამოხატავდა იმ პრაქტიკას, რომელსაც სამხრეთ-ოსეთის ორგანიზაცია ახორციელებდა ადგილებზე კრედიტების გაცემის საკითხებში სასოფლო-სამეურნეო ხაზით. საქმე იმაშია, რომ მუშათა და გლეხთა ინსპექციის ხაზით ჩვენ მოვახდინეთ იმის გამოკვლევა, თუ როგორ ტარდებოდა სასოფლო-სამეურნეო კრედიტების გაცემა და აღმოჩნდა, რომ კრედიტი აქ, უმრავლეს შემთხვევაში გამოყენებული იყო საშუალო და კულაკური გლეხობის მიერ, ხოლო ღარიბების მნიშვნელოვანი ნაწილი უყურადღებოდ იყო მიტოვებული.

პარტიის მთლიანობის და სიწმინდის სადარაჯოზე

ცენტრალური საკონტროლო კომისიის მუშაობა პარტიის მთლიანობისა და სიწმინდის დაცვის საქმეში გამოიხატა აგრეთვე მეორე მიმართულებით, რომელიც შეეხება ბრძოლას პარტიის ყოველგვარ მტკივნეულ მოვლენებთან, როგორიცაა: პარტიული დისციპლინის და პარტიული ეთიკის დარღვევა, პარტიიდან მოწყვეტა და სხვ. ამ მხრივ ცენტრალური საკონტროლო კომისიის ბრძოლის შედეგები ასეთია:

პარტდისციპლინის დარღვევის გამო პასუხისგებაში იქნა მიცემული პარტიული გადასახადის შეუტანლობისათვის და პარტკრებებზე დაუსწრებლობისათვის 101 კაცი. აქედან გამოირიცხა 53 კაცი; მერყეობისათვის პასუხისგებაში იყო მიცემული (აქვე შედის ფრაქციული ტროცკიზმი) 456 კაცი, აქედან გამოირიცხა 347 კაცი.

სულ, მაშასადამე პასუხისგებაში მივეცით 557 კაცი, რომელთაგან გამოირიცხა 400 კაცი.

კომუნისტური ეთიკის დარღვევის გამო პასუხისგებაში იქნა მიცემული ლოთობისა და დებოშისათვის 64 კაცი, გამოირიცხა 28 კაცი; მორწმუნეობისათვის—20 კაცი, გამოირიცხა 18 კაცი; არაამხანაგური მოპყრობისა და კინკლაობისათვის—34 კაცი, გამოირიცხა—6 კაცი; ნაციონალიზმისათვის—8 კაცი, გამოირიცხა — 1 კაცი; სქესობრივი აღვირახსნილობისათვის—14 კ., გამოირიცხა 7 კაცი; უცხო ელემენტებთან კავშირისათვის —29 კაცი, გამოირიცხა 14 კაცი; პარტიის გამოყენება პირადი ინტერესებისათვის—27 კაცი, გამოირიცხა—13 კაცი, გამდიდრება, სპეკულაცია მოგებისათვის—30 კაცი, გამოირიცხა 18 კაცი; კომეთიკის სხვაგვარი დარღვევისათვის — 93 კაცი, გამოირიცხა—34 კ.

სულ კომუნისტური ეთიკის დარღვევისათვის პასუხისგებაში იყო მიცემული 319 კაცი, რომელთაგან გაირიცხა — 134 კაცი.

თანამდებობითი დანაშაულის გამო პასუხისგებაში მიცემულ იქნა: ბიუროკრატიზმისათვის 12 კ.; თანამდებობრივი მდგომარეობის გამოყენებისათვის—10 კაცი, პროტექციონიზმისათვის 18 კ., რომელთაგან გამოირიცხა 4 კაცი; სამსახურისადმი გულგრილობისათვის—48 კაცი, გაირიცხა 7 კაცი; გაფლანგვა, მითვისებისათვის—133 კაცი, გაირიცხა—98 კაცი.

სულ თანამდებობრივი ბოროტმოქმედებისათვის პასუხისგებაში იყო მიცემული 221 კაცი, რომელთაგან გაირიცხა—109 კაცი.

სისხ. სამართლის დანაშაულის გამო პასუხისგებაში იყო მიცემული მექრთამეობისა, სიყალბის ჩადენისა და სხვ. დანაშაულისათვის —60 კაცი, აქედან გაირიცხა 38 კაცი; სისხლის სამართლის დანაშაულისათვის, რომელიც სამსახურთან არ ყოფილა დაკავშირებული —59 კ.; გაირიცხა—57 კაცი.

კლასობრივად უცხო ელემენტები გამოაშკარავებულ იქნა 76 კაცის რაოდენობით, აქედან გარიცხულ იქნა 76 კაცი.

სულ სხვადასხვა დანაშაულისათვის პასუხისგებაში მივეცით 1.292 კაცი. ამათგან პარტიის რიგებიდან გარიცხულ იქნა 814 კაცი.

არაკომუნისტური მოქმედების ეს ზემოთჩამოთვლილი ცნობები, მოწმობენ, რომ პარტიულ-აღმზრდელობითი მუშაობა მოითხოვს გაძლიერებას, რათა მინიმუმამდე დავიდეს, ხოლო შემდეგისათვის კი სრულიად აღმოფხვრას ის მოვლენები, რომლებიც ზოგიერთ ამხანაგებს არაკომუნისტური საქციელის ჩადენისაკენ ერეკებიან.

ქვედა საფეხურის პარტორგანიზაციათა ტკივილები

შემდეგ ცენტრალური საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმი მუშაობდა ჩვენი პარტიის რიგებში არსებული მტკივნეული მოვლენების შესწავლის საკითხებზე. ამ მიზნით, გადაისინჯა ჩვენი ორგანიზაციის მთელი რიგი ქვედა საფეხურები, როგორიცაა: საქართველოს ფინსახკომის უჯრედი, ლანჩხუთის და ხიდისთავის უჯრედები, საპონ-ზეთის ქარხნის უჯრედი, ყარაიაზის ორგანიზაცია, მე-5 სტამბის უჯრედი და ჩვენი ორგანიზაციის ბევრი სხვა ქვედა რგოლი.

ცენტრალური საკონტროლო კომისიის მუშაობამ ამ მიმართულებით გამოამჟღავნა მთელი რიგი მტკივნეულ მოვლენათა, როგორც, მაგალითად: საკითხების გადაწყვეტისადმი ოჯახური მიდგომა, პირის შეკვრა რაიმე უპასუხისმგებლო მოქმედებაში და მლიქვნელობის ლოთობის შემთხვევები, სქესობრივი თავგასულობა, კულაკებთან და ნეპმანებთან კავშირი, მოსახლეობის დაშინება, ადგილობრივი პარტიული ორგანოების მხრით ხელმძღვანელობის გაუწევლობა ქვედა საფეხურების მიმართ და უმოქმედობა პარტიულ-აღმზრდელობითი მუშაობის მხრით.

დასკვნა: პარტიული ორგანოები ადგილებზე და მთელი პარტიული მასა არ აქცევენ საკმაო ყურადღებას იმ მტკივნეულ მოვლენებს, რომლებიც არსებობენ ჩვენს სინამდვილეში. ხშირად ხდება, რომ ამა თუ იმ პარტიულმა იცის პარტიის მეორე წევრის არაკომუნისტური საქციელის შესახებ, მაგრამ ამას არ აძლევს სათანადო მნიშვნელობას, სტოვებს მას ყურადღების გარეშე და, ამრიგად, რჩება როგორც მთელი პარტიული მასის ისე პარტიულ ორგანოების მხედველობის გარეშე ცალკე ელემენტების არაკომუნისტური მოქმედებები, რომლებიც ბოლოს და ბოლოს იწვევენ პარტიულთა ცალკე ჯგუფების ნამდვილ გახრწნას.

მიღწევები და დეფექტები თვითკრიტიკის დარგში

შემდეგ საჭიროდ მიმაჩნია ყრილობის ყურადღება შევაჩერო თვითკრიტიკის უდიდესი პარტიული დოკუმენტის—საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას პარტიისადმი და მუშათა კლასისადმი მიმართვის მნიშვნელობაზე. ეს დოკუმენტი იწყებს ახალ ხანას სოციალისტური მშენებლობის ისტორიაში და წარმოადგენს ჩვენი პარტიის ყოველდღიური მოქმედების პროგრამას.

თვითკრიტიკის ლოზუნგის ცხოვრებაში გატარებამ შესაძლებელი გახადა გამომჟღავნებულიყო ჩვენი აპარატის ნაკლოვანებანი, მათში ბიუროკრატიზმის არსებობა, კლასობრივად უცხო და უვარგის ელემენტების შეჭრა, პროტექციონიზმი, ბოროტმოქმედებათა დაფარვა, უვარგის მუშაკთათვის მხარის დაჭერა, გადამეტებული ხარჯები პასუხისმგებელ მუშაკთა მხრით (ავტომობილებით სიარული და სხვ.), საწარმოთა სუსტი ხელმძღვანელობა, მუშა-ხელის არარაციონალური გამოყენება, ზედნადები ხარჯების ზრდა, მუშათა დაწინაურების დამახინჯების ფაქტი, დაწინაურება ხდებოდა ზევიდან და არა ქვევიდან. გამომჟღავნდა აგრეთვე შიში კრიტიკის წინაშე. გაისმოდა ჩივილი კრიტიკის საწინააღმდეგო რეპრესიების შესახებ. მაგალითად, აცხადებდნენ: „თუ მუშას გასწერ გაზეთში ლოთობისათვის, ეს შეიძლება, ხოლო, თუ ვინმე შეეხე „დიდს"— მასზე წერილს არ გაუშვებენ"-ო, „რა გარანტია ეძლევა მუშას და მოსამსახურეს, რომელიც კრიტიკას და თვითკრიტიკას ეწევა, რომ მათ არ დაუწყებენ დევნას და არ დასჯიან ამისათვის"? „გააკრიტიკებ — შრომის ბირჟაში მოხვდები" და სხვ. ასეთი დეფექტები ახლდა და ეხლაც ახლავს თვითკრიტიკის ლოზუნგის გატარებას.

თვითკრიტიკის ლოზუნგის კონკრეტული შედეგები მივიღეთ მთელ რიგ დაწესებულებებში, როგორც მაგალითად, საქართველოს ფინსახკომში, სადაც აღმოჩნდა ოპოზიციონერების ჯგუფი, ქეიფი ვაჭრებთან; მეხანძრეთა რაზმის უჯრედში: ელემენტები ნაციონალიზმის და ანტი-სემიტიზმისაც კი, ნათესაური დაჯგუფებანი, თვითდაწინაურება, მლიქვნელობა და პარტიული დისციპლინის დარღვევა.

თვითკრიტიკის გატარების უარყოფით მომენტებს უნდა მივაკუთვნოთ შემდეგი: კომკავშირის, პროფკავშირების და საბჭოების ხაზით არ იყო მიცემული დირექტივა თვითკრიტიკის გატარების შესახებ, რის გამოც აღნიშნულ ორგანიზაციებს საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას მიმართვა წარმოდგენილი ჰქონდათ, როგორც წმინდა პარტიული კამპანია, რომელიც ხორციელდება პარტიული წესით. არ იყო დამუშავებული კონკრეტული გეგმა, რომლის მიხედვითაც უჯრედებში უნდა გატარებულიყო საკავშირო კომპარტიის ცეკას მიმართვა თვითკრიტიკის შესახებ. საბჭოთა სამეურნეო ორგანოების და საწარმოო დაწესებულებების ხელმძღვანელებს არ მიუციათ სათანადო დირექტივა მასების ჩაბმის შესახებ დაწესებულებების მუშაობის განხილვაში. ზოგიერთმა სამაზრო კომიტეტმა არასაკმაოდ შეაფასა საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას მიმართვის მნიშვნელობა, რის გამოც მიმართვის დამუშავებას არ ექცეოდა სათანადო ყურადღება. მაგალითად, ახალციხეში საკითხი საკავშირო კომპარტიის ცეკას მიმართვის შესახებ არ ყოფილა დასმული არც პრეზიდიუმის სხდომაზე და არც პლენუმზე. სენაკში დირექტივა სრულებით არ განუხილავთ. საკავშირო კომპარტიის ცეკას წერილის განხილვაში არ იყო ჩაბმული უჯრედთა მთელი პარტიული მასა. მაგალითად, თბილისში ცეკას მიმართვის დამუშავების დროს უჯრედების სხდომებზე პარტიის წევრთა დასწრება უდრიდა 65 პროც., კომკავშირელების —45 პროცენტს და უპარტიოთა—14,2 პროცენტს. ბათომში—16 უჯრედში 402 წევრიდან და კანდიდატიდან კრებებს დაესწრო მხოლოდ 295 წევრი და კანდიდატი, 158 უპარტიო და 51 კომკავშირელი. როგორც მოსალოდნელი იყო, ცეკას მიმართვის განხილვის დროს ყველაზე მეტი აქტივობა გამოიჩინეს საწარმოო უჯრედებმა. დამახასიათებელია, მაგალითად, რომ თბილისში—15 საბჭოთა უჯრედში მიმართვის განხილვამ უკამათოდ ჩაიარა. მაგალითად, განათლების სახალხო კომისარიატის უჯრედში კამათში მონაწილეობა მიიღო მხოლოდ 3 კაცმა, მუშკოოპის უჯრედში—14-მა. ბათომის ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის უჯრედში გამოვიდა ორი კაცი, ფინანსთა სახალხო კომისარიატის უჯრედში 21 წევრიდან და კანდიდატიდან კრებას დაესწრო 11, კამათში მონაწილეობა მიიღო 1 კაცმა.

ჩვენმა გამოკვლევამ დაგვანახვა აგრეთვე, რომ არც ერთ დაწესებულებაში ხელმძღვანელს ახალი ბიუჯეტი განსახილველად არ წარუდგენია უჯრედისათვის, ეკონომიური თათბირისათვის და სხვ. მუშკოოპში გამომკვლევმა კომისიამ სამჯერ მიმართა კრებას და სთხოვა არსებულ დეფექტების დასახელება მუშკოოპის მუშაობაში. და ბოლოს, როგორც იქნა გამოვიდა ერთი და აღნიშნა სხვადასხვა დეფექტები. ერთ უჯრედის მდივანმა კი კითხვაზე, თუ რატომ არ არის დამუშავებული საერთო კრებაზე თვითკრიტიკის ლოზუნგი, განაცხადა, რომ მუშა-მოსამსახურეების კრებაზე თვითკრიტიკის საკითხი მას არ დაუსვამს, რადგან ფიქრობდა, რომ ამით პოლიტიკურ შეცდომას დაუშვებდა. აი რას ამბობს გორის მთლიან სამომხმარებლო კოოპერატივის ხელმძღვანელი: „მე თვითონ ძველი პარტიული ვარ, რა შეცდომა უნდა დაუშვა მე. არ შემოუშვებ ჩემთან მსუბუქ კავალერიას, რაც გინდათ ისა მქენით". მსუბუქ კავალერიას კი უწოდა „უტვინო კავალერია".

კიდევ უფრო ცუდათ აქვთ დაყენებული, როგორც უჯრედების ბიუროებს, ისე ხელმძღვანელ პარტიულ ორგანოებს გადაწყვეტილებების და მამხილებელი გამოსვლების (პარტიის წევრების და კანდიდატების) აღრიცხვის საქმე. თითქმის არ არსებობს ქვედა საფეხურის ორგანიზაციების ინფორმაცია რეზოლიუციებზე შესასრულებლად მიღებულ ზომების შესახებ. კრიტიკა უმთავრესად წვრილმან საქმეების ხაზით არის მიმართული. სათანადოთ არ ირკვევა დეფექტები, რომელნიც გამომდინარეობენ საწარმოთა და დაწესებულებათა მუშაობის და სტრუქტურის საერთო სისტემიდან და კიდევ უფრო სუსტად ტარდება კრიტიკა „განურჩევლად პიროვნებისა", რაც თავის მხრივ უკმაყოფილებას იწვევს მუშებში.

ამგვარად კრიტიკა ჯერ კიდევ არ შეეხო სათანადოთ ჩვენი მშენებლობის ყველა სფეროს, ის ჯერ-ჯერობით უმთავრესად სამეურნეო მუშაობას ეხება. სუსტია პარტიულ და პროფესიონალურ კულტურულ-მასიური საბჭოთა მუშაობის კრიტიკა.

პროფკავშირების შესახებ უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო დრომდე მათ თითქმის არაფერი გაუკეთებიათ საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას მიმართვის რეზოლიუციისათვის იმ მასაში, რომელსაც ის აერთიანებს. მცირე გამოკლებით, არც მუშათა და მოსამსახურეთა საერთო კრებაზე, არც აქტივზე და არც საფაბრიკო-საქარხნო ადგილკომებში უკანასკნელ დრომდე არ დასმულა განსახილველად საკავშირო კომპარტიის ცეკას მიმართვა. მოვიყვან რამოდენიმე მეტად დამახასიათებელ საბუთს. ხაშურის რკინისგზელთა პროფკავშირის საუბნო კომიტეტის მდივანის მჭედლიძის წინააღმდეგ წამოყენებულ იქნა სხვადასხვა ბრალდება (შემდეგში ეს ბრალდებები დამტკიცდა). ამ ბრალდებების საპასუხოდ მჭედლიძემ კავშირში გამოსცა ცნობილი ცირკულიარი სათაურით „ძირს ინტრიგანები", რომელშიაც ნათქვამია, რომ ინტრიგანები ხელს უტეხენ და ჩირქს სცხებენ მუშებისათვის საყვარელ პიროვნებებს. ეს სასიქადულო დოკუმენტი თავდება შემდეგი სიტყვებით: „ნუ წამოეგებით ინტრიგანების ანკესზე". აი მეორე დოკუმენტიც. გორის სამაზრო პროფბიურო ამტკიცებს, რომ ქალაქის მილიციაში, ქალაქის ჯანმრთელობის განყოფილებაში და აღმასკომში ბიუროკრატიზმს არა აქვს ადგილი.

ეს ორი მაგალითი მოწმობს თუ რამდენად მოდუნებულია ჯერ კიდევ პროფესიონალურ მუშაკების მუშაობა ამ ხაზით. მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ამ ბოლო დროს აქ ჩვენ ვამჩნევთ ერთგვარ გარდატეხას და სრული საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ პროფკავშირები ამ საკითხში გამოასწორებენ თავის ხაზს, სასტიკ ბრძოლას გამოუცხადებენ ყოველგვარ უარყოფით მოვლენებს და ფართოდ გაშლიან თვითკრიტიკას შინაპროფკავშირული დემოკრატიის საფუძველზე.

ნება მომეცით ამით დავამთავრო მოხსენების ნაწილი, რომელიც შეეხება თვითკრიტიკის მსვლელობის გამოკვლევის შედეგებს.

ცენტრ. საკ. კომ. და მუშგლეხინის რწმუნებულთა მუშაობა

რაც შეეხება ცენტრალურ საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის რწმუნებულის მუშაობას ადგილებზე, და ჩვენ მიერ მათთვის ხელმძღვანელობის გაწევას, აქ საჭიროა აღინიშნოს, რომ აქამდის ადგილებზე არ არსებობს სათანადო პირობები იმ ამოცანების შესასრულებლად, რომლებიც დაკისრებული აქვთ ჩვენს რწმუნებულებს ადგილებზე. უნდა პირდაპირ ითქვას, რომ ჩვენი რწმუნებულნი უმეტეს შემთხვევაში არ შეეფერებიან თავიანთ დანიშნულებას. არსებობს აგრეთვე სხვა მიზეზიც, რომელიც საშუალებას არ აძლევს მათ შეასრულონ ჩვენი დავალებები. ეს მიზეზი გამოიხატება იმაში, რომ უმეტეს შემთხვევაში ჩვენი რწმუნებულები მუშაობენ შეთავსებით, რის გამო მათ არ აქვთ შესაძლებლობა გაატარონ ცხოვრებაში ჩვენი დავალებები. აქედან გამომდინარეობს ჩვენ რწმუნებულთა ავტორიტეტის სისუსტე ადგილებზე. ეს საკითხი უაღრესად მნიშვნელოვანია, აქ საჭიროა რადიკალური გარდატეხის შეტანა, რომელიც უნდა გამოიხატოს შემდეგში: 1) ჩვენი რწმუნებულები ადგილებზე უნდა იყვნენ ჯამაგირიანი მუშაკები და უნდა განთავისუფლდნენ ყოველგვარ სხვა სამუშაოსაგან, 2) ცენტრალურ საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის რწმუნებულნი თავისი პარტიული კვალიფიკაციით თანაბარი უნდა იყვნენ პარტკომების სათანადო მდივნებთან. მხოლოდ ამ პირობებში შეგვიძლია მივაღწიოთ ისეთ მდგომარეობას, როცა ადგილებზე საგრძნობი იქნება ჩვენი რწმუნებულების მუშაობა. წინააღმდეგ შემთხვევაში განუხორციელებელი დარჩება ცენტრიდან გაგზავნილი დირექტივები, რომლებიც მოითხოვენ ცენტრალურ საკონტროლო კომისიის რწმუნებულთა მუშაობის გაცხოველებას და მათი ავტორიტეტის ამაღლებას. საჭიროა მტკიცედ დავიხსომოთ ეს და გავატაროთ ცხოვრებაში განსაზღვრული ღონისძიებები.

ნება მომეცით თქვენი ყურადღება შევაჩერო უკანასკნელ საკითხზე ცენტრალურ საკონტროლო კომისიის ხაზით—ჩვენი პარტიის გენერალური წმენდის საკითხზე.

პარტიის წმენდა

ცენტრალურ საკონტროლო კომისიის განკარგულებაშია ზოგიერთი წინასწარი ცნობები პარტიის წმენდის შესახებ, რომლებიდანაც სჩანს, რომ არის ზოგიერთი დეფექტები, რომელთა გამოსწორებას ეხლავე უნდა მიექცეს სერიოზული ყურადღება, რათა შემდგომი მუშაობა პარტიის გასაწმენდათ ჩატარებულ იქნას მე-16 პარტკონფერენციის დირექტივებთან სრული შეფარდებით.

ხსენებული დეფექტები უმთავრესად გამოიხატება იმაში, რომ წმენდის დაწყებისას ყველა შემმოწმებელი კომისია საკმაო ყურადღებას არ აქცევდა შესამოწმებელი წევრის ან კანდიდატის ნამდვილ პარტიულ ფიზიონომიის გამორკვევას, ხშირად კმაყოფილდებოდა ბიოგრაფიული ცნობებით და უმთავრესი კი გამოურკვეველი რჩებოდა. საჭიროა, რათა შემმოწმებელმა კომისიებმა გამოასწორონ ეს ნაკლი, მეტი ყურადღება მიაქციონ წმენდის დროს ამ საკითხს, გამოარკვიონ თუ რამდენად გამოსადეგია შესამოწმებელი პირი ჩვენი პარტიისათვის, პარტიისა და ხელისუფლების წინაშე მდგარ ამოცანების შესრულებისათვის.

წმენდის პროცესში გამოირკვა აგრეთვე, რომ ადგილი ჰქონდა ურთიერთ დაზოგვას, რომელიც გამოიხატებოდა იმაში, რომ ზოგიერთ უჯრედში წმენდის დროს სრული დუმილი იყო გამეფებული. იქმნებოდა ისეთი შთაბეჭდილება, რომ ხელს აფარებდნენ ერთი მეორეს და გამოდიოდა, თითქოს უჯრედში პარტიულებს არა აქვთ არავითარი ნაკლი. ამას ბოლო უნდა მოეღოთ და უნდა მივაღწიოთ უჯრედის წევრთა და იმ უპარტიო მუშათა და გლეხთა მაქსიმალურ აქტიობას, რომელნიც ჩაბმულნი არიან წმენდაში. არის კიდევ ერთი სერიოზული დეფექტი, რომელიც დაკავშირებულია წმენდასთან—სახელდობრ არ შესრულება იმ დირექტივისა, რომელიც **შეეხება გაწმენდილთა ნაცვლად უპარტიო მუშებისა და გლეხების ახალი კადრების მიზიდვას ჩვენი პარტიის რიგების შესავსებად.** ეს უკანასკნელი მომენტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ მხრივ, რომ პარტიული ორგანოები ადგილებზე ვერ იყენებენ პარტიულ და უპარტიო მასების ინტერესის გაძლიერებას პარტიის გენერალური წმენდის მიმართ.

სამრეწველო აღმშენებლობის დეფექტები

ნება მომეცით ამით დავამთავრო ანგარიში ცენტრალურ საკონტროლო კომისიის ხაზით მუშაობის შესახებ და გადავიდე მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობაზე.

ჩემს მოხსენებაში მუშგლეხინის მუშაობის შესახებ ყრილობის ყურადღებას შევაჩერებ უმთავრესად ჩვენი მშენებლობის დეფექტებზე და ამ დეფექტების ასაცილებლად საჭირო ღონისძიებებზე; ამასთანავე მხედველობაში მაქვს, რომ დაბეჭდილი დაწვრილებითი ანგარიში მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობის შესახებ დელეგატებს დაურიგდათ და მათ საშუალება აქვთ გაეცნონ მუშათა და გლეხთა ინსპექციის ხაზით ჩატარებულ მთელ მუშაობას.

ვიდრე უშუალოდ გადავიდოდეთ ამ დეფექტებზე, საჭიროა აღვნიშნოთ, რომ მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობის მიმდინარე საანგარიშო პერიოდში დამახასიათებელ მომენტს წარმოადგენს შემდეგი გარემოება: ეს პერიოდი შეიცავს ჩვენი სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდის ბოლოს და მისი სარეკონსტრუქციო პერიოდის დასაწყისს, ამის მიხედვით, მუშათა და გლეხთა ინსპექციის ყურადღება უმთავრესად მიმართული იყო ასეთ საკითხებზე—რამდენად გეგმიანად და მიზანშეწონილად ხორციელდებოდა კაპიტალური დაბანდება ახალ მშენებლობაში სახალხო მეურნეობის გარდაქმნის ამოცანების თანახმად. სხვა მომენტებს, რომლებსაც მუშათა და გლეხთა ინსპექციამ თავისი ყურადღება მიაქცია, წარმოადგენენ სოფლის მეურნეობის საკითხები, ამასთანავე, ის დეფექტები, რომლებსაც მე შევეხები, ეკუთვნიან ჩვენი სახალხო მეურნეობის ამ ორ დარგს, ე. ი. მრეწველობასა და მშენებლობის დარგს და სოფლის მეურნეობის დარგს.

მრეწველობისა და მშენებლობის დარგში ჩვენ გვაქვს შემდეგი სერიოზული დეფექტები.

ავიღოთ, მაგალითად, აჭარის-წყლის ჰიდრო ელექტრონული სადგური, აჭარისწყლის ჰიდრო-ელსადგურის მშენებლობის სისუსტის მთავარ მიზეზად უნდა მივიჩნიოთ ამომწურავი გეოლოგიური ცნობების უქონლობა პროექტის დამუშავებაში, გეოლოგიური მუშაობა ზედმიწევნით უნდა შესრულებულიყო მანამდე, ვიდრე შეუდგებოდნენ მთავარ ჰიდრო-ტეხნიკურ ნაგებობათა შენებას. ეს ყოველგვარი ჰიდრო-ელექტრომშენებლობის საფუძველი გათვალისწინებულ არ იქნა აჭარისწყლის ჰიდრო-ელსადგურის შენების დაწყების დროს, თუმცა არსებობდა სხვადასხვა საკონსულტაციო ცნობები მოსკოველი პროფესორებისა, რომლებიც ემსახურებოდნენ აჭარისწყლის ჰიდრო-ელსადგურს. ამ მუშაობას მცირე ყურადღება ექცეოდა, რის გამოც, ბოლოს და ბოლოს, შეჩერებულ იქნა ყველა საამშენებლო მუშაობა და დაწყებულ იქნა საბურღი სამუშაოები, ე. ი. ის, რაც უნდა გაკეთებულიყო მშენებლობის დაწყებისას, ეს მას შემდეგ მოხდა, როცა უკვე დახარჯული იყო 6 ნახ. მილიონი მანეთი. უეჭველია, ეს შედეგია როგორც სამუშაოთა უფროსის ინჟენერ მაშევსკისა, ისე ზოგიერთი პროფესორების დანაშაულებრივი დამოკიდებულებისა და დაუდევრობისა. ჩვენმა ორგანოებმა დროიანად იწინასწარმეტყველეს ეს საფრთხე, მაგრამ ამას საკმაო ყურადღება არ მიაქციეს. ამ მთავარი მიზეზის გარდა, აჭარის წყლის ჰიდრო-ელსადგურის მშენებლობის პროცესს ახასიათებდა სრული სამეურნეო უთადარიგობა, უგეგმიანობა, მშენებლობის მთელი საქმის ცუდი ორგანიზაცია.

ამას შედეგად ის მოჰყვა, რომ 1923 წელს აჭარის-წყლის ჰიდრო-ელსადგურის მშენებლობის პირველი სახარჯთაღრიცხვო ღირებულება განისაზღვრა 678.000 ოქროს მანეთად, 1923 წლის ნოემბერში—1.800.000 მანეთად, ხოლო 1928 წლის თებერვალში პროფესორმა ალექსანდროვმა განსაზღვრა 3.000.000 მანეთად. ამგვარად, ორი (?) წლის განმავლობაში აჭარისწყლის ჰიდრო-ელსადგურის მშენებლობის ხარჯთ-აღრიცხვა სამჯერ შეიცვალა, ხოლო სადგურის ძალოვნება—5 ათასი ცხენის ძალა უცვლელი დარჩა. 1925 წელს საქართველოს სახ. კომისართა საბჭოს მიერ მოწვეულმა პროფესორმა ლიუდინმა სადგურის მოწყობის ღირებულება განსაზღვრა 4.500.000 მანეთად. 1926 წლის აპრილში საქართველოს სახ. საგეგმო კომისიის კომ.-მა ეს ღირებულება კიდევ უფრო გაადიდა და 4.760.000 მანეთად განსაზღვრა, ხოლო 1928 წელს „ამიერკავკასიის ტეხნიკურმა საამშენებლო კომისიამ" ამ სადგურის აშენების ხარჯთ-აღრიცხვა განსაზღვრა 8.418.000 მანეთად. ამგვარად, 1925 წლიდან 1928 წლამდე კიდევ სამჯერ შეიცვალა აჭარისწყლის ჰიდრო-ელსადგურის მშენებლობის ხარჯთ-აღრიცხვა და 4.500.000 მანეთიდან თითქმის 8.500.000 მანეთამდე ავიდა, ხოლო სადგურის ძალოვნება 7,5 ათას ცხენის ძალამდე. აქედან ერთი კილოვატ-საათის ღირებულება შეიცვალა პირველად გათვალისწინებული 7-8 კაპიკიდან 20 კაპიკამდე, მაგრამ ეს კიდევ ცოტაა. მიმდინარე 1929 წლის იანვარში „გლაველექტროს" კომისია დაწვრილებით გაეცნო აჭარისწყლის ჰიდრო-ელსადგურის მშენებლობის მდგომარეობას და მისი ღირებულება ივარაუდა 14-დან 15 მილიონ მანეთამდე, ხოლო სადგურის ძალოვნება გაადიდა 7 ნახ. ათასი ცხენის ძალიდან 15.000 ცხენის ძალამდე.

ამხ. გ. სტურუა

ნაკლოვანებანი სოფლის მეურნეობაში

სოფლის მეურნეობის დარგში ჩვენ მოვახდინეთ მთელი რიგი გამოკვლევები: თესვის კამპანიის ჩატარების დარგში, აგრეთვე სასოფლო - სამეურნეო იარაღის და მანქანების გამოყენების და განაწილების დარგში. აქ გამოაშკარავებულ იქნა მთელი რიგი ყოვლად შეუწყნარებელი დეფექტები. ასე მაგალითად, არც შორაპნის მაზრაში და არც აჭარისტანში გლეხობას შორის არ ჩატარებულა კამპანია იმ ახალი კანონის ახსნა - განმარტებისათვის, რომელიც აწესებს შეღავათებს სასოფლო სამეურნეო გადასახადში. ამ კანონის შესახებ შორაპნის მაზრაში არა მარტო გლეხებმა, არამედ ზოგიერთმა სამაზრო მუშაკმაც და თემაღმასკომმაც არაფერი იცოდა თესვის კამპანიის პრაქტიკულად ჩატარების მომენტისათვის. აჭარისტანში, მაგალითად, აჭარისტანის ვაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებულმა სოფლის მეურნეობისათვის შეისყიდა 500 სული მუშა - საქონელი. ფაქტიურად კი, მუშა - საქონლის ნაცვლად თურქეთში შესყიდულ იქნა 300 სული ძროხა, და შემდეგ ეს საქონელი, როგორც მეურნეობისათვის გამოუსადეგი, გაიყიდა დასაკლავად.

თესლის მასალის განაწილების მხრივ საკრედიტო ამხანაგობებში ადგილი ჰქონდა ისეთ შემთხვევებს, როცა ეს ამხანაგობანი მასალას აძლევდნენ არა სესხად ახალ მოსავლამდე, როგორც ეს გათვალისწინებული იყო დირექტივით, არამედ ნაღდ ფულზე, რაც დაუშვებელია. ამას ადგილი ჰქონდა ქობულეთში და ორთა-ბათომში.

შემდეგი მაგალითი. გამოკვლევის მომენტისათვის არ იყო მოწყობილი სამაზრო და სათემო თესვის კომისიები და არ არსებობდა სათანადო ცოცხალი ინსტრუქტაჟი და პარტიული ხელმძღვანელობაც კი.

არ არსებობდა აგრეთვე ახლად მოწყობილი კოლექტივების სათანადო ხელმძღვანელობა მიწების გამოყოფის საქმეში და მიწადმოქმედების სახ. კომისარიატის და „სოფლის კავშირ"-თან არსებული კოლმეურნეობათა სექციის მიერ აგროდახმარების აღმოჩენის მხრივ, ხოლო შორაპნის მაზრაში სავსებით არ არსებობდა რეგულიარული კავშირი და სათემო კომისიების ცოცხალი ხელმძღვანელობა სამაზრო კომისიების მხრივ. მაზრაში არ არსებობს აგრეთვე სასოფლო - სამეურნეო იარაღის და მანქანების აღრიცხვა, რის გამოც არ დაუმუშავებიათ გეგმა ამ იარაღ-მანქანების რაციონალურად გამოყენებისათვის.

ცენტრ. საკ. კომ. და მუშგლეხინის მორიგი ამოცანები

ცენტრ. საკონტრ. კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის ამოცანები უმთავრესად ისეთივეა, როგორიც ჩვენს წინაშე იდგა წარსულ საანგარიშო პერიოდში. მაგრამ ეს ამოცანები ჩვენს შემდგომ პრაქტიკულ მუშაობაში უფრო მკაფიოდ უნდა ჩამოვაყალიბოთ იმ მიზნით, რომ მთელი ჩვენი აპარატი სავსებით შეუფარდოთ პროლეტარულ სახელმწიფოს ამოცანებს.

ნება მომეცით პატარა ციტატა მოვიყვანო ამხ. ლენინის ბროშურიდან: „შეინარჩუნებენ თუ არა ბოლშევიკები ხელისუფლებას"? ეს ბროშურა, როგორც ვიცით, ამხ. ლენინმა გამოუშვა ჯერ კიდევ 1917 წელს, ოქტომბრის რევოლიუციამდე. ამ უმნიშვნელოვანეს ბროშურაში, ხელისუფლების დაპყრობისა და შენარჩუნების ორგანიზაციის სხვა დიდ მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, ამხ. ლენინმა თავისებური გარკვეულობითა და მკაფიობით განსაზღვრა ის აპარატი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს პროლეტარიატისა და გლეხობის გამარჯვება. აი ბროშურის ეს ადგილი.

„საბჭოები ახალი სახელმწიფოებრივი აპარატია, რომელიც გვაძლევს, ჯერ ერთი, მუშებისა და გლეხების შეიარაღებულ ძალას, ამასთანავე ეს ძალა ხალხს არ არის მოწყვეტილი, როგორც ძველი მუდმივი არმიის ძალა, არამედ მასთან მჭიდროდაა დაკავშირებული; სამხედრო თვალსაზრისით—ეს ძალა გაცილებით უფრო მძლავრია, ვიდრე წინანდელი ძალა; რევოლიუციონური თვალსაზრისით იგი უბადლოა. მეორე—ეს აპარატი გვაძლევს კავშირს მასებთან, ხალხის უმრავლესობასთან, იმდენად მჭიდრო, განუყრელ, ადვილად შესამოწმებელ და განსაახლებელ კავშირს, რომ არაფერი ამისი მსგავსი არ ყოფილა წინანდელ სახელმწიფო აპარატში. მესამე—რადგან ეს აპარატი არჩევნების პრინციპზეა აგებული და მისი შემადგენლობა იცვლება ხალხის სურვილის თანახმად, ბიუროკრატიულ ფორმალობათა გარეშე, იგი გაცილებით უფრო დემოკრატიულია, ვიდრე წინანდელი აპარატები. მეოთხე—ის ჰქმნის მტკიცე კავშირს სხვადასხვა პროფესიებთან და ამით აადვილებს უაღრესად ღრმა ხასიათის სხვადასხვა რეფორმებს, ბიუროკრატიის გარეშე. მეხუთე—იგი ჰქმნის ავანგარდის ორგანიზაციის ფორმას ე. ი. დაჩაგრული კლასების, მუშების და გლეხების ყველაზე შეგნებული, ყველაზე ენერგიული მოწინავე ნაწილის ორგანიზაციის ფორმას და, ამგვარად, წარმოადგენს ისეთ აპარატს, რომლის საშუალებითაც დაჩაგრული კლასების ავანგარდს შეუძლია ფეხზე დააყენოს, აღზარდოს, გაწრთვნას და გაიყოლიოს ამ კლასების მთელი ბუმბერაზული მასა, რომელიც დღევანდლამდე პოლიტიკური ცხოვრების, ისტორიის გარეშე იდგა. მეექვსე—იგი საშუალებას იძლევა შევაერთოთ პარლამენტარიზმის კარგი მხარეები უშუალო და პირდაპირი დემოკრატიის კარგ მხარეებთან, ე. ი. ხალხის ამორჩეულ წარმომადგენელთა სახით შევაერთოთ საკანონმდებლო ფუნქციაც და კანონის ასრულებაც. ბურჟუაზიულ პარლამენტარიზმთან შედარებით ეს ისეთი წინ გადადგმული ნაბიჯია დემოკრატიის განვითარებაში, რომელსაც მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობა აქვს". (1917 წ. IX. „შეინარჩუნებენ თუ არა ბოლშევიკები სახელმწიფო ხელისუფლებას?", ტომი 14, ნაწილი მეორე, გვერდი 228—229).

ამხ. ლენინის ეს წინასწარმეტყველებანი საბჭოთა აპარატის საფუძვლის უძლეველობის შესახებ ისტორიამ, არსებითად, გაამართლა. ეს იქიდან სჩანს, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ უკვე მე-12 წელიწადს არამც თუ შეინარჩუნა არსებობა, არამედ ვითარდება, მაგრდება და უფრო და უფრო უძლეველი ხდება, მრავალრიცხოვანი გარეშე და შინაური მტრების მიუხედავად. მაგრამ ამავე დროს უნდა აღვნიშნოთ, ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი იმისათვის, რომ საბჭოთა აპარატი ისეთი იყოს, როგორც ის ამხ. ლენინს წარმოედგინა.

საბჭოთა აპარატი უნდა გაიწმინდოს

არავისთვის საიდუმლოებას არ შეადგენს, რომ საბჭოთა აპარატში საკმაოდ არსებობენ არა მარტო უუნარო ელემენტები, არამედ ძალიან ხშირად ისეთი ელემენტებიც, რომლებიც ჩვენს წინააღმდეგ მუშაობენ. ჩვენი აპარატი ბლომად შეიცავს ჩვენთვის კლასობრივად უცხო ელემენტებს, ჩვენს პოლიტიკურ მტრებს, რომელთაც არ შეუძლიათ და არ სურთ გაატარონ ჩვენი კლასობრივი ხაზი თავის პრაქტიკულ მუშაობაში. ამ ელემენტებისაგან საჭიროა ჩვენი აპარატის გაწმენდა. საამისოდ ისევ და ისევ საჭიროა გამოვიყენოთ საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ყველა არსებული ფორმა, პარტიულ და უპარტიო მუშურ გლეხური ფართო მასების ძალღონე იმისათვის, რომ საბჭოთა აპარატი ისეთი იყოს, როგორც გათვალისწინებულია ილიჩის ანდერძში, ე. ი. მას მთელი 100 პროცენტით უნარი შესწევდეს გაატაროს პარტიული, საბჭოთა ხაზი, რომელიც განამტკიცებს პროლეტარიატის დიქტატურას, ხელს შეუწყობს სოციალისტურ მშენებლობას და უზრუნველჰყოფს ჩვენს მუშაობას ჩვენი მოწინააღმდეგეების ყოველგვარი მავნებლობისაგან.

აპარატის წმენდა უნდა სწარმოებდეს თვითეული ცალკე მუშაკის მუშაობის ღირსების თვალსაზრისით.

აპარატის წმენდასთან დაკავშირებით ჩვენ საკითხი უნდა დავსვათ თვით აპარატის რაციონალიზატორული მუშაობის შესახებ. იგი მოითხოვს არა მარტო საბჭოთა, არამედ მოწინავე ქვეყნების და, საერთოდ, ყველაფრის, რაც კი საუკეთესოა მეცნიერებაში, მთელი დაგროვებული გამოცდილების გამოყენებას.

ნება მომეცით რამოდენიმე სიტყვით შევეხო სოციალისტური შეჯიბრების საკითხს.

ამ სრულიად ახალს, მთელს მსოფლიოში დღევანდლამდე უნახავსა და ბურჟუაზიულ ქვეყნებში შეუძლებელ ფორმას ამჟამად განსაკუთრებული დიდი მნიშვნელობა ეძლევა მშრომელთა ფართო მასების ფეხზე წამოყენებისა და სოციალისტურ მშენებლობაში ჩაბმის საქმეში. სოციალისტური შეჯიბრება ფართო მასების აქტივობისა და უნარის გამომჟღავნების ისეთი ფორმაა, რომელიც მთლიანად და სრულად უნდა გამოვიყენოთ და რომელმაც უდიდესი შედეგები უნდა მოგვცეს. ამიტომ, მთელი პარტიის ამოცანას შეადგენს, რომ სოციალისტური შეჯიბრების ამ მეტის-მეტად მნიშვნელოვან საკითხში მან ხელმძღვანელობა გამოიჩინოს და ამით უზრუნველყოს მუშებისა და გლეხების ფართო მასების სწორედ ჩაბმა ამ საქმეში.

ამასთანავე ერთად ცენტრალური საკონტროლო კომისიისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის ხაზით მასიური მუშაობა უნდა გამოიხატოს უმჭიდროესი კავშირით ადგილობრივ ფართო მასებთან; საამისოდ გამოყენებულ უნდა იქნან სახივართა ბიუროები, მუშათა და გლეხთა ინსპექციის სექციები სასოფლო საბჭოებთან. ერთი სიტყვით მუშათა და გლეხთა ინსპექცია უნდა გადავაქციოთ ნამდვილ ლაბორატორიად, სკოლად, საიდანაც უნდა გამოვიდნენ სოციალიზმის საუკეთესო მშენებელი მუშები და გლეხები. ამ ამოცანის შესრულება საგრძნობლად არის დამოკიდებული ცენტრ. საკონტროლო კომისიისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის მდგომარეობაზე.

გავაძლიეროთ მუშგლეხინი ახალი მუშაკებით

პარტიისა და ხელისუფლების ამოცანებთან აპარატის შეფარდების პრობლემას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ეძლევა და ამით აიხსნება ხელისუფლებისა და პარტიის ღონისძიებანი აპარატის წმენდის საქმეში საერთოდ. მაგრამ, როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ ცენტრ. საკონტროლო კომისიისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის აპარატის შესახებ, ჩვენ გადაჭრით და გადაუხვევლად უნდა მივდიოთ ამხ. ლენინის ანდერძს. ყური დაუგდოთ, თუ რას გვირჩევდა ამხ. ლენინი ამ საკითხში.

„ჩემის აზრით, მოსამსახურეთა რიცხვის ყოველგვარი საერთო ნორმები უნდა უცბად და უყოყმანოდ მოვიშოროთ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის მოსამსახურეები სრულიად განსაკუთრებული წესით უნდა შევარჩიოთ და მხოლოდ უსასტიკესი გამოცდის საფუძველზე". (იხ. ლენინის წერილი „სჯობს ცოტა და უკეთესი", ტომი მე-18, ნაწილი მეორე, გვერდი 128).

შემდეგ ლენინი ანვითარებს თავის აზრს მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანიზაციის შესახებ და დაბეჯითებით მოითხოვს მუშათა და გლეხთა ინსპექციისათვის გამორჩეულ იქნას „მართლაც საუკეთესო ელემენტები, რომლებიც ჩვენს სოციალურ წყობილებაში არსებობენ". (ლენინის სიტყვები იქვე, გვერდი 127).

ვის სთვლის იგი საუკეთესოდ? ამის საპასუხოდ უკეთესია ყური დაუგდოთ თვით ამხ. ლენინს. ამხ. ლენინი კითხულობს „რა ნაირი ელემენტები გვაჩნია მუშათა და გლეხთა ინსპექციის აპარატის შესაქმნელად" და ასე უპასუხებს:

„მხოლოდ ორი. ჯერ ერთი სოციალიზმისათვის ბრძოლით გატაცებული მუშები.., მეორე — ცოდნის, განათლების, სწავლა-მეცადინეობის ელემენტები, რომლებიც ჩვენში მეტის - მეტად მცირეა ყველა სხვა სახელმწიფოებთან შედარებით" (იქვე გვერდი 126).

ამ სამი პატარა ციტატიდან მართლაც სჩანს, თუ რა უდიდეს მნიშვნელობას აძლევდა ამხ. ლენინი მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანიზაციის საკითხს, იმ მიზნით, რომ გადაქცეულიყო იგი „ჩვენი აპარატის გაუმჯობესების ნამდვილ იარაღად, ნამდვილ სანიმუშო დაწესებულებად", რომელმაც თავისი შინაარსით „უნდა განსაზღვრონ მთელი ჩვენი აპარატი მთლიანად". (გვერდი 130). აქედან ბუნებრივად გამომდინარეობს ერთი დასკვნა — ყრილობამ მტკიცედ უნდა სთქვას, რომ პარტიის ხელმძღვანელმა ორგანოებმა, რომლებიც ყრილობის შემდეგ დარჩებიან, უყოყმანოდ შეასრულონ ამხ. ლენინის მითითებანი, წინააღმდეგ შემთხვევაში ცენტრალური საკონტროლო კომისიისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობა ვერ მოგვცემს იმას, რასაც მისგან მოვითხოვთ.

როგორც ხედავთ, ამხანაგებო, ცენტრალური საკონტროლო კომისიისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის წინაშე უდიდესი ამოცანებია დასახული. ბოლოსა და ბოლოს ამ ამოცანების შესრულება მთლიანად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად შედუღებულნი ვართ პარტიის შიგნით ერთის ნებისყოფით, ერთის იდეით, რამდენად უზრუნველყოფილნი ვართ ყოველგვარი მერყეობისაგან, სიმტკიცის დარღვევისაგან და სხვადასხვა გადახრისაგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოეთის პრესა ინგლის-საბჭოთა ურთიერთობის შესახებ

ფაშისტური „ტევერე" აღნიშნავს: „საბჭ. კავშირთან ეკონომიური ურთიერთობის განახლებით ამერიკამ მნიშვნელოვანი კოზირი გამოგლიჯა ხელიდან ინგლისს"

საბჭოთა კავშირში მოემგზავრებიან ამერიკის სპეციალისტები

ინგლის-საბჭოთა ურთიერთობა

„დეილი ჰერალდი" ინგლის-საბჭოთა ურთიერთობის შესახებ

ლონდონი, 7 ივლისი მუშათა პარტიის ორგანო „დეილი ჰერალდ"-ი მოწინავე წერილში ეხება საბჭოთა გაზეთების კომენტარიებს ინგლის-საბჭოთა ურთიერთობის განახლების საქმის გადადების გამო.

„მოსკოვში,—სწერს გაზეთი,—ალბად დაასკვნეს, რომ მათ რაღაცას მოსთხოვენ, რაც არ შეეფერება საბჭოთა კავშირის სახელ და ღირსებას. ინგლისის მთავრობა ან ინგლისის მუშათა მოძრაობა ყველაზე ნაკლებად ფიქრობს ამაზე. არაფერია ისე გარკვეული, როგორც მთავრობის განზრახვა—განაახლოს დიპლომატიური ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან. ინგლისის მთავრობა სცდილობს მოახდინოს მეგობრული ლიკვიდაცია წარსულში მომხდარი ყოველგვარი გაუგებრობისა და დაამყაროს არა მარტო თავაზიანი, არამედ გულითადი ურთიერთობა ორ მთავრობას შორის. თუ საბჭოთა მთავრობა გამოიჩენს ისეთივე სურვილს, როგორითაც გამსჭვალულია ინგლისის მთავრობა, მაშინ ადგილი აღარ ექნება არც სიძნელეს, არც გაჭიანურებას იმ მიზნის განხორციელების საქმეში, რომლისკენაც ორივე მთავრობა მიილტვის". (ადს).

„სიტყვების უზადრუკი თამაში"

ლონდონი, 7 ივლისი. კონსერვატიული „მორნინგ პოსტ"-ი მოწინავე წერილში ეხება ჰენდერსონის გამოსვლას თემთა პალატაში და მის ნათქვამს „სიტყვების უზადრუკ თამაშს" უწოდებს.

ჰენდერსონის ის განცხადება, რომ დიპლომატიური ურთიერთობა ინგლისსა და საბჭოთა კავშირს შორის არ შეწყვეტილა, არამედ შეჩერდა, გაზეთს მიაჩნია პალატის წევრთა გონიერების და მთელი ინგლისის საზოგადოებრიობის შეურაწყოფად". (ადს).

ინგლისმა უდიდესი შეცდომა ჩაიდინა

ლონდონი, 7 ივლისი. ინგლისის მრეწველობის და იმ საქმიანი წრეების წარმომადგენელთა კრებაზე, რომელთაც საბჭოთა კავშირთან ვაჭრობა აინტერესებთ, გამოვიდა მიტკალი, მონაწილე იმ სამრეწველო დელეგაციისა, რომელიც საბჭოთა კავშირს ეწვია.

მან განაცხადა: შეცდომები ჩაიდინა როგორც ინგლისმა, ისე საბჭოთა კავშირმა. **ინგლისის საქმიანმა წრეებმა არ უნდა უცადონ, რომ რუსებმა გადასდგან პირველი ნაბიჯი; მათ თვითონ უნდა გამოიჩინონ ინიციატივა.** მიტკალის აზრით, **უდიდესი შეცდომა**, რომელიც ინგლისმა ჩაიდინა, იყო ინტერვენცია რევოლიუციის შემდეგ და თავდასხმა „არკოს"-ზე. (ადს).

ურჩევენ მაკდონალდს

ბერლინი, 7 ივლისი. ნაციონალისტური „კრეიც-ცეიტუნგ"-ი (რეიხსტაგის ნაციონალისტური ფრაქციის თავმჯდომარის გრაფ ვესტარპის ორგანო) ურჩევს მაკდონალდის მთავრობას—არ განაახლოს დიპლომატიური ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან. გაზეთს მოჰყავს ჩვეულებრივი საბაბი—პროპაგანდა. მოჰყავს აგრეთვე ის ხმა, ვითომ შეერთებული შტატების ელჩმაც, დოუესმაც „გააფრთხილა" მაკდონალდი—არ განაახლოს ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან. (ადს).

ფაშისტური გაზეთი მაკდონალდის მთავრობის საგარეო პოლიტიკის შესახებ

რომი, 7 ივლისი. მუსოლინთან დაახლოვებული ფაშისტური გაზეთი „ტევერე" იმ საკითხის შესახებ, თუ რატომ დააგვიანა ინგლისის მუშათა მთავრობამ ურთიერთობის აღდგენა საბჭოთა კავშირთან სწერს:

საფიქრებელი იყო, რომ მაკდონალდი პირველ საქმედ საბჭოთა კავშირის ცნობას გაიხდიდა, მაგრამ, როგორც ჰენდერსონის განცხადებიდან სჩანს, ინგლისი ამ მხრივ ისე ნელა მიიწევს წინ, თითქოს ფეხებზე დიდი ლოდები ეკიდოს. **საბჭოთა კავშირთან დიპლომატიური ურთიერთობის განახლებით ამერიკამ ინგლისს მნიშვნელოვანი უპირატესობა გამოჰგლიჯა ხელიდან.** გაზეთის აზრით, ურთიერთობის განახლება ხელსაყრელი იყო ინგლისისათვის იმ მომენტამდე, ვიდრე საბჭოთა კავშირში ამერიკელები გაჩნდებოდნენ. ეკონომიური ურთიერთობის გაცხოველებით ამერიკამ ინგლისს მნიშვნელოვანი უპირატესობა გამოჰგლიჯა ხელიდან.

მუშათა მთავრობა, რომელსაც საბჭოთა კავშირის ცნობის საქმეში პრინციპიალური მოსაზრება ამოქმედებს, საქმით ნაკლებად არის დაინტერესებული ამ საკითხით. თუ ამერიკა განაგრძობს საბჭოთა კავშირში ეკონომიური შეჭრის პოლიტიკას, შეიძლება მუშათა მთავრობამ განუსაზღვრელ დროსთვის გადასდოს საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის განახლება. მაგრამ რაც უფრო მეტად გადაიდება ცნობის საკითხი, მით უფრო დაეკარგება მას კონკრეტული მნიშვნელობა და მით უფრო წამოიჭრება პირველ რიგში იმ ბრძოლის კაპიტულიაციის ფაქტი, რომელსაც ინგლისი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ აწარმოებდა". (ადს).

ორლოვის და პავლონოვსკის პროცესი

ზივერტი ჩვენებას აძლევს

ბერლინი, 7 ივლისი. 7 ივლისს სასამართლოს სხდომაზე ორლოვისა და პავლონოვსკის საქმის განხილვის დროს განაგრძეს ზივერტის დაკითხვა. ზივერტმა დაწვრილებით უამბო სასამართლოს—როგორი ურთიერთობა ჰქონდა მას ორლოვთან, ამასთან მან ორლოვს უწოდა პავლონოვსკის „ბოროტი სული". აღნიშნა აგრეთვე ორლოვის ანტიგერმანული განწყობილება. ზივერტი თავის მახლობელ აგენტების დაურიდებლად უწოდებს ყალბი საბუთების დამამზადებლებს. ამასთან ზივერტმა ყოვლად დაუშვებლად მიიჩნია, რომ კომინტერნს ან სახელმწ. პოლიტიკურ სამმართველოს თითოს დაემზადებინოთ ყალბი საბუთები (ასეთი ფანტასტიური „შესაძლებლობას" გადაკვრით აღნიშნავდნენ დამცველები).

პავლონოვსკის დამცველის შეკითხვაზე ზივერტმა განაცხადა, რომ პავლონოვსკი წინადადებას იძლეოდა—გაეძარცვა საბჭოთა კავშირის დიპლომატიური კურიერი ტიტოვი; პავლონოვსკი ამტკიცებდა, რომ ტიტოვს დიდძალი ფული მოაქვსო. ეს თავისი განცხადება ზივერტმა სავსებით დაადასტურა იმით, რომ წაიკითხა პავლონოვსკის საკუთარი ხელით დაწერილი წერილი. ამასთან ზივერტი გამოტყდა, რომ მან ურჩია პავლონოვსკის განეხორციელებია თავისი გეგმა; იმავე დროს მან ამ გეგმის შესახებ გერმანიის ხელისუფლებასაც აცნობა.

ზივერტის შემდეგ დაჰკითხეს საზოგადოებრივი წესრიგის კომისარიატის მრჩეველს მიულეიზენს, რომლის ჩვენებამაც გამანადგურებელი მახვილი ჩასცა ბრალდებულთ.

მიულეიზენმა განაცხადა: **იმ ცნობების მიხედვით, რომლებიც მას მოეპოვება, ორლოვი იქადნიდა, რომ მან მონაწილეობა მიიღო „ზინოვიევის წერილის" (ყალბი წერილის) დამზადებაში.** ამ განცხადებამ სასამართლოს დარბაზში უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა. მიულეიზენის განცხადებიდან გამოირკვა, რომ ზივერტის აგენტურას მონოპოლია ჰქონდა მინიჭებული საზოგადოებრივი წესრიგის კომისარიატისთვის ისეთი „მასალისა და საბუთების მიწოდების საქმეში, რომლებიც საბჭოთა კავშირს შეეხებოდნენ. ზივერტს კომისარიატიდან ყოველთვიურად ეძლეოდა დიდი ჯილდო, რომლის რაოდენობის შესახებაც მიულეიზენმა არაფრის თქმა არ მოისურვა. მოწმის სიტყვით, ზივერტს ჯილდო „გერმანიის სხვა დაწესებულებიდანაც ეძლეოდა.

ზივერტის და მიულეიზენის ჩვენებებმა ნათელი გახადეს, რომ ყალბი საბუთების დამამზადებელთა ბრბოს ზივერტის საშუალებით მუდმივი კავშირი ჰქონდა საზოგადოებრივი წესრიგის კომისარიატთან და გერმანიის სხვა დაწესებულებებთან.

ფოსის ექსპერტიზა

ბერლინი, 7 ივლისი. სასამართლოს სხდომაზე ექსპერტმა ფოსმა ჩვენება მისცა ორლოვისა და პავლონოვსკის საქმის გამო, თუმცა ფოსი ცნობილია „ბოლშევიზმის" მოწინააღმდეგედ", მაგრამ მისი ექსპერტიზა თეთრგვარდიელთა ემიგრაციის დანაშაულებრივი მოქმედების მკვეთრი მხილება გამოდგა. ფოსმა აღნიშნა, რომ **უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში რუსმა ემიგრანტებმა დედამიწას მოჰფინეს ყალბი საბუთები.** მარტო სიმრავლე „რუსული საბუთებისა" ამტკიცებს მათ სიყალბეს. კერძოდ, **ყოველ ეჭვს გარეშეა სიყალბე ისეთი საბუთებისა, როგორიც არის „ზინოვიევის წერილი", ან შეერთებული შტატების სენატორის ბორას წინააღმდეგ მიმართული ყალბი საბუთები.** ასევე უსათუოდ ყალბია ყველა ის საბუთი, რომლებზედაც ლაპარაკია ამ საქმეში.

როდესაც ორლოვისა და პავლონოვსკის დახასიათებაზე გადავიდა, ფოსმა სთქვა, რომ ისინი „ისეთი არსებანი არიან, რომელთაც გახრწნილი მორალი აქვთ"-ო, თან აღნიშნა, რომ ისინი მთლად გარყვნა „იმ საიდუმლო ბრძოლამ, რომელსაც ისინი აწარმოებდნენ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ საბჭოთა აპარატის ფარგლებში".

დასასრულ ფოსმა სთქვა: „გერმანია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის განსაკუთრებული ხასიათის წყალობით, ყალბ საბუთებს გერმანიაში არ მოჰყოლია ისეთი შედეგი, როგორიც მოჰყვა ინგლისში. მაგრამ იმ წყაროების გამოყენებამ, რომლებიც ყალბი საბუთების დამზადებას მისდევენ, მომავალში შეიძლება გააფუჭოს ამ ორი ქვეყნის ურთიერთობა. საჭიროა ბრძოლა არა მარტო იმათი წინააღმდეგ, ვინც ყალბ საბუთებს ამზადებს, არამედ იმათ წინააღმდეგაც, ვინც ასეთ საბუთებს უკვეთს".

ექსპერტმა ფოსმა და მისმა განცხადებამ უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა. (ადს).

ამერიკელი სპეციალისტები საბჭოთა კავშირში მოდიან

ნიუ-იორკი, 7 ივლისი. როგორც „ჯორნელ ოფ კომერს"-ი იუწყება, საფეიქრო და მანქანათ-მშენებელი ფირმა „ლოკაუდ გრიგ კომპანი" 10 ივლისს საფეიქრო საქმის და მანქანათშენების ოთხ ცნობილ ამერიკელ სპეციალისტს მგზავნის საბჭოთა კავშირში საბჭოთა სპეციალისტებთან თანამშრომლობისათვის საბჭოთა მანქანათმშენებელ საწარმოებში. (ადს).

გაფიცვების ტალღა

2.000 ტრამვაელის გაფიცვა

ნიუ-იორკი, 7 ივლისი. ნიუ-ორლეანში გრძელდება 2.000 ტრამვაელის გაფიცვა. მუშები მოითხოვენ ხელფასის გადიდებას, ტრამვაის მუშათა პროფკავშირის ცნობას და კომპანიის იმ პროფკავშირის დაშლას, რომელსაც დამქირავებელნი უჭერენ მხარს.

მოხდა შეტაკება გაფიცულებსა და შტრეიკბრეხერებს შორის. შტრეიკბრეხერებს პოლიცია იცავდა. როგორც გაფიცულთა, ისე შტრეიკბრეხერთა და პოლიციელთა მხრიდან დაშავდა 200 კაცამდე. ტრამვაის მიმოსვლა ნიუ-ორლეანში შეჩერდა. (ადს).

ნიუ-იორკი, 7 ივლისი. მეოთხე დღეა, რაც გრძელდება 2.000 ნიუ-ორლეანელი ტრამვაელის გაფიცვა. ტრამვაის ვაგონების მიმოსვლა მთლად შეჩერებულია. გაფიცულებმა ნება არ მისცეს, რომ მოძრაობა შტრეიკბრეხერების შემწეობით განეახლებინათ. მოხდა შეტაკება პოლიციასთან. ორი გაფიცული სასიკვდილოდ დაშავდა. (ადს).

ბულგარეთის პროფკავშირთა მოწოდება

ვენა, 7 ივლისი. როგორც სოფიიდან იუწყებიან, ბულგარეთის დამოუკიდებელ პროფკავშირთა გაერთიანების ცენტრალურმა კომიტეტმა გამოაქვეყნა მოწოდება ყველა ქვეყნის პროლეტარიატის მიმართ. კომიტეტი მოუწოდებს მუშებს—დაუყოვნებელი დახმარება აღმოუჩინონ ბულგარეთის მრეწველობის სხვადასხვა დარგში გაფიცულ მუშებს. **გაფიცულთა საერთო რიცხვი 10.000-ს აღემატება.** (ადს).

რეფორმისტების ღალატი

ნიუ-იორკი, 7 ივლისი. გრძელდება ნიუ-იორკის მკერავთა გაფიცვა. **გაფიცულია 28.000 მკერავი.** ნიუ-იორკის შტატის გუბერნატორს რუზველტს ამ საკითხის გამო თათბირი ჰქონდა რეფორმისტულ „ქალის ტანისამოსის მკერავთა საერთაშორისო კავშირის" ლიდერებთა და დამქირავებელთა ასოციაციის ხელმძღვანელებთან. მკერავთა რევოლიუც. კავშირმა გამოამჟღავნა ამ თათბირის ნამდვილი აზრი. მან აღნიშნა, რომ რეფორმისტები **თანამშრომლობენ დამქირავებელთა ასოციაციასთან იმ მიზნით, რათა დამქირავებლებს გაუადვილონ ბრძოლა წვრილ მეპატრონეთა კონკურენციასთან.**

მოხდა შეტაკება რეფორმისტების მომხრეებსა და მკერავთა რევოლიუციონური პროფკავშირის წევრებს შორის. პოლიციამ 14 კაცი დააპატიმრა. (ადს).

უცხოეთში მცხოვრებ პოლონელთა ყრილობა ვარშავაში

„ბოლშევიზმის პროპაგანდის" ეშინიათ

ვარშავა, 7 ივლისი. დიდი ხნის დუმილის შემდეგ, ოფიციოზმა „ეპოქა"-მ მოათავსა წერილი უცხოეთში მოსახლე პოლონელთა ყრილობის მომწვევ საორგანიზაციო კომიტეტის იმ დადგენილების დასასაბუთებლად, რომლითაც ყრილობაზე დასწრების უფლება წართმეული აქვთ საბჭოთა კავშირში მოსახლე მშრომელ პოლონელთა წარმომადგენლებს.

„ყრილობა, — სწერს „ეპოქა" — მოწვეულია საერთო კულტურულ ხასიათის საკითხებზე მსჯელობისათვის იმ დელეგაციებთან, რომლებიც დგანან გამოუკლებლივ პოლონეთის სახელმწიფოებრიობის პლატფორმაზე. ამიტომ, საორგანიზაციო კომიტეტმა უარი განაცხადა მოწვევის გაგზავნაზე საბჭოთა კავშირის პოლონელთა იმ ორგანიზაციებისათვის, რომლებიც თავისი ბუნებითვე უპირდაპირდებიან პოლონეთის სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობის ცნობას".

გაზეთს მოყავს საბჭოთა გაზეთების ცნობა მოსკოვში პოლონელთა საკავშირო ყრილობის მოწვევისა და პშიბიშევსკის მიერ წარმოთქმული სიტყვის შესახებ და გამოყავს დასკვნა, რომ „ყრილობის მოწვევის მიზანია ბოლშევიკური წესწყობილების პროპაგანდა და პოლონეთისამდი სიძულვილის თესვა". „ეპოქა" არ ფარავს თავის უკმაყოფილებას საბჭოთა კავშირში ჩატარებულ ყრილობების გამო, და ურჩევს ამ ყრილობების მოწვევის ინიციატორებს შესწყვიტონ „პოლონეთ - საბჭოთა კავშირის ურთიერთობისათვის საზიანო ასეთი საქმიანობა".

„ეპოქა" სავსებით იწონებს საორგანიზაციო კომიტეტის დადგენილებას საბჭოთა კავშირში მოსახლე პოლონელების დელეგაციის არ დაშვების შესახებ ყრილობაზე. (ადს)

ალღუმი თუ ყრილობა

ვარშავა, 7 ივლისი. უცხოეთში მოსახლე პოლონელთა ყრილობის მომწვევმა საორგანიზაციო კომიტეტმა გამოაქვეყნა ყრილობის პროგრამა. 14 ივლისს, ყრილობის გახსნის დღეს შესდგება „საზეიმო წირვა", შემდეგი სამი დღის განმავლობაში კი მხოლოდ ყრილობის კომისიები იმუშავებენ. ამ ხნის განმავლობაში დელეგაციები „გაეცნობიან ქალაქს". 18 ივლისს შესდგება ყრილობის მეორე და უკანასკნელი პლენარული სხდომა „კომისიების მიერ წარმოდგენილი რეზოლიუციების კენჭის საყრელათ".

ამგვარად პლენარულ სხდომას ექნება უაღრესად დემონსტრატიული ხასიათი. (ადს)

კონფერენცია ნავთის ბაზრების გასანაწილებლად

ნიუ-იორკი, 7 ივლისი. „ნიუ-იორკ ტაიმს"-ის ცნობით, ევროპაში გაემგზავრება ნავთის ფირმების წარმომადგენელთა კომისია; კომისია მონაწილეობას მიიღებს იმ კონფერენციაში, რომელმაც უნდა მოაწესრიგოს ნავთის ბაზრები, შეზღუდოს ნავთის პროდუქცია და მოაწესრიგოს ნავთის ფასები. კომისიაში მონაწილეობას იღებენ „სტანდარტ ოილ"-ის და ნავთის სხვა ფირმების წარმომადგენელნი. როგორც ხმა დადის, ამერიკის ზოგიერთი ფირმები ცდილობენ გაადიდონ ნავთის ფასები, მაგრამ ამას დეტერდინგი ეწინააღმდეგება.

ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატების ნავთის პროდუქცია შეუწყვეტლივ იზრდება. (ადს)

საკავშირო ცაკის წერილი გლეხებს

მოსკოვი, 8 ივლისი. ამხ. კალინინის და ენუქიძის ხელისმოწერით გამოქვეყნებულია საბჭოთა კავშირის ცაკის მიმართვა გლეხებისადმი გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის ობლიგაციების შენარჩუნების შესახებ.

„ყველას შეუძლია თავისუფლად დააგირაოს, გაჰყიდოს და შეიტანოს გადასახადის ანგარიშში ობლიგაცია, მაგრამ საბჭოთა ყოველმა მოქალაქემ უნდა შეიგნოს, რომ თუ ის ვადაზე ადრე გაჰყიდის ან დააგირავებს თავის ობლიგაციას, ამით იგი ზიანს მიაყენებს ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ამოცანას და თავის საკუთარ მეურნეობას, რადგან დააშორებს იმ დროს, როდესაც სოციალისტური მრეწველობა შესძლებს მთლიანად დააკმაყოფილოს გლეხობის საჭიროება. ამავე დროს ის ჰკარგავს მოგების შესაძლებლობას.

ამხანაგო გლეხებო! თუ განსაკუთრებული საჭიროება არ მოითხოვს, არ გაჰყიდოთ სახელმწიფო სესხის ობლიგაციები, სანამ ვადა არ გაუვა. გადაიხადეთ სასოფლო-სამეურნეო გადასახადი ნაღდი ფულით, ხოლო ობლიგაციები უკიდურესი გაჭირვების დროს შეიტანეთ სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ანგარიშში. ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, სოფლის მეურნეობის განვითარება ახალ ტექნიკურ საფუძვლებზე და მშრომელთა სრული გამარჯვება ქალაქისა და სოფლის კაპიტალისტურ ძალებზე მოითხოვს, რომ მშენებლობას მოხმარდეს სახელმწიფოს ყოველი თავისუფალი კაპეიკი და ჩვენი თავისუფალი ქვეყნის მოქალაქეთა შემონახული სახსრები. შეიძინეთ თქვენი შემონახული სახსრებით სახელმწიფო სესხების ობლიგაციები და შეინახეთ ეს ობლიგაციები ვადის გასვლამდე, რითაც ხელს შეუწყობთ საბჭოთა კავშირის სამეურნეო მშენებლობის ხუთწლიანი გეგმის განხორციელებას". (ადს).

1922 წლის სესხის ტირაჟი

მოსკოვი, 8 ივლისი. დამთავრდა 1922 წლის პირველი მოგებიანი სესხის ტირაჟი. 100.000 მანეთიანი მოგება ხვდა ობლიგაციას № 851. 234, სერიას — 6; 25.000 მანეთიანი მოგება — ობლიგაციას № 625.692, სერია 5; 10.000 მანეთიანი მოგება ობლიგაციას № 370.493, სერიას—1; ობლიგაციას № 1150652, სერია—24; ობლიგაციას № 64819, სერიას—10, ობლიგაციას № 1407123, სერიას—5 და ობლიგაციას № 1441733, სერიას — 8; 5.000 მანეთიანი მოგება: ობლიგაციას № 1121246, სერიას — 10; ობლიგაციას № 1387822, სერიას—1; ობლიგაციას № 1212636, სერიას—6; ობლიგაციას № 1799104, სერიას — 5; ობლიგაციას № 290604, სერიას — 7; ობლიგაციას № 564965, სერიას — 4; ობლიგაციას № 649337, სერიას — 1; ობლიგაციას № 842415, სერიას — 7; ობლიგაციას № 414457, სერიას — 7 და ობლიგაციას № 546906, სერიას—9. (ადს).

წითელი დღის ჩამტარებელი კომიტეტები

პარიზი, 7 ივლისი. პარიზის რაიონის საწარმოებში შეუდგნენ იმ კომიტეტების შექმნას, რომელთაც ომის საწინააღმდეგო წითელი დღე უნდა ჩაატარონ.

სამთა - მადნო მუშების უნიტარულმა პროფკავშირმა გამოაქვეყნა მოწოდება, რომელშიაც მოუხმობს სამთა-მადნო მუშებს — არ იმუშაონ პირველ აგვისტოს, გამართონ დემონსტრაცია მაღაროების კომიტეტის (დამქირავებელთა ორგანიზაცია) და მთავრობის წინააღმდეგ, რომელნიც ამზადებენ ახალ თავდასხმას საბჭოთა კავშირზე. (ადს)

მენშევიკებმა ხელი შეუწყვეს კონკორდატის დადებას

ბერლინი, 7 ივლისი. პრუსიის ლანტაგის მთავარმა კომისიამ მოიწონა ის კონკორდატი, რომელიც დადებულ იქნა ვატიკანსა და პრუსიას შორის. მიღებულ იქნა აგრეთვე დემოკრატების წინადადება იმის შესახებ, რომ კონკორდატი პროტესტანტულ ეკლესიასთანაც დაიდოს.

პარტიების წარმომადგენელთა საერთო ხმებით უარყოფილ იქნა კომუნისტების წინადადება, რომელიც მიმართული იყო კონკორდატის საკითხის შესახებ მოლაპარაკების წინააღმდეგ. კონკორდატის განხილვის დროს ლანტაგში მოვიდა გერმანიის ულმერთოთა პროლეტარული კავშირის ოპოზიციის დელეგაცია. იმავე დღეს მოხდა მრავალრიცხოვანი კრება-პროტესტი კონკორდატის დადების წინააღმდეგ, მოწყობილი გერმანიის კომპარტიისა და ულმერთოთა კავშირის ოპოზიციის მიერ; გამოვიდნენ კომდეპუტატები მასლოვსკი და აუსლენდერი, რომელთაც ამხილეს სოციალდემოკრატები, როგორც დამნაშავენი კონკორდატის დადების საქმეში. (ადს).

ავსტრიის საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტების კონფერენცია

ვენა, 7 ივლისი. საწარმოთა საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტების დელეგატების სრულიად ავსტრიის კონფერენციამ, რომელიც მოწვეული იქნა კომპარტიის მიერ, განიხილა საგაფიცვო ბრძოლის ტაქტიკისა და სტრატეგიის საკითხი. კონფერენციამ აღნიშნა, რომ ძლიერდება შემოტევა დამქირავებელთა მხრივ. კონფერენციამ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც საჭიროდ არის ცნობილი პროფკავშირების რევოლიუციონური ნაწილის ორგანიზაცია, ხოლო საწარმოებში მომქმედი საგაფიცვო კომიტეტების მოწყობა იმისათვის, რომ საჭიროების დროს საგაფიცვო კომიტეტებმა შესძლონ პროფკავშირული ბიუროკრატების ჩამოშორება და დამოუკიდებლად მოლაპარაკება კოლხელშეკრულების დადების შესახებ. კონფერენციამ დაგმო მემარჯვენე უკლონისტები, რომლებსაც მუშაობაში ლიკვიდატორული განწყობილება შეაქვთ. (ადს)

სხვადასხვა

● ტურეცკი მოხსნეს თანამდებობიდან. როგორც პრესა იუწყება, ტურეცკი მოხსნეს პოლონეთის დეპეშათა სააგენტოს დირექტორის თანამდებობიდან იმ ინფორმაციისათვის, რომელიც პოლონეთის დეპეშათა სააგენტომ დაგზავნა ყოფილ ფინანსთა მინისტრის ჩეხოვიჩის პროცესის შესახებ (ადს).

● გაიყინა ერთ წერტილზე. „დეილი ტელეგრაფ"-ი სწერს, რომ ინგლისის და საფრანგეთის მთავრობების მოლაპარაკება პოლიტიკური სარეპარაციო კონფერენციის მოწვევის შესახებ გაიყინა ერთ წერტილზე. ამ მოლაპარაკების პერსპექტივები საიმედოთ ვერ ჩაითვლება (ადს).

უკანასკნელი ცნობები

კანონი საბჭოთა კავშირთან სავაჭრო შეთანხმების შესახებ

ათინა, 7 ივლისი. პარლამენტმა მიიღო კანონი, რომელიც საბერძნეთის მთავრობას ავალებს გაატაროს ცხოვრებაში, საბერძნეთ-საბჭოთა კავშირის დროებითი სავაჭრო შეთანხმება. (ადს)

ორლოვის საქმის გარშემო

ბერლინი, 8 ივლისი. გერმანიის პრესა ერთსულოვანად ადასტურებს, რომ სასამართლოს სხდომებმა აშკარათ დაამტკიცეს სახელმწიფო დაწესებულებების კავშირი ყალბი საბუთების დამამზადებლებთან. პრესა ამტკიცებს, რომ ეს კავშირი ახლა უკვე ოფიციალურადაა დადასტურებული სასამართლოს ოქმებით და ამიტომ გაზეთები კატეგორიულად მოითხოვენ, რომ დაუყოვნებლივ იქნეს შეწყვეტილი ამგვარი კავშირი.

გაზეთი „მონტაგპოსტი" აქვეყნებს სენსაციურ ცნობას ორლოვის ბანდის ახალი აფიორის შესახებ სამხედრო და საგარეო საქმეთა სამინისტროებთან. ამ ახალი აფიორის შინაარსი შემდეგში მდგომარეობს: კროშკომ შეატყობინა პავლონოვსკის, რომ იგი მზადაა მიყიდოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ერთ უცხოეთის სახელმწიფოს შიფრების წიგნი. პოლიტიკურმა პოლიციამ მოახერხა ამ წიგნის გაყიდვამდე ხელში ჩაგდება და გამოირკვა, რომ ეს წიგნი წარმოადგენდა უხეშ სიყალბეს, რომელიც დამზადებული იყო ბერლინის ერთ-ერთ სტამბაში.

მიუხედავად ამისა, ორლოვმა მაინც შესძლო ამ ყალბი წიგნის მეორე ეგზემპლიარის მიყიდვა მეორე სახელმწიფოს წარმომადგენლისათვის.

კიდევ უფრო უარესი აფიორა მოუწყო ორლოვმა სამხედრო სამინისტროს, რომელმაც უკვე დაურიგა სათანადო თანხა ორლოვის აგენტებს. საქმე ეხება იმ ინფორმაციას, რომელსაც აწოდებდა ორლოვი და პავლონოვსკი სამხედრო სამინისტროს საინფორმაციო ბიუროს „ნუნცია"-ს საშუალებით. აღნიშნულ ბიუროს მეთაურობდენ გერმანიის ორი ყოფილი ოფიცერი, რომლებიც საერთაშორისო ომის შემდეგ იყვნენ სკოროპადსკის სამსახურში. ეს ოფიცრები არიან: მაიორი—ლიზერი და შტაბს-კაპიტანი რაუ. (ადს).

გუვერი არ ჩქარობს

ლონდონი, 8 ივლისი. „ობსერვერის" ნიუ - იორკელი კორესპონდენტი იტყობინება, რომ ამერიკის პრეზიდენტი — გუვერი არ ჩქარობს მოიწვიოს კონფერენცია საზღვაო განიარაღების შესახებ. გუვერს იმედი აქვს, რომ საზღვაო ექსპერტების შეხვედრამდე ამ საკითხზე შესაძლებელი გახდება სახელმწიფო მოღვაწეთა კონფერენციის მოწვევა.

ამერიკა აცხადებს, რომ იგი თანახმაა, მონაწილეობა მიიღოს ინგლისის, საფრანგეთის, იაპონიის და იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრების კონფერენციის მუშაობაში. (ადს).

მოულოდნელი ცვლილებანი

შანხაი, 7 ივლისი. ჰომინის სააგენტო (ნანკინის მთავრობის ოფიციოზია) პეიპინიდან იუწყება, რომ „უკანასკნელი დღეების განმავლობაში ადგილი აქვს მოულოდნელ და საყურადღებო ცვლილებებს". სააგენტოს გადმოცემით, ჩან-სიუე-ლიანის პეიპინში გამგზავრებასთან დაკავშირებით, ჩან-კაი-შამ მტკიცედ გადასწყვიტა მოახდინოს ჩრდილოეთის სამხედრო ძალების რეორგანიზაცია, რაც მოასწავებს კრიზისის რადიკალურ გადაწყვეტას. ამასთანავე სააგენტო [illegible] ენ-ხი-შანს განზრახვა აქვს პირველ რიგში მოახდინოს თავისი და შემდეგ კი ოინ-იუ-სიანის ჯარების რეორგანიზაცია. ცნობიდან ირკვევა, რომ შესაძლებელია პეიპინში ჩამოვიდეს ფინ - იუ-სიანი და მონაწილეობა მიიღოს გამართულ მოლაპარაკებაში.

ყოველ შემთხვევაში, სააგენტოს ფიქრით ფინ - იუ-სიანი და ენ-სი-შანი კიდევ რამოდენიმე თვე დარჩებიან ჩინეთში. (ადს).

ამანულა მარსელში

პარიზი, 8 ივლისი. ავღანისტანის ყოფილი ფადიშახი ამანულა, გუშინ ჩამოვიდა მარსელში. (ადს).

ბენმა უარი განაცხადა

ლონდონი, 8 ივლისი. ინდოეთის საქმეთა მინისტრმა ბენმა უარი განაცხადა მირუტის პატიმართა დამცველი კომიტეტის სამდივნოს თხოვნაზე, რომ მიეღო დელეგაცია ინდოეთის პროფმოძრაობის 31 ლიდერის პროცესთან (მირუტში) დაკავშირებული საკითხების შესახებ. (ადს).

დახმარება მოუსპეს 80.000 უმუშევარს

ბერლინი, 7 ივლისი. შრომის მინისტრმა, სოციალ დემოკრატმა ვისელმა გასცა განკარგულება, რომლის თანახმადაც დახმარება უნდა მოესპოს 80.000-მდე უმუშევარს. (ადს)

კონფერენცია იუნგის გეგმის განსახორციელებლად

პარიზი, 7 ივლისი. ჰავასის სააგენტო იუწყება:

„ინგლისის ელჩმა პარიზში ბრიანს გადასცა ნოტა იუნგის გეგმის განსახორციელებლად განზრახული კონფერენციის მოწვევის დროის და ადგილის შესახებ. იუწყებიან, რომ ინგლისის მთავრობა თანახმაა — კონფერენცია მოწვეულ იქნას აგვისტოს დამდეგს, მაგრამ იცავს თავის პირვანდელ სურვილს, რომ კონფერენცია მოწვეულ იქნეს ლონდონში". (ადს)

კარგი პერსპექტივები

რეველი, 7 ივლისი. ცნობამ იმის შესახებ, რომ ესტონეთში მოსვლას აპირებს საბჭოთა დელეგაცია, რომელმაც ესტონეთის მრეწველობა უნდა გაიცნოს, საქმიან წრეებში დიდი ინტერესი გამოიწვია. ფინანსთა და ვაჭრობის მინისტრმა სინასმა პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს აღნიშნა საბჭოთა კავშირთან ეკონომიური ურთიერთობის კარგი პერსპექტივები. (ადს)

შუამდგომლობა განთავისუფლების შესახებ

ბერლინი, 7 ივლისი. „როტე-ფანე"-ს რედაქტორების გირშის და სლანგას (ორივე დაპატიმრებულია, მათ ჰბრალდებათ „სახელმწიფო ღალატის განზრახვა", რაც გამოიხატება იმაში, რომ მათ გაზეთში მოათავსეს წერილები პირველ მაისს ბერლინში მომხდარი ამბების შესახებ) დამცველებმა შუამდგომლობა აღძრეს საქმის გარჩევამდე თავდებ ქვეშ მათი განთავისუფლების შესახებ გამომძიებელი დათანხმდა სლანგას განთავისუფლებას, გირშის განთავისუფლებაზე კი უარი განაცხადა. (ადს)

მანიფესტაციის აკრძალვა

ბერლინი, 7 ივლისი. გაზეთების ცნობით, აახენში 21 ივლისისათვის დანიშნული საერთაშორისო მანიფესტაცია იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ საოკუპაციო ხელისუფლების მიერ აკრძალული იქნება იმ შეთანხმების ძალით, რომელიც დაიდო მასა და გერმანიის პოლიციას შორის (მანიფესტაციაში მონაწილეობა უნდა მიეღოთ გერმანიას, საფრანგეთს, ბელგიას, ჰოლანდიას და ლიუქსემბურგს). (ადს)

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ორგანიზაციული სტრუქტურის შესახებ

საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას დადგენილება

იმ განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო, რომელიც სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას სოფლის მეურნეობის განვითარებისა და სოციალისტური გადახალისების საქმეში ენიჭება, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის, განსაკუთრებით კი მისი ქვედა საფეხურების, ორგანიზაციული სტრუქტურა და მუშაობის მეთოდები შეთანხმებული უნდა იყოს გლეხურ მეურნეობის საწარმოო კოოპერატიულ შეკავშირების და კოლექტივიზაციის და კოოპერატიულ მშენებლობაში თვით გლეხური მოსახლეობის საშუალებების მაქსიმალური მოზიდვის ამოცანებთან.

ამ ამოცანათა გადაწყვეტა უნდა მიმდინარეობდეს შემდეგი ხაზით:

ა) უნდა შევქმნათ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის სპეციალური სისტემები თვითეული რაიონისათვის სასოფლო-სამეურნეო წარმოების ძირითადი დარგების მიხედვით; ეს სისტემები უნდა ეყრდნობოდნენ საწარმოო კოოპერატივების საკუთარ ძირითად ქსელს;

ბ) უნდა გავაძლიეროთ და გავაღრმავოთ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის სპეციალურ სისტემების საწარმოო მუშაობა მათ განკარგულებაში სასოფლო მეურნეობის რეკონსტრუქციის ძირითად ბერკეტთა თავმოყრით (საწარმოო კრედიტების გაცემა, საწარმოო იარაღებისა და საშუალებების მიწოდება, თესლეულის მიწოდება, საწარმოო წამოწყებანი, აგროსამსახურის გაწევა);

გ) კონტრაქტაციის საფუძველზე უნდა განვავითაროთ გლეხურ მეურნეობათა საწარმოო კოოპერატიული შეკავშირების მასიური ფორმები და გავშალოთ დიდ კოლმეურნეობათა მშენებლობა;

დ) სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სისტემის ძირითადი და საკავშირო რგოლები სათანადოთ უნდა გადავახალისოთ სპეციალიზაციის საფუძვლებზე;

ე) სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის საქმიანობაზე უნდა გავაძლიეროთ ხელმძღვანელობა პარტიულ და საბჭოთა ორგანოების მხრით და განვამტკიცოთ შინაკოოპერატიული სამეურნეო დისციპლინა.

გამოდის რა აქედან, საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკა სცნობს, რომ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ორგანიზაციულ მშენებლობას საფუძვლად უნდა დაედოს შემდეგი ძირითადი დებულებები:

1. სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მასიურ ქვედა საწარმოო უჯრედს უნდა წარმოადგენდეს სპეციალურ მიმართულების საწარმოო ამხანაგობა (ხორბლეულის, ბამბის, ჭარხლის და სხვ. ამხანაგობა) სასოფლო ტიპის გაფორმებული წესდებით და საპაიო კაპიტალით. სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის სათანადო საწარმოო სისტემა უნდა ცდილობდეს გააფართოვოს ამ გაერთიანებებზე კოლექტიური ხელშეკრულებები ნათესების კონტრაქტაციის შესახებ და ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა განხორციელება გლეხურ მეურნეობის გარდასაქმნელად და განსავითარებლად გლეხურ პროდუქციის წარმოებისა და გასაღების კოოპერატიული შეკავშირების და კოლექტივიზაციის საფუძველზე.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია რაზმავს რა ის ღარიბ და საშუალო გლეხობას კულაკებთან საბრძოლველად და სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციისათვის მიღებული ღონისძიებებისადმი მის წინააღმდეგობის დასაძლევად,—თავის ყველაზე უფრო მნიშვნელოვან ამოცანად უნდა ისახავდეს ყოველმხრივ შეუწყოს ხელი უმარტივეს საწარმოო გაერთიანებათა გადასვლას საწარმოო კოოპერატიული შეკავშირების უფრო რთულ ფორმებში და ამ საფუძველზე მსხვილი კოლექტიური წარმოების მოწყობას.

საწარმოო ამხანაგობები, განსაზოგადოებული მეურნეობის ელემენტების დაგროვების და გაძლიერების გზით უნდა გადაიქცნენ მსხვილ კოლმეურნეობათა მასიურ მშენებლობის ბაზად.

2. იმ მიზნით, რომ საწარმოო კოოპერატიული შეკავშირების და კოლექტივიზაციის პროცესების მიმართ ხელმძღვანელობა ძირითად საწარმოო უჯრედებს დაუახლოვდეს, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ტექნიკური ბაზის რაციონალიზაციის მიზნით,—უმარტივესი საწარმოო გაერთიანებანი და კოლექტიური მეურნეობები, კოლმეურნეობათა გაერთიანებებში შესვლასთან ერთად, სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგების მიხედვით უნდა გაერთიანდენ სპეციალურ რაიონულ საწარმოო-გამსაღებელ გაერთიანებებში (კოოპკურულების, ჭარხლის მთესველების, მებამბეების, მესაქონლეების და სხვ. გაერთიანებები), რომლებიც ემსახურებიან საწარმოო კოოპერატივების ქვედა ქსელს შემდეგი ხაზით: გლეხური პროდუქციის გასაღება, მათთვის წარმოების საშუალებების მიწოდება, აგროდახმარება, ინსტრუქციების მიცემა, მოსახლეობის სახსართა მობილიზაციის საფუძველზე სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების, განსაკუთრებით პროდუქტიულ მესაქონლეობის და ხილეულ-ბოსტნეულ კულტურათა დარგებში, პირველადი გადამუშავების და დამუშავების ხაზით და სხვ.

იმ ადგილებში, სადაც სახელმწიფო გადამამუშავებელი საწარმოები და სამომხმარებლო კოოპერაციის საწარმოები არსებობენ, რაიონულ გაერთიანებებმა თავიანთი მუშაობა ამ საწარმოებს უნდა შეუთანხმონ მათთვის ნედლეულის მოწესრიგებული მიწოდებისა და სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციისა და კოლექტივიზაციისათვის მათი ტექნიკური ბაზის გამოყენების საქმეში. სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის საწარმოო სისტემის მეორე რგოლის საქმიანობის რაიონები, როგორც წესი, უნდა ხვდებოდეს ადმინისტრატიულ რაიონებს.

რაიონულ გაერთიანებათა ქსელი (კოოპკურულის და სხვ.) უნდა ერთიანდებოდეს სპეციალურ სამაზრო, ხოლო იქ, სადაც ეს მიზანშეწონილია, საოლქო კავშირებში.

3. ძირითადი საწარმოო კოოპერატივები (ხორბლეულის, ბამბეულის, მესაქონლეობის და სხვ. ამხანაგობა) წევრობას ანხორციელებენ თავიანთ დარგის სისტემაში იმ პირობით, რომ მათ დანარჩენ, მათი რაიონის მეურნეობისათვის არა ძირითად, მოთხოვნილებებს დააკმაყოფილებენ სხვა სპეციალური სისტემების განსაკუთრებული შეთანხმებების ნიადაგზე. რომლებიც იდება აღებულ რაიონის ძირითადი დარგის კოოპერაციასა და სხვა სპეციალურ კოოპერატიულ სისტემებს შორის; ამასთან სავალდებულო არ არის, რომ საწარმოო ამხანაგობები შევიდნენ სპეციალურ კოოპერატიულ სისტემის წევრთა შემადგენლობაში და შეიტანონ ამ სისტემებში საპაიო გადასახადები.

კოოპერატივებს შორის ხელშეკრულების დადება ხდება ნებაყოფლობით შეთანხმების საფუძველზე. ხელშეკრულებები შეიძლება დადებულ იქნას როგორც სათანადო კოოპერატივების შორის, ისე კოოპერატიულ ორგანიზაციების ხელმძღვანელ რგოლებს შორის.

როცა სოფლად ძირითად სპეციალურ საწარმოო ამხანაგობასთან ერთად ეწყობიან სხვა სპეციალური კოოპერატივები, რომლებიც მუშაობენ ამა თუ იმ რაიონის არაძირითად სასოფლო სამეურნეო დარგებში, აღნიშნული კოოპერატივები წევრობას ანხორციელებენ სათანადო სპეციალურ კოოპერატიულ სისტემაში.

ყველა ახალი საწარმოო კოოპერატივი თავის სპეციალურ სისტემაში შესვლის გარდა წევრად შედის აგრეთვე თავისი რაიონის საკრედიტო ამხანაგობაში.

4. ზემოდ აღნიშნულ საფუძვლებზე გადაკეთებულ უნდა იქნას პირველ რიგში სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის პურეულის სისტემა მარცვლეულის ძირითად რაიონებში.

დანარჩენ რაიონებში სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მემინდვრეობის სისტემების მშენებლობა უნდა განვითარდეს ანალოგიურ საფუძვლებზე ამა თუ იმ რაიონის ძირითად სასოფლო-სამეურნეო დარგის (სელი, ბამბა, მესაქონლეობა და სხ.) მოთხოვნილებებთან და თავისებურებებთან შეფარდებით.

5. რადგან მეთესლეობის საქმეს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, საჭიროდ იქნას ცნობილი მეთესლეობის კოოპერაციის განმტკიცება და მისი მუშაობის შეფარდება და დაკავშირება სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის სპეციალურ სისტემებთან. ამ მიზნით მეთესლეობის კოოპერაციასა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის სადარგო სისტემებს შორის დადებულ უნდა იქნას ხელშეკრულებები შეთანხმებული მუშაობის შესახებ.

6. რადგან გლეხურ მეურნეობათათვის სას.-სამეურნეო იარაღების და სხვა საწარმოო საშუალებათა მიწოდება ეკისრება სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის დარგობრივ სისტემებს, საჭიროდ იქნას ცნობილი სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის სპეციალური მომმარაგებელი ორგანიზაციების (სოფლის კავშირი, მომმარაგებელი კავშირი „კოოპსნაბ") გაუქმება მათი ფუნქციების გადაცემით საწარმოო სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის სათანადო დარგებისა და რგოლებისათვის.

7. მოეწყოს მთლიანი შერეული სრულიად საკავშირო სახელმწიფო-კოოპერატიული ორგანიზაცია, რომელიც მიაწვდის სასოფლო-სამეურნეო მანქანებს როგორც სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებებს (მარცვალტრესტი, საბჭოთა მეურნეობების ტრესტი და სხვ.), ისე კოოპერატიულ სისტემებს.

მომმარაგებელი ცენტრი მრეწველობის წინაშე გამოდის სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციების და კოოპერატიული ცენტრების სახელით, როგორც მთლიანი წარმომადგენელი და დამკვეთი. მანქანების მიწოდებას ის ანხორციელებს თავის წევრებთან გენერალური ხელშეკრულებების დადების გზით და თავის მუშაობას სავსებით უფარდებს სათანადო ორგანიზაციებიდან მიღებულ დაკვეთებს და მანქანებით მომარაგების გეგმას.

მომმარაგებელ ცენტრს არ უნდა ჰქონდეს განყოფილებები სამაზრო მასშტაბზე დაბლა.

8. სოფლის მეურნეობის ისეთ დარგებში, სადაც განვითარებულია კონტრაქტაციის პრაქტიკა, კოოპერაცია დამამზადებელ ორგანოებს აწარმოებს კონტრაქტაციის ძირითად წესის მიხედვით. ის სამომხმარებლო კოოპერაციასთან და სხვა სახელმწიფო დამამზადებელ ორგანიზაციებთან ერთად მონაწილეობას იღებს კონტრაქტაციის გარეშე დარჩენილ პროდუქტების დამზადებაში.

მომარაგების ყველა ფუნქცია, რაც უშუალოდ არ არის დაკავშირებული სასოფლო-სამეურნეო წარმოების ორგანიზაციასთან, ანხორციელებენ კოოპერაცია და სახელმწიფო ორგანოები (ოჯახში და მეურნეობაში სახმარი საგნები, სამეურნეო ინვენტარი, ინდივიდუალური მშენებლობის მომარაგება და სხვ.). სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების, მასალების და მეორეხარისხოვანი საგნების (მეორეხარისხოვანი ექსპორტი) გასაღება დავალებული აქვთ უმთავრესად სამომხმარებლო კოოპერაციას და სახელმწიფო დამამზადებელ ორგანოებს.

9. როცა საწარმოო-გამსაღებელი ფუნქციები ჩამოშორდება სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობებს და მათ დაეკისრებათ საწარმოო გაერთიანებათა და კოლმეურნეობათათვის კრედიტის მიწოდება, სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობები გადაიქცევიან სპეციალურ ორგანიზაციად საკრედიტო ფუნქციებით. საკრედიტო ამხანაგობებმა წევრებად უნდა მიიღონ როგორც კოლექტიური მეურნეობანი და ქვედა საფეხურის საწარმოო სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები, ისე ინდივიდუალური მეურნეობანი (იმდენად, რამდენადაც უკანასკნელნი არ შედიან საწარმოო გაერთიანებებში). საკრედიტო ამხანაგობების მუშაობა მიმართული უნდა იქნას შემდეგი ხაზით: მოსახლეობის და კოოპერატიული ორგანიზაციების მონაზოგის მობილიზაცია, ქვედა საფეხურის ანგარიშგამსწორებელ სალაროების ფუნქციების შესრულება, ქვედა საფეხურის სას.-სამ. კოოპერატივების ფინანსიური საქმიანობისათვის კონტროლის გაწევა და საფინანსო დაწესებულებათა დავალებების შესრულება. ამასთან შეფარდებით, სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობის მოქმედების რაიონი თანდათან უნდა გაფართოვდეს.

10. წესად უნდა გადაიქცეს, რომ სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო სისტემამ გლეხურ მეურნეობებს კრედიტი მიაწოდოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის სათანადო საწარმოო სისტემის ქვედა ქსელის მეშვეობით, ამასთან ეს მიწოდება უნდა ხდებოდეს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის სათანადო სასოფლო-სამეურნეო დარგების გეგმათა მიხედვით და იმ ხელშეკრულებათა თანახმად, რომლებსაც ეს უკანასკნელნი ბანკებთან დასდებენ. ქვედა საფეხურის საწარმოო კოოპერატივები პასუხისმგებელნი არიან საკრედიტო ამხანაგობების წინაშე იმისათვის, რომ კრედიტები დანიშნულებისამებრ გაიცეს და თავის დროზე იქნას დაფარული.

11. კულაკის წინააღმდეგ შემდგომი შეტევის ამოცანასთან დაკავშირებით და მისთვის სადგილ-მამულო საზოგადოებებში ხმის უფლების წართმევის გამო, საჭიროდ იქნას ცნობილი, რათა ყველა სახის კოოპერაციაში ჩამოერთვას ხმის უფლება იმ კულაკებს და არამშრომელ ელემენტებს, რომელთაც წართმეული აქვთ საბჭოთა არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება.

წითელი არმიის ნაციონალური მშენებლობა

ნაციონალური საკითხი, რომელიც შერეული ეროვნული შემადგენლობის კაპიტალისტურ სახელმწიფოთათვის დაუძლეველ პრობლემას წარმოადგენს, საბჭოთა კავშირის პირობებში სავსებით არის გადაჭრილი. პარტიის ნაციონალური პოლიტიკა ეყრდნობა იმ პრინციპს, რომ თვითეულ ხალხს, როგორიც არ უნდა იყოს მისი რიცხობრივი შემადგენლობა, აქვს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი არსებობის უფლება. ამის შესაფერად, საბჭოთა კავშირი წარმოადგენს იმ სრულუფლებიან ერთა თავისუფალ ძმურ კავშირს, რომლებმაც თავიანთი დამოუკიდებლობა გამოხატეს სათანადო ეროვნული რესპუბლიკების ჩამოყალიბებით.

ყველა ერის თანასწორუფლებიანობის პრინციპი თავის გამოხატულებას პოულობს აგრეთვე საბჭოთა კავშირის სამხედრო მშენებლობაშიც. მეფის რუსეთის წყობილება და გაბატონებული ერის გამარუსებელი პოლიტიკა, ერთის მხრით, და, მეორეს მხრით, სეპარატისტულ მისწრაფებანი ეროვნულ უმცირესობათა (უზბეკები, თურქმენები, ტაჯიკები, ჩრდილოეთ-კავკასიის მთიელები, აზერბეიჯანელი, თურქები, და ყირგიზები), რომლებიც განსაკუთრებულის სიძლიერით განიცდიდენ ეროვნულ შევიწროვებას, ჰქმნიდენ ისეთ აუცილებლობას, როდესაც შეუძლებელი ხდებოდა ამათი შეყვანა მონარქიის შეიარაღებულ ძალთა შემადგენლობაში. მეფის ხელისუფლებამ იცოდა, რომ პატარა ერების მიერ სამხედრო ხელოვნების შესწავლამ ადრე თუ გვიან უნდა გამოიწვიოს კადრების შექმნა მის წინააღმდეგ ასაჯანყებლად. საბჭოთა კავშირს, რომელიც სხვადასხვა ეროვნების მშრომელთა ძმურ კავშირს წარმოადგენს, არა თუ ასეთი შიშისთვის არავითარი საფუძველი არა აქვს, არამედ, პირიქით, უშუალოდ დაინტერესებულია, რომ ყველა ეროვნებათაგან შეიქმნეს მტკიცე, კარგად შეიარაღებული და გაწვრთნილი კადრები კავშირის საზღვრების დასაცავად მისი მრავალრიცხოვანი მტრებისაგან. წითელი არმია არ არის ერთი რომელიმე ეროვნების არმია.

ჩვენი ქვეყნის სოციალისტური მშენებლობის დაცვა იარაღით ხელში, წარმოადგენს საბჭოთა კავშირში მცხოვრებ ყველა ხალხის უფლებას და მოვალეობას მათი სრული თანასწორუფლებიანობის საფუძველზე. სისულელეა ის, ძველი რეჟიმისაგან გადმოცემული შეხედულება, რომელიც ჯერ კიდევ თავისუფლად დაიარება, რომ ვითომ ზოგიერთი „პატარა" ერები „ფიზიკურად" უვარგისნი არიან სამხედრო სამსახურისათვის.

მართალია, „სამხედრო თანასწორუფლებიანობის" პრინციპის პრაქტიკულად გატარების დროს უდიდესი დაბრკოლებები გველობება წინ ზოგიერთი ერების ეკონომიური, ტექნიკური და კულტურული ჩამორჩენილობის გამო, რაც აფერხებს ამ უმნიშვნელოვანესი საკითხის უმტკივნეულოდ გადაწყვეტას.

ეროვნული სამხედრო ნაწილები თავიანთ არსებობას იწყებენ სამოქალაქო ომის პერიოდიდან, როდესაც ისინი, უმრავლეს შემთხვევაში, სტიქიურად იქმნებოდნენ. სისტემატიური მუშაობა ეროვნულ ჯარების შესაქმნელად დაიწყო პარტიის მე-12 ყრილობის შემდეგ, რომლის დადგენილებამ ეროვნული საკითხის შესახებ ახალი ზოლი გაავლო ეროვნულ საბჭოთა რესპუბლიკებს ყოველმხრივი თანამშრომლობის ფორმების განვითარებაში. მე-12 ყრილობამ მიიღო სპეციალური დადგენილება წითელი არმიის ნაციონალური მშენებლობის პრინციპების შესახებ. შემდეგ რევოლიუციონური სამხედრო საბჭოს 1924 წლის ნოემბრის პლენუმმა შეიმუშავა ნაციონალური ჯარების შექმნის ფართე გეგმა, რომელიც 1925 წლის მაისში დაამტკიცა საბჭოთა მე-3 ყრილობამ. ამ გეგმის ის ნაწილი, რომელიც გულისხმობდა იმ ერთა ერთოვნული ჯარების შედგენას, რომლებიც წინად გაჰყავდათ სამხედრო სამსახურში და რომელთაც ჰყავდათ ხელმძღვანელთა განსაზღვრული კადრები (უკრაინა, ბელორუსია და ამიერ-კავკასია), დღეს, თითქმის, მთლიანად შესრულებულია. შექმნილია დივიზიები, ლეგიონები, ბატალიონები და სხვა ნაწილები. რამდენიმედ უფრო რთული აღმოჩნდა ეროვნული ნაწილების შექმნის საქმე აღმოსავლეთის იმ რესპუბლიკებში, რომელთა მოსახლეობა წინად სრულიად არ გაჰყავდათ სამხედრო ბეგარის მოსახდელად. მთავარ დამაბრკოლებელ მიზეზად ამ შემთხვევაში იყო [illegible]ლება ეროვნული უფშემადგენლობის არ არსებობა და მისი მალე შექმნის სიძნელე. აი რად იყო თავდაპირველად ჩვენი ცდა მიმართული ეროვნული სამხედრო სკოლების მთელი ქსელის შექმნისაკენ, რამაც ჩვენ უკვე მოგვცა უფროსთა რამდენიმე გამოშვება კავშირის ეროვნული განაპირა ადგილების მუშებისა და გლეხებისაგან. ისეთი მდგომარეობა, როდესაც სამხედრო ნაწილების უფროსები—უზბეკი, ტაჯიკი, თურქმენი, და სხვები თითებზე ითვლებოდენ, ამჟამად უკვე აღარ არსებობს. ამ სკოლებმა განვლეს არაჩვეულებრივ სიძნელეთა ეტაპი, რომელიც გამოწვეული იყო მასწავლებლების, შესაფერ ეროვნულ სკოლაში ნასწავლი და ენის მცოდნე მსმენელების და ეროვნულ ენებზე სახელმძღვანელოების არ არსებობით, და ამჟამად ისინი აწარმოებენ დიდ ნაყოფიერ მუშაობას, იძლევიან სამხედრო საქმის თანამედროვე მოთხოვნილებათა სიმაღლეზე მდგომ უფროსებს. ამ გარემოებამ ჩვენ მოგვცა საშუალება შეგვექმნა ეროვნულ უმცირესობათა ტერიტორიაზე, წითელი არმიის შიგნით ისეთი ნაწილები, რომლებიც წითელ-არმიელიდან დაწყებული უფროსშემადგენლობამდე შესაფერ რესპუბლიკათა ძირითად მოსახლეობიდან არიან გამოსულნი და რომლებშიც სწავლება მიმდინარეობს ამ მოსახლეობის მშობლიურ ენაზე. ასეთი ნაწილები ჩვენ გვყავს კავშირის რესპუბლიკებისა და ოლქების უმრავლესობაში. ისინი მნიშვნელოვან როლს წარმოადგენენ ჩვენი შეიარაღებული ძალების საერთო სისტემაში და მათ უკვე დააგროვეს გამოცდილება სამხედრო მშენებლობის საქმეში.

თუ ეროვნული ნაწილების კადრთა არსებობას წითელი არმიის ბრძოლის უნარიანობის ინტერესის თვალსაზრისით შევხედავთ, შეგვიძლია ერთნაირი დარწმუნებით ვსთქვათ, რომ ამ მხრივ ჩვენ განსაზღვრული პლიუსები მივიღეთ:

1. საბჭოთა კავშირის საზღვრების დაცვის საქმეში ჩაბმულია მშრომელთა ახალი მილიონიანი მასები, რომლებიც ამავე დროს ცხოვრობენ საერთაშორისო იმპერიალიზმის მხრით ყველაზე უფრო მისადგომ განაპირა ადგილებში.

2. მშობლიურ ენაზე სწავლებამ წითელარმიელებს გაუადვილა სამხედრო ცოდნის შეთვისება, რასაც ტექნიკის თანამედროვე ზრდის პირობებში უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს.

3. ეროვნულ ნაწილების არსებობის, განვითარების და განმტკიცების ფაქტი საგრძნობლად ამაგრებს ძმურ ურთიერთობას კავშირის მრავალ მილიონიან ერთა შორის, განსაკუთრებით ისეთ მრავალერიან განაპირა ადგილებში, როგორიცაა ამიერ-კავკასია და შუა-აზიის რესპუბლიკები, სადაც მეფის ხელისუფლება ყოველნაირად აღვივებდა მათ შორის ეროვნულ, ტომობრივ და სარწმუნოებრივ შუღლს.

4. შვებული წითელ-არმიელები ეროვნული ნაწილებიდან ბრუნდებიან თავიანთ სოფლებში პოლიტიკურად და კულტურულად გაზრდილნი და ამის გამო ხდებიან სოციალისტური მშენებლობის ხელმძღვანელებად და გამტარებლებად შორეულ განაპირა რაიონების კულტურულად ჩამორჩენილ და წერა-კითხვის უცოდინარ კუთხეებში.

5. ეროვნულმა უმცირესობებმა, რომლებიც წინად მეფის ჯარების სახით შეჩვეული იყვნენ მარტო ეროვნული ჩაგვრის იარაღის დანახვას და ამიტომ საერთოდ უარყოფითად ეკიდებოდენ სამხედრო სამსახურს, წითელი ეროვნული ნაწილების შექმნაში დაინახეს ყოველგვარი შევიწროებისაგან განთავისუფლების და პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების მიერ აღიარებული ეროვნული თანასწორობის პრინციპის ნამდვილი განხორციელების ერთი უძლიერესი საშუალებათაგანი.

ეროვნულ უმცირესობათა სამხედრო ნაწილების მშენებლობა სამხედრო უწყების მიერ ტარდება განსაზღვრული პროგრამის მიხედვით და იმ ვარაუდით, რომ ახლად შედგენილი ეროვნული ჯარები თავიანთი ბრძოლის უნარიანობით და კულტურული - პოლიტიკური განვითარებით არ ჩამორჩნენ წითელი არმიის დანარჩენ ნაწილებს.

აი, როგორ ადვილად და უბრალოდ სწყდება ურთულესი ეროვნული პრობლემა პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში და სახელმწიფოს ყველა ერის მიზიდვის საფუძველზე ისეთ რთულ და ბურჟუაზიისათვის საერთოდ დაუძლეველ დარგშიაც კი, როგორიცაა შეიარაღებულ ძალთა მშენებლობა.

კ. ვოროშილოვი.

გადმოცემულია ტელეგრაფით
მოსკოვი, 8 ივლისი.

ომის საწინააღმდეგო საერთაშორისო დღისათვის

უკვე ახლოვდება პირველი აგვისტო. სწორეთ ამ დღეს წელს სრულდება მსოფლიო იმპერიალისტური ომის დაწყების მე-15 წლისთავი. კომუნისტური ინტერნაციონალის მე-6 კონგრესმა საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის უმნიშვნელოვანეს ამოცანად დასახა ბრძოლა ომისა და საბჭოთა კავშირზე თავდასხმის მზადების წინააღმდეგ.

კომინტერნის მეექვსე კონგრესმა გადაწყვიტა ომის საწინააღმდეგო საერთაშორისო დღედ დანიშნოს პირველი აგვისტო; ამით მან გამოიტანა ბრძოლა ომის წინააღმდეგ ქუჩაზე.

ომის საწინააღმდეგო საერთაშორისო დღე კაპიტალისტურ ქვეყნებში კომინტერნის მე-6 კონგრესის გადაწყვეტილებით უნდა ჩატარდეს ფაშისტურ-იმპერიალისტური ბურჟუაზიისა და მისი პირდაპირი დამხმარე სოც.-დემოკრატიის წინააღმდეგ ბრძოლის ნიშან ქვეშ.

ამ დღეს საზღვარ-გარეთის კომპარტიები და კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა კლასი აღნიშნავს მასიური დემონსტრაციებით, გაფიცვებით და სხვა.

ჩვენმა პარტიამ, რომელიც წარმოადგენს კომინტერნის უძლიერეს სექციას, უნდა მიიღოს უდიდესი აქტიური მონაწილეობა საერთაშორისო წითელი დღის ჩატარებაში. ჩვენში პირველი აგვისტო უნდა ჩატარდეს კაპიტალისტურ ქვეყნების მუშათა კლასისა და კოლონიების დაჩაგრულ ხალხებისადმი თანაგრძნობის გამოცხადებისა და საბჭოთა კავშირის თავდაცვის განმტკიცების ნიშან ქვეშ. ეს დღე უნდა აღინიშნოს მასიური დემონსტრაციებით.

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტი საერთაშორისო წითელი დღის საუკეთესოთ ჩატარების მიზნით წინადადებას იძლევა ეხლავე შეუდგეთ მოსამზადებელ მუშაობას, რაც უნდა გამოიხატოს შემდეგში:

1) უნდა მოეწყოს ფართე აგიტაცია, რომელიც ახსნა-განმარტებას მისცემს მუშებს და გლეხებს ომის მიზეზებზე საერთოდ, 1914 წლის იმპერიალისტურ ომზე და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართულ სამხედრო საფრთხის შესახებ.

პარტიის, კომკავშირის, პროფკავშირისა და სხვა ორგანიზაციების ძალებით ახსნა-განმარტება უნდა მიეცეს მშრომელ მასას საერთაშორისო სოც.-დემოკრატიის მოღალატური როლის შესახებ, რომელიც აქტიურ მონაწილეობას იღებს ბურჟუაზიასთან ერთად ახალი ომების მზადებაში.

სააგიტაციო მუშაობა აუცილებლათ უნდა მოეწყოს ისე, რომ გამოყენებული იქნას მასიური, ბეჭდვითი, ჯგუფობრივი და ინდივიდუალური აგიტაციის ყველა სახე (მოხსენებები კლუბებში, იმპერიალისტური ომის მონაწილეთა გამოსვლა, საუბარი და კითხვა საამქროში, საერთო საცხოვრებელ ბინებში, კედლის გაზეთების გამოშვება და სხვა).

მოხსენებისათვის შეიძლება აიღოთ შემდეგი თემები: 1) საერთაშორისო წითელი დღე, 2) კომინტერნის მე-6 კონგრესი სამხედრო საფრთხის შესახებ, 3) საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა,

2) სააგიტაციო ახსნა-განმარტებითი კამპანიასთან ერთად უნდა სწარმოებდეს ბეჯითი მზადება პირველი აგვისტოსათვის მასიური დემონსტრაციების მოსაწყობად, როგორც ქალაქებში, ისე სოფლათ.

საქ. კომპ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანი **ასრიბეკოვი.**

სტუდენტთათვის ბიბლიოთეკა-სამკითხველოს დაარსების შესახებ

(პრაქტიკული წინადადება)

ნივთიერი ხელმოკლეობა ხელს არ უწყობს სტუდენტთა მასის სათანადო მომზადებას ამა თუ იმ სპეციალობაში. ის დახმარება, რომელსაც სტუდენტი ღებულობს შინაყრობიდან, ან სტიპენდიის და ჯამაგირის სახით, მას ძლივსძლიობით ჰყოფნის თავის შესანახად. ამიტომაც ხშირად სტუდენტობა, [illegible] გამოკლიობით, არა აქვს შესაძლებლობა შეიძინოს სახელმძღვანელოები. რომ სტუდენტმა რომელიმე საგანი სათანადოთ შეითვისოს, მას უნდა ჰქონდეს მთელი სამსწავლო წლის განმავლობაში ყველა საჭირო სახელმძღვანელო. მათ შესაძენად სტუდენტს მოუხდება საკმარისად დიდი თანხის ერთბაშად გაღება სამსწავლო წლის დასაწყისშივე; მაგ., პედაგოგიური ფაკულტეტის საბუნებისმეტყველო და სიტყვიერების დარგების პირველ კურსის სტუდენტს ამ მიზნით დასჭირდება 85—90 მანეთი. ფაქტიურად კი დიდ უმრავლესობას არ მიეპოვება საჭირო სახელმძღვანელოები; მაგ., პირველი კურსის სტუდენტებიდან, რომლებიც ესწრებიან [illegible] შესავალს, არც ერთს არ აღმოაჩნდა ჩემ მიერ შედგენილი სახელმძღვანელო; მხოლოდ სამს ჰქონდა იგი (ორმოცი სტუდენტიდან!) ბიბლიოთეკებიდან გამოტანილი.

მაგრამ მარტო სახელმძღვანელო არაა საკმარისი სტუდენტთა თეორიულ მომზადებისათვის. სწავლების ახალი რაციონალური სისტემა სემინარული ხასიათისაა. ეს სისტემა უარჰყოფს საგნის სისტემატიურად მოსმენას აუდიტორიაში. ლექციის ხელმძღვანელი მხოლოდ განმარტავს საგნის მთავარ ამოცანას და მიმართულებას. რაც შეეხება თვით საგნის შეთვისებას, ამას მისი და ასისტენტების დარიგებით და ხელმძღვანელობით სტუდენტმა უნდა მიაღწიოს წიგნებიდან და ლაბორატორიულ ან სემინარული მუშაობით. ამიტომ სწავლების ახალი სისტემა, რომელიც დღეს კავშირის უნივერსიტეტებში მაგრად იკიდებს ფეხს, ისეთია, რომ სტუდენტი თავიდანვე დაწვრილებით ეცნობა საგანს როგორც სათანადო სახელმძღვანელოების საშუალებით, ისე ამ საგნის პირველ წყაროების მიხედვით, რომელნიც მრავლად მოიპოვებიან რუსულ ენაზე ბროშიურების, მონოგრაფიების და ჟურნალების სახით. რასაკვირველია, ამ სპეციალური ლიტერატურის შეძენისათვის საკუთრებად სტუდენტს არავითარი შესაძლებლობა არა აქვს.

თუ სტუდენტობას არა აქვს საჭირო სახელმძღვანელო, როგორ ახერხებს ის საგნის შესწავლას? ჯერ ერთი, სტუდენტი ითხოვს მას, რა თქმა უნდა, რამდენიმე დღით ან კვირით, იმ ბედნიერ ამხანაგისაგან, რომელსაც რაღაც მიზეზით იგი მოეპოვება. გარდა ამისა, იგი იღებს სახელმძღვანელოებს, ასევე დროებით, უნივერსიტეტის ძირითად ბიბლიოთეკიდან (ბიბლიოთეკას აქვს თვითეულ სახელმძღვანელოს ერთი ან ორი ცალი); შემდეგ იღებს ლაბორატორიებიდან, აგრეთვე მოკლე ხნით (ზოგიერთ ლაბორატორიებმაც გაიჩინეს რამდენიმე ეგზემპლიარი სტუდენტებისათვის); ბოლოს სტუდენტები სარგებლობენ აუდიტორიაში ჩაწერილი ლექციებით ან რომელიმე მათგანის მიერ შედგენილი ხელნაწერი კონსპექტით. ამნაირად, სამოსწავლო წელი ისე გადის, რომ სტუდენტთა მასას ხელთ არა აქვს საჭირო სახელმძღვანელოები. ასეთებს იგი შოულობს მოკლე ხნით გამოცდისათვის მოსამზადებლად; იგი ცდილობს რამდენიმე ღამის განმავლობაში გაიზეპიროს საგანი და რაც შეიძლება მალე ჩააბაროს გამოცდა, რომ სხვა არა იყოს რა, სახელმძღვანელო მალე გაანთავისუფლოს.

დღევანდელი მდგომარეობა ისეთია, რომ სტუდენტობა ვერ მიიღებს სპეციალურ დახმარებას ყველა საჭირო სახელმძღვანელოს და დამხმარე ლიტერატურის შესაძენად. სადაა გამოსავალი? ასეთ გამოსავალად მე მიმაჩნია **სტუდენტთათვის საკუთარი ბიბლიოთეკა-სამკითხველოს დაარსება.**

სტუდენტთა ბიბლიოთეკა-სამკითხველო ისეთი სიდიდისა უნდა იყოს, რომ იგი საგრძნობლად აკმაყოფილებდეს სტუდენტთა მოთხოვნილებას. ამისათვის მას უნდა ჰქონდეს დიდი სამკითხველო დარბაზი, რომ იგი იტევდეს რამდენიმე ასეულ სტუდენტს. შემდეგ იგი ღია უნდა იყოს დილის ცხრა საათიდან საღამოს ცხრა საათამდე.

ბიბლიოთეკა უნდა შეიცავდეს: 1. თვითეული სახელმძღვანელოს რამდენიმე ცალს მით უფრო მეტი რაოდენობით, რაც უფრო მეტია მაზე მოთხოვნილება, 2. პოპულარულ სამეცნიერო ბროშიურებს და მონოგრაფიულ ტიპის წიგნებს ქართულ-რუსულ ენაზე, 3. ყველა პოპულარიულ სამეცნიერო ჟურნალს ქართულ-რუსულ ენაზე.

ასეთ ბიბლიოთეკა-სამკითხველოს შექმნა უფრო ორგანიზაციული საკითხია, ვიდრე ფინანსიური. ამას დიდი თანხა არ დასჭირდება. რაც დასჭირდება, შეიძლება შეკრეფილი იქნას სულ მოკლე ხანში: 1. ფასიანი საჯარო ლექციების გამართვით უნივერსიტეტის მასწავლებელთა მიერ, 2. უნივერსიტეტის კლუბში ფასიანი კონცერტის მოწყობით, 3. დაწესებულებათა შემოწირულებიდან და სხ. შემდეგ შესაძლებელია უნივერსიტეტის ლაბორატორიების ბიბლიოთეკებმა და აგრეთვე ძირითადმა ბიბლიოთეკამ გადასცენ სტუდენტთა ბიბლიოთეკა-სამკითხველოს ზედმეტი სახელმძღვანელოები და ბროშიურები. გარდა ამისა, შესაძლებელია დაარსდეს სტუდენტთა ბიბლიოთეკა-სამკითხველოს დამხმარე საზოგადოება, რომლის საწევრო გადასახადი მის მოთხოვნილებებს ნაწილობრივ დააკმაყოფილებს და რომელიც საზოგადოთ იზრუნებს ბიბლიოთეკის გადიდება-გაუმჯობესებაზე. ამასთან, თავის თავად ცხადია, განათლების კომისარიატმა ამ საქმეს ჯეროვანი დახმარება უნდა აღმოუჩინოს.

ამნაირად სტუდენტთა ბიბლიოთეკა-სამკითხველოს შექმნა დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს ფინანსიური მოსაზრებით. გაცილებით ძნელია ორგანიზაციული მხარის მოწესრიგება, ფასიანი საჯარო ლექციების მოწყობა, დამხმარე საზოგადოების შექმნა, შტატის შემუშავება და გატარება განათლების კომისარიატში, მოლაპარაკება ბიბლიოთეკებთან დახმარების შესახებ, საჭირო ბინის შოვნა. შემდეგ—ყოველივე ეს უნდა ხდებოდეს დიდი ხალისით, ენერგიით და სრული იმედით, რომ ეს საქმე მართლაც განხორციელდება ახლო მომავალში.

სტუდენტთა ბიბლიოთეკა - სამკითხველოს დაარსება არა მარტო შეძლებას მისცემს სტუდენტთა მასას თვითეული საგნის სათანადო შესწავლისათვის. იგი შემოკრებს თავის გარშემო სტუდენტთა სამეცნიერო წრეებს, დაარსებს ამ წრეებისათვის საჭირო აუდიტორიას, შემოიერთებს სტუდენტთათვის დამხმარე სხვადასხვა დაწესებულებებს.

პროფ. ი. ბერიტაშვილი.

საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაციის დღე

სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის განხორციელება მოითხოვს მუშათა ფართო მასების ინიციატივობისა და აქტივობის გაძლიერებას საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაციის საქმეში. იმისათვის, რომ „დავეწიოთ და გაუსწროთ კაპიტალისტურ ქვეყნებს", საჭიროა მთელი ჩვენი ძალების დაჭიმვა წარმოების გასაჯანსაღებლად და საერთოდ ჩვენი მეურნეობის სოციალისტურ საფუძველზე გარდასაქმნელად; საჭიროა საკუთარი საშუალებებით შევქმნათ ისეთი წარმოება, რომელიც მოგვცემს საწარმოო ხელსაწყო მანქანა - იარაღებს საკმაო რაოდენობით.

ჩვენი პარტია და ხელისუფლება ამ მხრივ გაცხოველებულ მუშაობას აწარმოებს; საწარმოო თათბირების მუშაობის გაჯანსაღება, ფაბრიკა-ქარხნების სოციალისტური შეჯიბრება, კამპანია განუწყვეტელი საწარმოო წლის შემოსაღებად და მთელი რიგი სხვა ღონისძიებები მიმართულია ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ტემპის გაძლიერებისაკენ. სახალხო მეურნეობის გეგმის განხორციელებისაკენ. ამ ლოზუნგებმა ამოძრავა საბჭოთა კავშირის მთელი მუშათა კლასი. ფართოდ გაშალა თვითკრიტიკა და გაძლიერა მუშათა ინიციატივა წარმოების რაციონალიზაციის საქმეში. მუშები აყენებენ მრავალ ახალ ღონისძიებებს ჩვენი მეურნეობის სოციალისტურ საფუძველზე გარდასაქმნელად. ამ ღონისძიებათა შორის ფრიად საყურადღებოა ლენინგრადის მუშის ამხ. სლაბოდჩიკოვის წინადადება საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაციის დღის შესახებ. ამ წინადადების დიდი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ ინდუსტრიალიზაციის დღე იქნება მთელი საბჭოთა კავშირის მშრომელთა მობილიზაციის დღეთ. სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის რეალიზაციისათვის.

ამხ. სლაბოდჩიკოვის წინადადებით ამ დღის ნამუშევარი მთლიანად უნდა გადაიდოს ინდუსტრიალიზაციის ფონდის გასაძლიერებლად. ამავე მიზნით უნდა დაიბეგრონ კულაკები და ნეპმანები და ქალაქების შენობების ერთი დღის შემოსავალი გადაირიცხოს ინდუსტრიალიზაციის ფონდში. ეს მოგვცემს რამდენიმე ათ მილიონ მანეთს, რომელიც გაადვილებს ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას საკუთარის საშუალებებით.

ლენინგრადის მუშებმა დიდის ხალისით და აღტაცებით გამოეხმაურნენ ამ წინადადებას და მოითხოვეს საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაციის ერთიანი დღის შემოღება. საკავშირო პროფსაბჭომ დააკმაყოფილა მუშების მოთხოვნილება და 6 აგვისტო გამოაცხადა საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაციის დღეთ. არც ჩვენ უნდა ჩამოვრჩეთ ამ ფრიად მნიშვნელოვან და დროულ კამპანიას. საბჭოთა საქართველოს მუშებმაც, უნდა გამოსთქვან თავიანთი აზრი ამ საკითხის შესახებ. მუშები ამ მხრივ მაგალითები უნდა შეიქნენ დანარჩენ მუშებისათვის. მათ უნდა მისცენ ახსნა - განმარტებები მუშებს ინდუსტრიალიზაციის დღის მნიშვნელობის შესახებ. უნდა განვიმსჭვალოთ იმ შეგნებით, რომ მხოლოდ მუშათა ფართო მასების აქტიური მონაწილეობით სოციალისტურ მშენებლობაში შევძლებთ სახალხო მეურნეობის ხუთწლიანი გეგმის განხორციელებას და „დავეწევით და გაუსწრებთ კაპიტალისტურ ქვეყნებს".

ვ. ნანუაშვილი.

მუშა ვ. ბარბაქაძის წინადადება

ლენინგრადის პროლეტარული ქარხნის მუშამ ამხ. სლაბოჩიკოვმა ფრიად საყურადღებო საკითხი წამოაყენა ინდუსტრიალიზაციის ტემპის გასაძლიერებლად. მისი წინადადებით საჭიროა შემოღებული იქნეს ერთიანი საბჭოთა ინდუსტრიალიზაციის დღე. ამ წინადადებას სიხარულით გამოეხმაურენ საბჭოთა რუსეთის ყველა ქარხნის მუშები. საკავშირო პროფსაბჭომ კიდევ გამოიტანა დადგენილება, 6 აგვისტოს, რომელიც რუსეთში დასვენების დღეთ ითვლება, ინდუსტრიალიზაციის დღეთ გამოცხადების შესახებ. ეს დღე ამიერ-კავკასიაში სამუშაო დღეთ არის გამოცხადებული. ამიტომ საჭიროა ჩვენში ამ მიზნისათვის გამოიძებნოს სხვა რომელიმე დღე.

ზოგიერთი მუშების აზრი იმის შესახებ, რომ დასასვენებელი დღე—15 ივლისი, გამოცხადდეს ინდუსტრიალიზაციის დღეთ, არ არის სწორი. მთელ ზაფხულში ერთად ერთი დღეა დასასვენებელი და ისიც რომ ვიმუშაოთ, ჩემის აზრით დიდ მითქმა-მოთქმას გამოიწვევს მასაში. ჩვენ გვაქვს 26 კომუნარის დღე, 20 სექტემბერი, რომელიც მთელ ამ.-კ. ითვლება არა სამუშაო დღეთ. ამიტომ უფრო სწორი და მიზანშეწონილი იქნება ამ დღის ინდუსტრიალიზაციის დღეთ გამოცხადება. მუშათა ფართო მასები უფრო ხალისიანად შეხვდებიან ამ დღეს, ვიდრე დასასვენებელი დღის სამუშაო დღედ გამოცხადებას.

ამასთანავე ამ დღეს ყველა კულტურული დაწესებულებები; თეატრები, კინოები და ყველა გასართობები, მუშებისათვის უფასო უნდა იყოს. ამ დღეს უნდა ეწყობოდეს ზეიმობა. ამით აღარც კალენდარული გეგმა დაირღვევა და დასასვენებელი დღეებიც თავის რიგით წავა. ამასთანავე ზოგიერთ ანტისაბჭოთა გაიძვერებს ნაკლები საბუთი ექნებათ ილაყბონ ჩვენი სოციალისტური მშენებლობის წინააღმდეგ.

ორთქლმავალებისა და ვაგონების შემკეთებელი ქარხნის მუშა **ვასო ბარბაქაძე.**

ქრონიკა

ამხ. კუბიაკის ჩამოსვლა

თბილისში ჩამოვიდა რუსეთის ს. ფ. ს. რესპუბლიკის მიწადმოქმედების სახალხო კომისარი ამხ. კუბიაკი. გუშინ ამხ. კუბიაკმა, საქართველოს მიწადმოქმედების სახალხო კომისარ ამხ. ს. ჟულელთან ერთად დაათვალიერა მიწსახკომის საცდელ-საჩვენებელი დაწესებულებები და წარმოებები, როგორიცაა საქართველოს ცხენთსაშენი, ზოოტეხნიკური სადგური, სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების საცდელი სადგური და სხვ.

ამერიკელი მასწავლებლის ჩამოსვლა

თბილისში ჩამოვიდა ამერიკელი მასწავლებელი, სტილლა დუბოუზ, რომელსაც გადაწყვეტილი აქვს ჩამოიაროს საბჭოთა კავშირის უდიდესი ქალაქები და გაეცნოს საბჭოთა სკოლის მუშაობას.

ახალი ექიმები პრაქტიკაზე

ჯანმრთელობის სახ. კომისარიატმა ცენტრალურ საავადმყოფოებში პრაქტიკის მისაღებათ გააგზავნა 26 ახალი ექიმი, რომლებმაც წელს დაამთავრეს საექიმო დარგი.

პრაქტიკის მიღების შემდეგ ისინი გაიგზავნებიან მაზრებში სამუშაოდ.

მწირი მიწების განოყიერება

საქართველოში ბევრია ისეთი ადგილები, რომლებიც სიმწირის გამო, არც საყანეთ და არც საბალახეთაა გამოსადეგი. ამიტომ სათანადო ორგანოები მიწად-მოქმედების კომისარიატთან ერთად შეუდგებიან მწირი მიწების ხელოვნურად განოყიერების საქმეს. ამ მიზნით სხვადასხვა რაიონებში სახ. მეურ. უმ. საბჭო ჩაატარებს საცდელ მუშაობას. მწირი მიწების საცდელ განოყიერების საქმისათვის გადადებულია 5.000 მანეთი.

უმიწაწყლო გლეხების მოწყობა ახალ მიწებზე

უმიწაწყლო გლეხების ახალ მიწებზე დასასახლებლად წელს ამიერ-კავკასიაში დაიხარჯება 1.500.000 მანეთი, აქედან საქართველოში 340.000 მანეთი.

ცხენების შეჯიბრი

10, 11, 12, 13 და 14 ივლისს თბილისის იპოდრომზე (დიდუბეში) გაიმართება არმიის კავალერიის ნაწილების ცხენთა სასპორტო შეჯიბრება. დასაწყისი ნაშუადღევის 4 ნახ. საათზე.

ა.-კ. უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს პლენუმი

ამიერ-კავკასიის სახკომსაბჭომ დაამტკიცა ამიერ-კავკასიის უმაღლესი ეკონომიური საბჭო შემდეგი შემადგენლობით.

ამხ. ელიავა, ორახელაშვილი, ნაზარეტიანი, ბეკზადიანი, გუსეინოვი, ფ. მახარაძე, გენკინი, ბუკრეევი, ამბარცუმიანი, ლაქტიონოვი, ბაგიროვი, პოზდეევი და კუზნეცოვი.

თბილისის აღმასკომში

◆ საბინაო სამშენებლო ამხ-ბას „რკინის გზელს" ადგილობრივ ფონდიდან სესხად მიეცა 46.000 მანეთი.

◆ სანაპირო გზების ნაპირების გასამაგრებლად აღმასკომმა გადადო 10.000 მანეთი.

განათლების კომისარიატში

◆ უმაღლეს სასწავლებლებში განცხადებების შეტანის ვადა გაგრძელებულია 25 ივლისამდე.

◆ მასწავლებელთა ცოდნის ამაღლების მიზნით ზესტაფონში გაიხსნა გადასამზადებელი კურსები.

ჯანმრთელობის კომისარიატში

◆ მალარიასთან საბრძოლველად ჯანმრთელობის კომისარიატი აჭარისტანში და ალაზნის ველზე აგზავნის სამალარიო ექსპედიციებს.

◆ საექიმო პუნქტებთან, მოზრდილ თემებში, ჯანსახკომმა გადასწყვიტა მოაწყოს საწოლები მწოლიარე ავადმყოფთა სამკურნალოდ.

გლეხკომებში

◆ თათბირი. ივლისის ბოლო რიცხვებში თბილისში შესდგება ამიერ-კავკასიაში არსებულ გლეხკომების წარმომადგენელთა თათბირი.

◆ გლეხთა დასასვენებელი სახლი. ორბელის გლეხკომმა (რაჭა-ლეჩხ. მაზრ.) აგარაკ ძლულურში გახსნა აბანო და დასასვენებელი სახლი, რომლებითაც უფასოთ ისარგებლებენ ღარიბი გლეხები.

სხვადასხვა

◆ ექსკურსია. კომუნალურ მუშაკთა კავშირი ივლისის შუა რიცხვებში მოსკოვში აწყობს ექსკურსიას.

◆ 15 ივლისი, ორშაბათი, დასასვენებელი დღეა.

სტუმრად არტილერისტებთან

შაბათს, 6 ივლისს, საქართველოს პროფსაბჭოს კულტგანყოფილებამ მოაწყო პროფკავშირთა წევრების ექსკურსია ვაზიანში, სადაც ისინი მიწვეულნი იყვენ საარტილერიო ბრძოლაზე დასასწრებლად.

ვაზიანში ექსკურსანტებს გაუმართეს საზეიმო შეხვედრა. სადგური სავსეა წითელარმიელებით. აქვეა უმაღლესი სარდლობაც. ისმის საყვირების განუწყვეტელი ხმაური და სტუმრების და მასპინძლების მხიარული „ვაშა".

აქვე იმართება სახელდახელო მიტინგი. ისმის მისალმებანი სხვადასხვა ენებზე,

ბანაკამდის თითქმის სამი ვერსია. ღამდება, ბრე-მარე ბინდმა მოიცვა, ოთხასამდე სტუმარი, შერეული არმიელებთან, ვაბიჯებდით მხიარულად.

ამხ. მ. ცხაკაია და ვ. ვაშაკიძე შტაბში

ვაუხლოვდებით ბანაკს, სიბნელეში არ მოსჩანან კარვები.

უცებ გაისმა ზარბაზნების გრიალი. მასპინძლები ზარბაზნების ქუხილით შეხვდნენ სტუმრებს.

წვიმს.

ვთავსდებით ფართე კარვებში.

მასპინძლები გვარწმუნებენ, რომ კარავში წვიმა არ ჩადის. ჩვენც ვუჯერებთ. მაგრამ, წვიმა გრძელდება, კარავი მთლიანად სველდება და წვიმის წყალი რიგიანად გვასველებს ჩვენც.

გათენდა. წვიმა ისევ გრძელდება. მიუხედავათ ამისა, არტილერია იწყებს ლაშქრობას, რომელმაც უნდა გამოაშკარავოს წითელი არტილერიის მიღწევები.

პოლიგონის ერთ-ერთ გორაკზე თავი მოიყარეს ამხ. მ. ცხაკაიამ, ვაშაკიძემ, აპქსენტიევსკიმ, ფაბრიციუსმა, აქვეა არტლეგიონების შტაბები.

პირველი ყუმბარა ხვდება მავთულხლართს და საგრძნობლად აზიანებს მას. რამოდენიმე გასროლა კიდევ და არტილერია სავსებით ანადგურებს მავთულხლართისაგან შექმნილ დაბრკოლებას.

ჩრდილო აღმოსავლეთის მიმართულებით მოსჩანს პატარა სოფელი, აქვეა რკინის გზის სადგური სხვადასხვა შენობებით. სადგურში გაჩერებულია მატარებელი. ტყუილად დაუწყებთ ძებნას რუკაზე ამ სადგურს და სოფელს. ყველა ეს აგებულია არმიელების მიერ ფანერიდან.

ზარბაზნებმა იცვალეს მიმართულება და დაუშინეს ყუმბარები „მტრის" ტერიტორიას. ნახევარ საათის განმავლობაში განადგურდა სოფელი, სადგური და მატარებელიც. „მტრის" ტერიტორია მოიცვა ცეცხლის ალმა.

„ბრძოლა" დამთავრდა. საღამო ჟამს ვტოვებთ ბანაკს და ვბრუნდებით უკან.

ყველანი აღტაცებულნი არიან ნახულით, ყველა დარწმუნებულია, რომ წითელი არტილერია საჭიროების დროს მტკიცედ დაიცავს ჩვენი ქვეყნის წითელ საზღვრებს.

—:—

ჩვენს თანამშრომელთა საუბარში კავკ. წითელდროშოვან არმიის სარდალმა ამხ. აპქსენტიევსკიმ აღნიშნა არტილერიის ნაწილების დიდი მიღწევები.

შედარებით გასულ წელთან, არტილერია საგრძნობლად გაიზარდა. მას აქვს თვალსაჩინო მიღწევები როგორც პრაქტიკულ საკითხებში, ისე წითელ-არმიელთა პოლიტიკურ მომზადებაში.

არტილერია საუკეთესოდ იღებდა მიზანში როგორც უძრავ, ისე მოძრავ საგნებს, როგორც მაგ. ჯავშანმატარებლებს, ტანკებს და სხვა.

ნ. თ—ლი.

დღეს, საღამოს სრულ 6 საათზე, ჩვენი რედაქციის ბინაზე, (კამოს ქ. № 68) შესდგება გაზეთ „კომუნისტი"-ს მუშკორთა და თბილისის ფაბრიკა - ქარხნებთან არსებულ კედლის გაზეთების წარმომადგენელთა საერთო კრება. ვინაიდან დღის წესრიგში ფრიად საყურადღებო საკითხია დასმული, ყველა მუშკორის დასწრება აუცილებელია

ტირაჟი—40.595

ტყვარჩელი და შირაქი

ორი უდიდესი სამრეწველო რაიონის შექმნა

მოსკოვიდან დაბრუნდა ს.მ.უ.ს. სამთო განყოფილების უფროსი ინჟ. ი. ყიფშიძე, რომელიც მივლენილი იყო უმაღლეს საკავშირო ორგანოებში ტყვარჩელის რაიონში ქვა-ნახშირის სამუშაოთა გეგმის განხილვაში მონაწილეობის მისაღებად და შირაქის ველზე ნავთის მრეწველობის საკითხის მოსაგვარებლათ. აღნიშნულ ორ საკითხზე უმაღლეს საკავშირო ორგანოების გადაწყვეტილებათა შესახებ ინჟ. ი. ყიფშიძემ ჩვენს თანამშრომელს განუცხადა:

— ივნისის შუა რიცხვებში მოსკოვში, შესდგა საკ. ს.მ.უ.ს. სამეცნიერო-ტეხნიკური საბჭოს სხდომა, რომელზედაც დასმული იყო საკითხი ტყვარჩელში ქვანახშირის ამოსაღები სამუშაოების შესახებ. გამოირკვა, რომ ტყვარჩელის სამუშაოთა საორგანიზაციო ბიუროს არ ჰქონდა დამზადებული ე.წ. საესკიზო პროექტი, რომელიც საჭიროა სამუშაოების დასაწყებად. მიუხედავათ ამისა, სამეცნიერო ტეხნიკურმა საბჭომ აუცილებლათ აღიარა, რომ ტყვარჩელში დაწყებულ იქნეს ქვა-ნახშირის ამოსაღები კაპიტალური გვირაბის გაყვანა ა. წ. სექტემბრიდან. ივლის-აგვისტოს განმავლობაში კი ჩატარდება ცდები გარეცხილი ქვანახშირიდან კოქსის დამზადების მიზნით, (კოქსი აუცილებელი პროდუქტია ფოლადის მრეწველობისათვის).

გარდა ამისა, ტყვარჩელის საკითხს დიდი ყურადღება მიაქცია საკავშირო შრომისა და თავდაცვის საბჭომ, რომელმაც დაავალა საკავშირო საგეგმო კომისიას, რომ დაჩქარებით მოაგვაროს საკითხი საზღვაო და სარკინისგზო ტრანსპორტის მოწყობის შესახებ. ამასთანავე აუცილებლათაა ცნობილი დაჩქარდეს შავი ზღვის რკინისგზის გაყვანა ზუგდიდიდან სოხუმამდე და შემდეგ ოჩემჩირემდე. ამგვარად ტყვარჩელის სამრეწველო რაიონის შექმნა დღეს უკვე პრაქტიკული საქმიანობის დღის წესრიგშია დასმული.

მეორე დიდი სამრეწველო რაიონი უნდა შეიქმნეს შირაქის ველზე. უკანასკნელათ ნავთიანი ადგილების დამუშავების საქმეს უდიდესი ყურადღება ექცევა და სწორედ ამ მოსაზრებით საქართველოს ს.მ.უ. საბჭოს დავალებით დასმულ იქნა საკითხი შირაქის ნავთიან ადგილებში სამუშაოების დაწყების შესახებ. შირაქის ერთ უბანზე, როგორც ცნობილია მუშაობდა იტალო-ბელგიის საკონცესიო საზოგადოება, რომელმაც გასულ შემოდგომაზე დროებით შესწყვიტა მუშაობა. ნავთის მრეწველობის დირექტორატთან, რომელიც სახელმწიფო სათბობ განყოფილებასთან არსებობს, შესდგა თათბირი შირაქში ნავთის ამოსაღები სამუშაოების დაწყების შესახებ. თათბირს დაესწრნენ — გამოჩენილი სპეციალისტები — პროფ. გოლუბიატნიკოვი, პროფ. პრეობრაჟენსკი, პროფ. ბოგაჩოვი და სხ. შირაქის ნავთის შესახებ წარდგენილ მასალებთან გაცნობის შემდეგ თათბირმა აღიარა, რომ შირაქის ნავთიანი ადგილების დამუშავების საკითხი უნდა დაისვას დღის წესრიგში და მიღებულ იქნას სასწრაფო ზომები შირაქში სამუშაოთა დასაწყებათ. საბოლოოდ გადასწყდა, რომ შირაქში დაწყებულ იქნას ახალი, დიდი, ე. წ. საექსპლოატაციო ჭაბურღილის ამოღება მომავალი შემოდგომიდან. გარდა ამისა, თუ კონცესიონერებმა არ განაგრძო მუშაობა. გადაწყვეტილია ნავთის ამოღება დაიწყოს არსებული 1-ლი ჭაბურღილიდანაც. ახალი ჭაბურღილიდან ნავთის ამოღება ნავარაუდევია 600-700 მეტრის სიღრმიდან.

ამასთანავე საკავშირო ს.მ.უ. საბჭომ დაავალა გეოლოგიურ კომიტეტს, რომ ოქტომბრამდე, ე. ი. ნავთის ამოსაღებ სამუშაოთა დაწყებამდე, აწარმოოს ყველა საჭირო ტოპოგრაფიული და გეოლოგიური გამოკვლევა. აგვისტოში შირაქის ველის დასათვალიერებლად ჩამოვა პროფ. გოლუბიატნიკოვი, რომელიც სპეციალურად შეისწავლის შირაქის ნავთიან ადგილებს.

კონფლიქტების განხილვის დაჩქარება

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა მოისმინა მოხსენება კონფლიქტების განხილვის ვადების შესრულების შემოწმების შესახებ და აღნიშნა, რომ საქ. შრომის კომისარიატში კონფლიქტების განხილვა-ჩამოყალიბებას საგრძნობლად აგვიანდება (ყველა საკითხების 57 პროც. აგვიანდება 8 დღიდან 2 თვემდე).

საქმის გაჭიანურების ძირითადი მიზეზია შემდეგი გარემოებები: თავის დროზე არ იხილავენ საქმეებს, რომლებიც შემოსულია მომრიგებელ-სამედიატორო სასამართლოში გასარჩევად (საქმეების 28 პროც. იხილავენ 8 დღიდან 1 თვემდე); დაგვიანებით არჩევენ საჩივარს შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიის დადგენილებაზე (საქმეების 42 პროც. განხილვა გვიანდება 8 დღიდან 2 თვემდე); მეთვალყურეობის წესით შემოსულ საქმეთა განხილვის წესი არ არის სწორად შემუშავებული (კომისიების გამოყოფა, მხარეების და მოწმეების გამოძახება და სხვ.), მიუხედავად საბჭოთა კავშირის შრომის სახ. კომისარიატის დირექტივისა, აგვიანდება სამედიატორო სასამართლოების გადაწყვეტილებათა ჩამოყალიბება (ჩამოყალიბება ხშირად გვიანდება 15---20 დღით); არ სწარმოებს ბრძოლა კონფლიქტების გაჭიანურებასთან შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიებში და სხვა.

პრეზიდიუმმა დაადგინა წინადადება მისცეს შრომის კომისარიატს მიიღოს საჭირო ზომები, რათა შრომის კომისარიატის ორგანოებში არავითარ შემთხვევაში არ ექნეს ადგილი საქმეების განხილვის დაგვიანებას დაწესებულ ვადაზე ზევით.

დასმული იქნეს ა. კ. პროფსაბჭოში საკითხი იმის შესახებ, რომ ა. კ. შრომის კომისარიატი არ იცავს ახალ დებულებას კონფლიქტების განხილვაში და მეთვალყურეობას შემფასებელ საკონფლიქტო კომისიების გადაწყვეტილებაზე ანხორციელებს ისევ ა. კ. შრომის კომისარიატი, რაც ძალიან აჭიანურებს საქმეების განხილვას.

კავშირების ცენტრალურ გამგეობებს წინადადება მიეცათ თვალყური ადევნონ შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიების ოქმების სწორად შედგენას და ყოველმხრივ ხელი შეუწყონ კონფლიქტების თავის დროზე განხილვას.

ღონისძიებები ყვავილის გავრცელების წინააღმდეგ

ჩვენს თანამშრომელთან საუბარში თბ. აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილების სანიტარულ-პროფილაქტიურ ქვე-განყოფილების გამგემ ექ. ლორთქიფანიძემ განაცხადა შემდეგი: ამჟამად თბილისში გაცხოველებული მუშაობა სწარმოებს ყვავილის საწინააღმდეგოდ აცრაზე. თბილისის მოსახლეობის ერთ მესამედმა უკვე აიცრა. მაზრის საექიმო პუნქტებიც უზრუნველყოფილია ვაკცინით. დღემდე აცრა სწარმოებდა რაიონულ ამბულატორიებში. აცრის მსურველების სიმრავლე ამბულატორიებში ხელს უშლიდა ამბულატორიების ყველა განყოფილებების ნორმალურ მუშაობას, ამიტომ დღეიდან თბილისში არსდება სამი პუნქტი: დიდი ვანქის ქუჩაზე, № 12, 101 შრომის სკოლის შენობაში, (აცრა იწარმოებს 11-დან 5 საათამდე), კახეთის ქუჩაზე № 23, 86 შრომის სკოლის შენობაში (აცრა იწარმოებს ამავე საათებში) და კუკიის მე-3 საავადმყოფოში (აცრა იწარმოებს 1-დან—6 საათამდე). გარდა ამისა შედგენილი იქნება 4 რაზმი, რომლებიც აცრას აწარმოებენ უშუალოდ წარმოება-დაწესებულებებში.

უკანასკნელ ხანებში თბილისში გავრცელდა ხმები იმის შესახებ, თითქოს ზოგიერთ ადგილებში შექმნილია კარანტინები და იმას, ვისაც მოწმობა არა აქვს აცრის შესახებ, არ უშვებენო. ეს ხმები სიმართლეს არ შეეფერება.

რაც შეეხება ქუნთრუშას, უნდა ითქვას, რომ მიუხედავად მიღებული ზომებისა, ქუნთრუშით დაავადების მაჩვენებელი მაღალია, თუმცა ზამთრის თვეებთან შედარებით შემცირდა. მაგ., თუ იანვარში ქუნთრუშით დაავადების შემთხვევა 300-ს აღწევდა, მაისში 104-მდე დავიდა და ასევე დარჩა ივნისშიც, რაც მიეწერება ამ ეპიდემიის სიმძლავრეს. ქუნთრუშისაგან იმ ბავშთა სიკვდილიანობის შემთხვევას, რომლებიც აცრილი იყვნენ, ადგილი არ ქონია.

შედარებით შემცირებულია ხუნაგით დაავადების შემთხვევები. ზამთრის თვეებში აღრიცხული იყო ხუნაგით (დიფტერიტი) დაავადების 100 შემთხვევა, მაისში 60, ხოლო ივნისში 25-მდე დავიდა.

ჩაის მეურნეობის სპეციალისტთა თათბირი

1—5 ივლისამდე ბათომში მუშაობდა ჩაის მეურნეობის სპეციალისტთა თათბირი, რომელსაც დაესწრნენ საქართველოს ყველა საჩაიე რაიონების სპეციალისტები და აგრონომები. თათბირის დღის წესრიგში დასმულ საკითხთა შორის აღსანიშნავია საკითხი ჩაის ახალი პლანტაციების გაშენების შესახებ, სამხრეთის ჩაის ჯიშების აკლიმატიზაცია, ჩაის ახალი ფაბრიკების აგება და სხვა.

სამხრეთის ჩაის ჯიშების აკლიმატიზაციის შესახებ მოხსენება გააკეთა აგრონომმა პოკროვსკიმ. მისი ხელმძღვანელობით სწარმოებდა ცდები ინდოეთის ე. წ. დარჯილინგის ჯიშის ჩაის მოსაშენებლათ საქართველოში. გასულ წელს დარჯილინგის პროვინციიდან (ინდოეთი) საქართველოში შემოიტანეს ჩაის ჯიშების თესლი, რომელმაც, მიუხედავად დიდი ზამთრისა, უკვე გაიხარა. ამით დადასტურდა, რომ საქართველოს ზოგიერთ რაიონებში, განსაკუთრებით კი აჭარისტანში შესაძლებელია მაღალხარისხოვანი ჩაის ჯიშების მოშენება.

ჩაის ახალი პლანტაციების გაშენების შესახებ გაკეთებულ მოხსენებიდან (მომხსენებელი ამხ. ს. ბობოხიძე) გამოირკვა, რომ წელს მთელ საქართველოში ახალი პლანტაციები გაშენებული იქნება 4.500 ჰექტარზე. აქედან ახალი პლანტაციები გაშენდება სრულიად ახალ რაიონებშიაც, როგორიცაა გამოჩინებულის თემში (ქუთაისის მაზრა).

თათბირზე განსაკუთრებული ყურადღება ჰქონდა მიქცეული ჩაის მეურნეთა კოლექტივების ჩამოყალიბების საკითხს, თათბირმა გამოსთქვა აზრი, რომ გაძლიერებულ იქნეს მუშაობა კოლექტივების ჩამოსაყალიბებლად და მოგვარდეს კოლექტივებში გაერთიანებულ მეურნეთათვის აგრონომიული დახმარების გაწევის საქმე.

ექსკურსიები 14--15 ივლისს

საბჭოთა - სავაჭრ. მუშაკების კავშირის ექსკურსიები

ორშაბათს, 15 ივლისი დასასვენებელი დღეა. ამის გამო საბჭოთა-სავაჭრო მუშაკების კავშირი შაბათს 13 ივლისს აწყობს თავის წევრების ექსკურსიას შემდეგი მიმართულებით:

ბორჯომში—სანატორიუმების, დასასვენებელი სახლების, მუზის, ხე-ტყის სახერხი, სატკეპნ და გაზის ჩამომსხმელი ქარხნების დასათვალიერებლად; ექსკურსია დაჯდება 12 მანეთი.

თელავში—წინანდალის საბჭოთა მეურნეობის, ვენახების, ღვინის სარდაფების, მხარეთმცოდნეობის მუზეუმის, აბრეშუმის ძაფსახვევი ფაბრიკის დასათვალიერებლად; ექსკურსიაში მონაწილეებმა უნდა შეიტანონ 9 მანეთი.

ალავერდში—სპილენძის ბუდობების, ალავერდის მიდამოების ისტორიული ძეგლების დასათვალიერებლად და სპილენძის ამოღება-გადადნობის საქმის გასაცნობად; ექსკურსია დაჯდება 8 მანეთი.

ჩამოთვლილი ექსკურსიები ორდღიურია. მათ ღირებულებაში შედის კვება, ღამის გათევა და ხელმძღვანელობა.

ამას გარდა ეწყობა ტურისტული ექსკურსიები (ფეხით) შემდეგი მარშრუტით:

ლვათება-მამკოდი-ავჭალა. ექსკურსია რკინის გზით გაივლის 11 კილომეტრს, ფეხით ორივე მიმართულებით 36 კილომეტრს, გაგრძელდება ღამის გათევით 1 ნახ. დღეს და ეღირება 24 კაპ. (სამგზავრო ფასი).

წიფა-ლიხის ქედი-სურამი. ექსკურსია სად. წიფამდე იმგზავრებს მატარებლით, ფეხით გაივლის 15 კილომეტრს, ღამის გათევით გაგრძელდება 1 ნახ. დღე და ეღირება 3 მანეთი.

ზეთაბის ფერმა. ექსკურსია ეწყობა 14 ივლისს, ექსკურსანტები დაათვალიერებენ ზოოტეხნიკურ სადგურს.

სამთავისის კომუნა. ექსკურსია გაიმართება 14 ივლისს, გაგრძელდება 1 ნახ. დღე და ეღირება 2 მან. 16 კაპ.; ექსკურსანტები ფეხით გაივლიან 15 კილომეტრს.

მეთევზეობის მოყვარულთათვის ეწყობა ექსკურსია ავჭალაში ღამის გათევით.

შვებულთათვის ეწყობა შორეული ექსკურსიები შემდეგი მიმართულებით: ქუთაისის მრეწველობა, რიონჰესი, ტყიბული, გელათის მონასტერი, ქუთაისის მუზეუმი, აზნავთის ნავთსადენი ბათომში, ბოტანიკური ბაღი, კულტურულ მცენარეთა პლანტაციები, ციხის-ძირი; ექსკურსია გაგრძელდება 10 დღე და ეღირება 36 მანეთი.

სომხეთში: თბილისი-დელიჟანი-ელენოვკა (სევანის ტბა), ერევანი; ექსკურსანტები გაეცნობიან სომხეთის ეკონომიკას, ყოფა-ცხოვრებას, ძველ კულტურულ-ისტორიო ნაშთებს და ახალ აღმშენებლობას. ექსკურსია ეღირება 48 მანეთი.

თბილისი - ქუთაისი - ტყიბული

საბჭოთა-სავაჭრო მუშაკების კავშირის გარდა 13 ივლისს ქუთაის-ტყიბულში ექსკურსიას აწყობს საქ. პროფსაბჭოს კულტგანყოფილება. ექსკურსიაში მონაწილეობას მიიღებს 300 კაცი. ექსკურსანტები დაათვალიერებენ ტყიბულის ქვანახშირის ბუდობებს და ქუთაისის მიდამოებს.

სასამართლო

ერგემლიძე დახვრეტილია

შალვა ილარიონისძე ერგემლიძემ, როგორც ვსწერდით, შეწყნარება სთხოვა საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს.

უკანასკნელმა დაამტკიცა საქართველოს უზენაეს სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის თანახმად ერგემლიძე უნდა დაიხვრიტოს.

გუშინ საქართველოს უზენაესმა სასამართლომ დეპეშა გაგზავნა ქუთაისის მაზრის პროკურორის და გამსახლის უფროსის სახელზე განაჩენის სისრულეში მოყვანის შესახებ.

შემთხვევები

თავის მოწამვლა

კვირას, 7 ივლისს, იოდით თავი მოიწამლა ზინა ილიას ასულმა ახნაზაროვამ (მცხ. მერკვილაძის ქ. № 29), რომელიც სიკვდილს გადაარჩინეს. თავის მოწამვლის მიზეზი—ოჯახური უსიამოვნებაა.

ავტომობილის დაჯახება

ავტო-მანქანა № 40, პუშკინის ქუჩაზე დაეჯახა აიკანუშ კარაპეტის ასულ დავითიანცს, რომელიც ქუჩაზე გადადიოდა და დააშავა. შოფერის ვინაობა ჯერ-ჯერობით გამოურკვეველია.

გამოტყუება

საბა ფრიდონის ძე ერაფეს ცენტრალურ ბაზარზე ვიღაც ბოროტმოქმედმა აფერისტული გზით გამოსტყუა 145 მანეთი და მიიმალა.

ჯიბგირობა

5 ივლისს, თამარა ურუშაძეს (მცხოვრებ ორჯონიკიძის ქ., № 36), ტრამვაის ვაგონში ასვლის დროს, რედიკულიდან ამოაცალეს 60 მანეთი.

ვისია საათი?

სისხლის სამართლის მილიციამ აღმოაჩინა ნაქურდალი, მაჯის ოქროს საათი. პატრონი უნდა გამოცხადდეს ს. ს. მილიციაში ოთახი № 11, გ. ფარადაშვილთან.

შეპყრობა

მილიციამ დააპატიმრა უიდ მამედ-ოღლი (უბინაო), რომელსაც ბრალდება ჯიბგირობა —დაპატიმრებულია არტემ გრიგოლის ძე სერებრიანსკი, რომელმაც ნინა ოგანეზოვას ჯიბიდან ამოაცალა ფული და სხვადასხვა საბუთები.—ჯიბგირობისათვის დააპატიმრეს კასიმ გულკატოვი (მცხ. რიყის ქ. № 39).

ხელოვნება

სიმფონიური კონცერტები ოპერის თეატრში

სახელმწიფო ოპერის დირექციამ თბილისში მოიწვია გამოჩენილი ამერიკელი დირიჟორი ვლ. სავიჩი, რომლის ლოტბარობითაც საოპერო თეატრში გაიმართება რამდენიმე სიმფონიური კონცერტი.

ვლ. სავიჩი

—:—

ვლ. სავიჩი საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა შარშან და მაშინვე თვალსაჩინო ადგილი დაიკავა ჩვენს მუსიკალურ ცხოვრებაში.

სავიჩი—რუსია წარმოშობით, მაგრამ ორი წლის ჰასაკიდან ამერიკაში ცხოვრობს. მან მუსიკალური განათლება მიიღო გერმანიაში, სადაც დიდხანს გამოდიოდა, როგორც პიანისტი. ამ ათი წლის წინად მან თავი გაანება როიალს და ხელი მოკიდა დირიჟორობას. ამჟამად იგი სირაკუზის სიმფონიური ორკესტრის (ნიუ-იორკი) მუდმივი დირიჟორია. ამას გარდა შარშან არჩეულ იქნა ბერლინის სიმფონიური ორკესტრის მუდმივ დირიჟორად. მიმდინარე წლის ივნისში სავიჩმა ხელშეკრულება დასდო მოსკოვის დიდ თეატრთან, სადაც ის მიწვეულია დირიჟორად 1930 წელში.

პირველი სიმფონიური კონცერტი სავიჩის მონაწილეობით თბილისში გაიმართება დღეს, სახელმწიფო ოპერის თეატრში.

პროგრამაში შედის ისეთი ნომრებიც, რომლებიც პირველად სრულდება თბილისში.

მოსკოვის თეატრ „ლურჯი ხალათი"-ს გასტროლები

10 ივლისიდან მუშათა კლუბებში იწყება მოსკოვის თეატრ „ლურჯი ხალათი"-ს გასტროლები.

„ლურჯი ხალათი"—ახალი თეატრალური მოვლენაა. იგი თავდაპირველად დაარსდა ჟურნალისტიკის სახელმწიფო ინსტიტუტში, როგორც ცოცხალი გაზეთი, საიდანაც ემსახურებოდა მუშათა კლუბებსაც. თავის არსებობის ხუთი წლის განმავლობაში „ლურჯმა ხალათმა" საგრძნობლად გააფართოვა თავისი ფარგლები და მას დიდი მნიშვნელობა მიეცა როგორც მხატვრული მუშაობის ახალ სახეს და მშრომელ მასების დასვენების ორგანიზაციის იარაღს.

„ლურჯი ხალათი" მიზნათ ისახავს გააშუქოს თავის რეპერტუარში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების საკითხები. იქმნება საბჭოთა ვოდევილის და ოპერეტის ახალი თეატრალურ-დრამატურგიული ფორმები. „ლურჯი ხალათის" იდეები ფართოდ გავრცელდა საბჭოთა კავშირში და საზღვარგარეთ. „ლურჯი ხალათის" გასტროლები ლატვიაში, გერმანიაში და ჩინეთში დიდი წარმატებით ჩატარდა და ბურჟუაზიული პრესაც კი იძულებული იყო აღენიშნა ამ თეატრის თვალსაჩინო მხატვრული ღირებულება.

თეატრის იმ ჯგუფში, რომელიც თბილისში ჩამოდის საგასტროლოდ, შედიან კ. აკიმოვა, ნ. ბეინარი, ი. ვედენსკაია, ა. გარინი, ე. დარსკი, ვ. ლევიტუსი ლ. მიროვი, ვ. რუდნევი, ა. საფონოვა და მ. სოკოლოვა თეატრის ხელმძღვანელია ბ. იუჟანინი.

თეატრის რეპერტუარში შედის ვოდევილები, სკეტჩი, ოპერეტა, ოპერა პაროდია, სიმღერები, შარჟი, სახუმარო სიმღერები და სხვა.

თეატრის პირველი გამოსვლა მოხდება 10 ივლისს მედსანშრომის მუშაკთა კლუბში.

—:—

აფონინის და სისოევის გასტროლები კლუბებში

ამ დღეებში მუშათა კლუბებში დაიწყება იუმორისტ აფონინის და სისოევის გასტროლები. სისოევი ვ. მეიერხოლდის თეატრის ყოფ. არტისტია, მის რეპერტუარში შედის მოთხრობები, შარჟები, პაროდიები და სხვა. რეპერტუარი მოწონებულია ს. პ. კ. ს. კულტგანყოფილების სპეციალურ კომისიის მიერ.

თბ. სამიწადმოქმედო ტეხნიკუმის კურსდამთავრებულთა სია

თბილისის მიწათმომწყობი ტეხნიკუმი დაამთავრა და აგრონომ ტეხნიკოსის სახელწოდება მიენიჭა შემდეგ პირებს: ბეჟანიშვილი მიხეილ, გვიბერიძე დავით, გომართელი იოსებ, დონჯაშვილი გიორგი, ვეფხვაძე დავით, მერაბიშვილი სერგო, მიქაძე დავით, მიქელაძე ალექსანდრე, ნადარაია გიორგი, ოდიშვილი ალექსანდრე, ფხალაძე ნიკოლოზი, ღაღანიძე მიხეილი, ჩიჩუა კარლო, წეროძე მიხეილი, ჭეიშვილი სოლომონი, თავაძე გრიგოლი, კომახიძე პეტრე, მაღალაშვილი ივანე, მარუაშვილი დავითი, მახარაძე გიორგი, მკერვალიშვილი ვიქტორი, მეშვილიშვილი ზ., იონათამიშვილი ვახ. ორთოსცვარიძე შალ., სამსონიძე ალექსანდრე, სახვაძე დიმიტრი, სვანიძე ალექსი, სულთანიშვილი ივანე, ქვლივიძე შოთა, ხაჯაველიძე ვიქტორ, ჩიჯავაძე ვარლამ, წამალაშვილი ალექსანდრე და ჯიქია ვარლამი.

ამავე ტეხნიკუმის მემინდვრეობა-მესაქონლეობის დარგი დაამთავრა შემდეგმა პირებმა: ბაბუნაშვილი მიხეილი, ბურჭულაძე დავით, ბურჭულაძე კირიონი, დარჯანია ალექსი, დარჯანია სევერიანი, თარგამაძე რუბენი, თვალჭრელიძე სიმონი, ილურიძე ივანე, იოსელიანი თინათინი, კაპანაძე ვლადიმერი, კაციტაძე აბესალომი, კუცია ლიდა, კობალაძე კალისტრატე, ნინიაშვილი გიორგი, ოდილავაძე ზოსიმე, სამარლანაშვილი მარიამი, ფირცხალაიშვილი ტიტე, ჭკუასელი მიხეილი, წილოსანი ლეონიდე, ჯიბლაძე შალვა, ჯვარშეიშვილი სეფე, ჯოხაძე ბიკენტი, ქაჯაია ექვთიმე და შუბითიძე ვასილი.

ბიბლიოგრაფია

ა. ლეონტიევი

პოლიტიკური ეკონომიის სახელმძღვანელო

(საბჭოთა პარტსკოლების, მუშფაკების, მარქსისტულ - ლენინურ წრეების და თვითგანვითარებისათვის)

სახელგამი, 1929 წ., გვ. 326. ფასი 2 მან.

სარეცენზიო წიგნი ამ მხრივ ეკუთვნის კარგად დაწერილ სახელმძღვანელოთა ჯგუფს, მკითხველი პოპულიარულად შედგენილ თავებში ეცნობა პოლიტიკურ ეკონომიის ძირითად საკითხებს. იგი დაწერილია საერთო პარტიული განათლების ქვედა საფეხურის სკოლებისათვის და აგრეთვე თვითგანვითარებისათვის. სახელმძღვანელოში ავტორს განხილული აქვს საბჭოთა მეურნეობის საკითხებიც, რომლებიც, როგორც სრულიად სამართლიანად აღნიშნავს იგი, აუცილებლად წარმოიშობიან პოლიტ. ეკონომიის შესწავლის დროს. ამხ. ლეონტიევის სახელმძღვანელოში გარდა ჩვეულებრივი საკითხებისა დასასრულ შეტანილია აგრეთვე ორი თავი, სადაც მკითხველი სპეციალურად ეცნობა საბჭოთა ეკონომიკის თეორიულ შენებას: 1) საბჭოთა კავშირის გარდამავალი მეურნეობის ზოგადი დახასიათება და 2) გარდამავალი მეურნეობის ძირითადი საკითხები.

ყოველი თავი დაწერილია ისე, რომ ვიდრე მკითხველი შეუდგებოდეს ამა თუ იმ თავში მოქცეულ საკითხების დაწვრილებითი გაცნობას, ავტორი რამდენიმე სტრიქონში წინასწარ მოკლედ აცნობს მკითხველს, თუ რაზედ არის ლაპარაკი ამ თავში. აგრეთვე ყოველი თავის დასასრულს მოთავსებულია კითხვები განმეორებისათვის და ზოგჯერ სპეციალური ამოცანები, რაიც ხელს უწყობს მოცემულ თემის შეთვისებას.

ავტორი მთელი წიგნის გასწვრივ სარგებლობს სწორი მარქსისტული მეთოდოლოგიით და ეს უეჭველად მის სახელმძღვანელოს აყენებს სხვა ამ ტიპის სახელმძღვანელოთა შორის პირველ რიგში.

მაგრამ მაინც არის აქა-იქ ერთგვარი ბუნდოვანება, მაგ., 188 გვ., სადაც ავტორი არკვევს აბსოლიუტური რენტის წარმოშობ წყაროს საკითხს, მართალია, ასახელებს ორივე ფაქტორს — სასოფლო-სამ. კაპიტალის დაბალ ორგანიულ შემადგენლობას და მიწაზე კერძო საკუთრებას,—მაგრამ მკითხველისათვის მაინც გაურკვეველი რჩება, რომელი ამ ფაქტორთაგანი უფრო მეტი მნიშვნელობისაა აბსოლიუტური რენტის წარმოშობისათვის. ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ მარქსისა და ლენინის მიერ ამ საკითხზე გამოთქმული მოსაზრებათა სწორად გაგება გვეუბნება, რომ მიწაზე კერძო საკუთრების არსებობა არის მთავარი ფაქტორი, რომელიც თავის მხრივ წარმოშობს მეორე ფაქტორსაც, ე. ი. მიწაზე კერძო საკუთრების არსებობა იწვევს სოფლის მეურნეობაში მომქმედ კაპიტალის დაბალ ორგანიულ შედგენილობას, ეს კი არ სჩანს ნათლად მკითხველისათვის ამხ. ლეონტიევის სახელმძღვანელოში.

ქართული თარგმანი კარგადაა შესრულებული. თუმცა აქაც არის ზოგი ისეთი გამოთქმები, რომლებიც ჩვენ არ მიგვაჩნია სწორად. მაგ. „видоизменение" ნათარგმნია „სახეცვლილებად", უმჯობესი იქნებოდა ეთარგმნათ „სახეშეცვლილი"; ეს უფრო ადვილი გასაგებია; ანდა „воспроизводство" ნათარგმნია „ხელახალი წარმოებად", უმჯობესი იქნებოდა ეთარგმნათ „განმეორებული ნაწარმოებად".

ა. კ—ძე.

ცნობები

უგვირგვინო მეფენი

„ნიუიორკ ტაიმს"-ის ცნობით, ყველაზე მდიდარი ხალხი მსოფლიოში არის გენრი ფორდი და მისი შვილი, რომელთა ქონება შეფასებულია 2 ნახ. მილიარდ მანეთად; შემდეგი ადგილი უჭირავს როკფელერსა და მის შვილს, რომლებიც ნავთით გამდიდრდნენ, მათი ქონება შეფასებულია 1.200.000.000 მანეთად; მესამე ადგილი უჭირავს ენდრიუ მელლონს——შეერთ. შტატების ყოფ. ფინანსთა მინისტრის (კულიჯის პრეზიდენტობის დროს), რომლის ქონება შეფასებულია 400.000.000 მანეთად და რომელიც საბანკო სპეკულიაციის საშუალებით გამდიდრდა.

შემდეგი ადგილი უჭირავს: ვესტმინსტერის ჰერცოგს — 400 მილიონი, ბაზილ ზახაროვს —250.000.000, ბარონ მიტცუის (იაპონია)——200.000.000, პატინო (ბოლივია) 200.000.000 ლევენშტეინი (ბელგიელი, დაიღუპა) — 200.000.000.

ყველა როტშილდების ქონება შეფასებულია 400 მილიონად, ამდენადვეა შეფასებული ჰუგენგეიმების ქონება. გაზეთის ცნობით, მორგანს უჭირავს „უკანასკნელი" ადგილი, მისი ქონება შეფასებულია 200.000.000 მანეთად.

ფრენის სიმაღლის მსოფლიო რეკორდი

ამერიკელმა მფრინავმა ლეიტენანტმა აპოლო სოსეკმა, რომელმაც რამდენიმე კვირის წინათ დაამყარა აეროპლანით ფრენის სიმაღლის მსოფლიო რეკორდი, ახლა ასეთივე რეკორდი დაამყარა გიდროპლანებისათვის. მან მიაღწია 38.555 ფუტის სიმაღლეს, რაც 560 ფუტით აღემატება წინანდელ რეკორდს.

შექსპირი იტალიელი [illegible]

ცნობილი იტალიელი პროფ. პალადინი [illegible] რომ მის მიერ შეკრებილი [illegible] ბებით შექსპირი—იტალიელია. მისი ნამდვილი სახელი და გვარი არის—მიკაელ ანჯელო ფლორია.

ახალგაზრდა ფლორია, რომელიც გენუაში დაიბადა, კათოლიკური ეკლესიის მიერ ევანგელისტებისა და რეფორმისტების დევნის გამო დედასთან ერთად იტალიიდან ინგლისში გაიქცა.

თავისი თავისა და დედისათვის ლუკმა-პურის შოვნის მიზნით, ის მოხეტიალე დასს შეუერთდა და მათთვის მოკლე კომედიებსა და დრამებს სწერდა.

დაბადებათა რიცხვი და სიკვდილიანობა საფრანგეთში

საფრანგეთის სტატისტიკურმა სამმართველომ გამოაქვეყნა მეტად საინტერესო ცნობები დაბადებულთა და გარდაცვლილთა რიცხვის შესახებ საფრანგეთში 1929 წ. 1-ლ მეოთხედში (იანვარი, თებერვალი, მარტი). დაბადებულთა რიცხვი ამ პერიოდში უდრის — 188467, ნაცვლად 197.229 1928 წლის იმავე პერიოდში. ერთი წლის ჰასაკამდე გარდაცვლილ ბავშვთა რიცხვი უდრის 21.016, ნაცვლად 16.373 1928 წელში. საერთოდ სიკვდილიანობა აღნიშნულ პერიოდში უდრის — 258.672, ნაცვლად 189.496 წინა წლის იმავე პერიოდში. ამრიგად, 1929 წლის პირველ სამ თვეში 70.205 მეტი მოკვდა, ვიდრე დაიბადა. საფრანგეთის შრომის სამინისტრო ამ მოვლენას ხსნის გრიპის ეპიდემიით.

რკინისგზეზე

საკლუბო მშენებლობა

რკინისგზელთა პროფკავშირის ა.-კ. საგზაო კომიტეტის პრეზიდიუმმა დაადგინა, გადასდოს 1.000 მანეთი სადგ. შორაპანში ასაგებ საზაფხულო კლუბის მოსაწყობად. ლენინაკანის საუბნო კომიტეტს ორკესტრის ინსტრუმენტების შესაკეთებლად გადაეცა 1.600 მანეთი.

ბიბლიოთეკების შევსება ახალი წიგნებით

ბაქოს საუბნო კომიტეტის ბიბლიოთეკებიდან ძველი თურქული ალფაბეტით შედგენილ წიგნების ამოღების გამო, საგრძნობლად შემცირდა წიგნების რიცხვი. აღნიშნულ ბიბლიოთეკებში ნაკლებად მოიპოვება აგრეთვე სომხური ლიტერატურა.

ა.-კ. საგზაო კომიტეტმა ბაქოს საუბნო კომიტეტს გადასცა 3.000 მანეთი ბიბლიოთეკების სომხური და ახალი ალფაბეტით შედგენილ თურქული წიგნებით შესავსებათ.

რადიო-გადაცემა

სამშაბათი, 9 ივლისი

დღეს, თბილისის რადიო-ცენტრი, თბილისის რადიო სადგურის საშუალებით გადასცემს შემდეგ პროგრამას:

საღამოს 6 საათიდან — რადიო-გაზეთი, ქართულ ენაზე; გაზეთი „პროლეტარი" რადიოთი, სომხურ ენაზე; საუბარი — „სოციალისტური შეჯიბრება ყოფა-ცხოვრებითი ხასიათის საკითხებზე ა.-კ. სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემაში", სომხურ ენაზე („ზაკსოიუზიდან"); ლექცია სამეცნიერო ბუნებისმეტყველების თემაზე — „შხამის მატარებელი ცხოველები და მათი მნიშვნელობა ადამიანისთვის", ქართულ ენაზე; დროს შემოწმება და ამინდის ბიულეტენი; კომკავშირელების რადიო-გაზეთი, რუსულ ენაზე; რადიოს მეგობართა საათი (ტეხნიკური კონსულტაცია); რადიო-გადაცემათა კვირეული პროგრამის გადაცემა, ესპერანტოს ენაზე; დირიჟორ სავიჩის ხელმძღვანელობით გამართული სიმფონიური კონცერტის ტრანსლიაცია ოპერის თეატრიდან; უკანასკნელი ამბები.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქ. ლენ. კომკავშირის თბილისის კომიტეტი იუწყება, რომ ოთხშაბათს, 10 ივლისს, საღამოს 5 საათზე კომკავშირის თბილისის კომიტეტის შენობაში (რუსთაველის პროსპექტი № 20) შესდგება პიონერთა რაზმების მეთაურთა და მათი მოადგილეების თათბირი, რომელზედაც დასმულია საკითხი შეკრების შესახებ. ამ მასწავლებელ - ხელმძღვანელთა დასწრება, რომლებიც მუშაობენ საბავშო მოედნებზე, სავალდებულოა.

მიწსახკომის ცხენთსაშენ განყოფილების ადგილკომი და თანამშრომლები იუწყებიან, რომ უეცრად გარდაიცვალა ცხენთსაშენ განყოფილების თივის დამამზადებელ პუნქტის გამგე

ფოკა კალანდაძე

გამოსვენება ქალ. 1-ლ საავადმყოფოდან (ყოფ. არამიანცის) ოთხშაბათს, 10 ივლისს, დღის 4 საათზე, დაკრძალვა პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. (ს)

დამწუხრებული შვილები: სერაფიონ და ალექსანდრე, რძლები: ნინა და ვერა მარგველაშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ საყვარელი დედის

კესარია გიორგის ასული მარგველაშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 11 ივლისს, ნაშუადღევის 5 საათზე ქ. ქუთაისში.

გულდაწყვეტილი ქალიშვილები: ოლღა, ანეტა და ლიდა, სიძეები: ვასილ ელიაშვილი, ერმილე იაშვილი და ისიდორე თელია შვილებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათი საყვარელი დედის

კესარია გიორგის ასული მარგველაშვილის

გარდაცვალებას.

გულდამწვარი მეუღლე ოლღა, შვილი გიორგი, რძალი ანიკო, შვილიშვილები გივი და მანანა, ძმისშვილი დავით მეუღლე ნინათი ჩხიკვაძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 7 ივლისს ქ. ხაშურში გარდაიცვალა დაუვიწყარი

მემნოს ნიკოლოზის-ძე ჩხიკვაძე

დაკრძალვა სოფ. ობჩაში, 11 ივლისს, 4 საათზე. (შ)

დამწუხრებულნი დანიელ დვალი მეუღლით ნინოთი და ვლადიმერ აბზიანიძე მეუღლით ქეთევანით აუწყებენ ნაცნობთ და მეგობართ, რომ ხაშურში უეცრად გარდაიცვალა ძვირფასი და დაუვიწყარი

მემნოს ნიკოლოზის-ძე ჩხიკვაძე 2504

სოფიო, დარია, ირაკლი და არჩილ ქავთარაძეები და ცოლის და ნინო თამაზაშვილი ღრმა მწუხარებით იუწყებიან მათი ძვირფასი და დაუვიწყარი

მემნოს ჩხიკვაძის

უდროოდ გარდაცვალებას. 1—1

სახკინმრეწვის კინოები

საზაფხულო აპოლო	მხატვრული ფილმი სემირამიდას მარგალიტი
საზაფხულო პალასი	გრანდიოზულად დადგმული ფილმი დიადი საქმის კავშირი (С. В. Д.)
საზაფხულო ეთერი	პატი და პატაშონი კომედიაში ქალა და სილამაზე
მინიონი	განწირულნი ვ. ჰუგოს რომანის მიხედვით 1 და 2 სერია

1929 წლ. 15 ივლისს
საქმეების ლიკვიდაციას შეუდგება
ბაქო-ბათომის ნავთსადენის
მშენებლობის მე-8 უბანი ქალაქ განჯაში (ყოფილი ლაკრის ქარხანა).
ყოველგვარ პრეტენზიებს აღნიშნული უბნის მიმართ მე-8 უბნის კანტორა ღებულობს მხოლოდ 15 ივლისამდე, რის შემდეგ აზნავთმშენი არავითარ პრეტენზიას აღარ მიიღებს.
აზნავთმშენის მე-8 უბნის უფროსი ნ. ანტონოვი.
ნ. 2945 3—2

კ. ს. ფონ-ირტელი
პლეხანოვისპროსპ. № 10
სპეციალურად მკურნალობს საშარდე-სქესობრივ, ვენერიულ ავადმყოფობას, სიფილისს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სქესობრივი უძლურება, ნერვიული სისუსტე, ტრიპერი, სიფილისი, ბუასილი, სიმსივნე) ავადმყოფების მიღება დილის 8-დან შუადღის 12 საათამდე და საღ. 5-დან 8 საათამდე. ქალების მიღება დღის 11-დან 12 საათამდე. და საღამოს 7-დან 8 საათამდე. 13—10

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება
პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ. მიღება დილის 9—12. საღ. 7—8 საათამდე ტელეფ.—12—67. 25—1

კბილის ექიმი
დ. ს. რიჟინაშვილი
კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები, კბილების უმტკივნეულოდ ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა, ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე. ტელ. 10—14 412 25—1

ექიმი
ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს. ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას" (ყოფ. „ნოეს)" პირდაპირ ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8. ნ. 10. 25—1

მათემატიკის მასწავლებელი
ივ. მაჩაიძე
ამზადებს რუსულსა და მათემატიკაში
(არითმეტ.,ალგებ., გეომეტ.,ტრიგონ.) 10 წლედის პროგრამით და ყველა საგნებში შვიდწლედის პროგრამა. შემოდგომის განმეორებითი გამოცდებისათვის სუსტ მოწაფეებს და მისაღებ გამოცდებისათვის სპეც ტეხნიკ. (ინდუსტ. ქიმიურ და რკინის გზის). პლეხანოვის გამზირი № 25, შესავალი კუთხიდან, ჩერნიშევის ქ. № 5. (ყოფ. ალექსის) 9—1 საათამდე და 2—6 საათ. 2488 4—2

თმის მკურნალობა
და
სამკურნალო კოსმეტიკა
ექიმ
ნ. ბ. კონტოროვიჩისა
ფრეილინის ქ. № 1. სოლოლაკის ქ. კუთხე. თმის, ფერის მჭამელას, ჭორფლის, მეჭეჭის, ნაოჭის და სხვ. მკურნალობა ელექტრონის შუქით სამკურნალო უახლესი აპარატებისა და საშუალებების გამოყენება მიღება 11-დან 3-მდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე. 25—1

ექიმი
ლოგოპედი
ა. ა. კაიშაური
ყოფილი გამგე მოსკოვის მეორე უნივერსიტეტთან არსებულ ლოგოპედიის კაბინეტისა
ასწორებს
ლოგოპათებს: ენაბლუებს, ენაჩლუნგებს, აფატიკებს და მეტყველების ყოველგვარ დეფექტებს
იღებს: საღამოს, 5—7 საათ კლარა ცეტკინის ქ., (ყოფ. ელისაბედის) № 132. ტელ. 26-01. 2468 13—1

ექიმი
კ. ი. ჯალალოვი
(კანისა და ვენერიული სნეულებანი) სიფილისი, შემხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა. მამაკაცთა მიღება: დილით—7—8 ს. საღამოს—6—9 საათ. ქალები და ბავშვების მიღება: 5—6 საათამდე. მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 ყოფ. დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის მოედნის მახლობლად. ტელეფონი 1—90. ნ. 25—1

ექიმი
მ. ბ. შახნაზაროვი
სპეციალურად
სიფილისი, „914" შემხაპუნება, ტრიპერი მწვავე და ქრონიკული და სხვა ვენერიული სნეულებანი
ავადმყოფების მიღება ნაშუადღევის 4-დან 8 საათამდე. ქალების 4—5 საათამდე. ვასერის ქ. (ყოფ. კრასნოგორის) № 33 (ყოფ. თუმანოვის ქუჩ. კუთხე). 25—1

ქუთაისში
ექიმი ვ. დ. კუჭაიძე
ლენინგრადის სამეანო-გინეკოლოგიური ინსტიტუტის შ. გ. ასისტენტი ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით საღ. 5—7 ს.
იღებს სპეციალურათ მეანობაში, ქალთა სნეულებათა ავადმყოფთ და ქალთა უროლოგიაში (შარდის ბუშტის, მილის და თირკმელების დაავადებანი). პუშკინის ქ. № 7 2463 25—1

დაიკარგა: „ეპოს" წიგნაკი № 416 მოცემული ქ. ზესტაფონის ეპოს მიერ პავლე ლეჟავას სახელზე, ჩ. გ. 2500

დაიკარგა „პატენტი"-ს ფურცელი № 7563 გაცემული თბ. მე-10 უბნის საგადასახადო ინსპექტორის მიერ, ერასტი ბართლომეს-ძე პეტრიაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2497

დაიკარგა: პირადობის მოწმობა, გაცემული ა.-კ. რკ. გზ. ელ-ტეხნიკურ განყ. მე-3 უბნის მიერ № ა-29 „ზაკტპო"-ს საწევრო და მისაღები წიგნაკები № 38808, წლიური სასამსახურო ბილეთი № 5162 და ცოლის პირადობის მოწმობა № ა-29, გაცემული ალექსანდრე ნიკოლოზის-ძე არაბიძის სახელზე. ჩ. გ. 2503

დაიკარგა საბჭ. და სავაჭრო მუშაკების კავშირის საწევრო წიგნაკი № 31493 არტემ ილარიონის-ძე კუხალეიშვილის სახელზე ჩ. გ. 2500

დაიკარგა კოოპერატივის საწევრო წიგნაკი № 4107/5064 ვასილ გიორგის-ძე ჯოხარიძეს სახელზე, ჩ. გ. 2500

დაიკარგა: საბჭ. და სავაჭრო პროფკავშირის საწევრო წიგნაკი გიორგი სვიმონის-ძე ქშუტაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2500

დაიკარგა საანგარიშო დაზღვევის წიგნაკი № 67 და კავშირის წიგნაკი № 67 ნიკოლოზ დათას-ძე სამხარაძეს სახელზე, ჩ. გ. 2498

დაიკარგა პურის წიგნაკი № 967 მიხეილ კოსტას-ძე კაჭარავას სახელზე, ჩ. გ. 2499

დაიკარგა პურის წიგნაკი დათიკო გველესიანის სახელზე, ჩ. გ. 2496

დაიკარგა მუშკოოპის წიგნაკი ვალერიან ბაქრაძის სახელზე, ჩ. გ. 2495

დაიკარგა კავშირის საწევრო წიგნაკი № 13/32024 გაცემული ქუთაისის მშენებელთა კავშირის მიერ, აკაკი დიმიტრის-ძე ბასილაშვილის სახელზე, ჩ. გ. ნ. 2948

დაიკარგა 1922 წ. 30 მაისს, № 108 ქ. სენაკის ჰუმანიტალურ ტეხნიკუმის მიერ გაცემული (ამავე ტეხნიკუმის) დამთავრების მოწმობა სერგო კორძაიას სახელზე, ჩ. გ. ნ. 2958

დაიკარგა 5 სულის პურის წიგნაკი, გაცემული ქუთაისის შინა-ვაჭრობის პურის კომისიის მიერ გრიგოლ ლორთქიფანიძის სახელზე, ჩ. გ. ნ. 2948

პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა, კამოს ქუჩა № 68.

მთავლიტი № 904.